ინკლუზიური განათლების გზამკვლევი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

2021 წელი

სამადლობელი სიტყვა

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზაციასთან „საქართველოს კარიტასი“ თანამშრომლობით. აღნიშნული გზამკვლევის შექმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის კურიკულუმის ექსპერტებსა და ინკლუზიური განვითარების სამმართველოს ღირებული განმარტებების, კომენტარებისა და უკუკავშირის მოწოდებისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდის წევრებს გამოცდილებისა და პროფესიული პრაქტიკის პროცესში შექმნილი სასწავლო რესურსების გაზიარებისთვის.

გზამკვლევის ავტორები:

მაია ბაგრატიონი - გრუზინსკი

შორენა ტყეშელაშვილი

ლია ქურციკიძე

სარჩევი

შესავალი 3

გზამკვლევის მიზანი 3

I ნაწილი - თანამედროვე განათლების ძირითადი პრინციპები 4

სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები 4

სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და უნივერსალური დიზაინი 10

II ნაწილი - ეროვნული სასწავლო გეგმა 14

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დიზაინი 14

კომპლექსური დავალების შექმნის პროცესი 23

მოსწავლეების მიღწევების შეფასება 31

III ნაწილი - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 37

ეროვნული სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობის მნიშვნელობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლებისას 37

საგნობრივი შეფასებისა და მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის განსაზღვრის მნიშვნელობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის 39

მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონის დოკუმენტირება 42

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობები - ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია (აკომოდაცია, მოდიფიკაცია) 47

გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის 56

კომპლექსური დავალების ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის 61

მოკლევადიანი მიზნები, კომპლექსური დავალება 65

ახალი სასწავლო მიზნების, თემისა და კომპლექსური დავალების დასახვისას გასათვალისწინებელი ფაქტორები 73

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება 76

IV ნაწილი: ადაპტირებული კომპლექსური დავალებებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში 81

შესავალი

გზამკვლევი განკუთვნილია მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლებისთვის, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეთა მრავალფეროვან ჯგუფებს, უწევთ განსხვავებულ საჭიროებებზე რეაგირება, სასწავლო პროცესის დიფერენცირებულად დაგეგმვა, ნათლად ფორმულირება / დოკუმენტირება და საინტერესოდ განხორციელება.

გზამკვლევის მიზანი

გზამკვლევის მიზანია მასწავლებლებსა და სპეციალურ მასწავლებლებს გააცნოს სასწავლო პროცესის დიფერენცირებულად დაგეგმვის შესაძლებლობები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში.

მოცემულ გზამკვლევში განმარტებულია მესამე თაობის კურიკულუმის საკვანძო სტრუქტურული ერთეულები - სასკოლო კურიკულუმი, სამიზნე ცნება, მკვიდრი წარმოდგენა, კომპლექსური დავალება და სხვა. ასევე, განხილულია აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების გამოყენება ინკლუზიური განათლების კონტექსტის გათვალისწინებითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისთვის.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს. შესაბამისად, გზამკვლევი ეფუძნება ინკლუზიური განათლების ფილოსოფიასა და ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს.

გზამკვლევის გაცნობის შედეგად, მასწავლებლებისთვის, სპეციალური მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სხვა სპეციალისტებისთვის ნათელი გახდება როგორ არის შესაძლებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების გათვალისწინებით იმგვარად, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული სასწავლო პროცესი სრულ ჰარმონიაში იყოს კლასში მიმდინარე პროცესებთან.

I ნაწილი - თანამედროვე განათლების ძირითადი პრინციპები

სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები

გზამკვლევის მოცემულ თავში განხილული და განმარტებულია სწავლა-სწავლების ის ძირითადი პრინციპები და კონცეფციები, რომლებსაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება - სწავლა/სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომა, დიფერენცირებული სწავლა და უნივერსალური სასწავლო დიზაინი.

ახალი (მესამე თაობის) ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება სხვადასხვა კონცეპტუალურ მიდგომას და მისი მიზანია უზრუნველყოს პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებას, აზროვნების დამოუკიდებლობასა და ახალი უნარ-ჩვევების განვითარებას. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ხელს უწყობს სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას და ეფუძნება შემდეგ ძირითად კონცეფციებს: სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპი, უნივერსალური დიზაინი და დიფერენცირებული მიდგომა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

„ტრადიციული“ სწავლა-სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა მოსწავლეებისთვის ცოდნის მზა სახით მიწოდებაა, რაც არ ქმნის საუკეთესო წინაპირობას სიღრმისეული, გააზრებული სწავლისთვის. აუცილებელია, მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ცოდნის კონსტრუირების პროცესში. ეს გულისხმობს, რომ მათ უნდა აღმოაჩინონ და გარდაქმნან ახალი ინფორმაცია, შეადარონ უკვე არსებულ, საკუთარ, უნიკალურ ცოდნა-გამოცდილებას და მიიღონ ან გადააფასონ ის წესები, რომლებიც აღარ არის ეფექტიანი. სწავლა-სწავლების **კონსტრუქტივისტული მიდგომა** სუბიექტს, ანუ მოსწავლეს განიხილავს როგორც აქტიურ, მოქმედ პირს ცოდნის დაუფლების პროცესში. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული კონცეფცია ეყრდნობა დიუის (1929), ბრუნერის (1961), ვიგოტსკისა (1962) და პიაჟეს (1980) ნაშრომებს. კონსტრუქტივისტული სწავლა-სწავლების მოდელი დაფუძნებულია დაკვირვებასა და მეცნიერულ კვლევაზე იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები და როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი (Von Glasersfeld, 1989). კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით, ინდივიდები სამყაროს შესახებ ცოდნისა და გაგების კონსტრუირებას ახდენენ საკუთარი გამოცდილებითა და ამ გამოცდილებაზე

რეფლექსიის შედეგად. ახალი ინფორმაციის მიღებისას ხდება მათი არსებულ იდეებთან და წარსულ ცოდნა-გამოცდილებასთან დაკავშირება, რომლის შედეგად იცვლება არსებული რწმენა-წარმოდგენები, ან ხდება ახალი ინფორმაციის, როგორც შეუსაბამოს უარყოფა. შესაბამისად, ადამიანები თავად არიან საკუთარი ცოდნის აქტიური შემქმნელები, რამეთუ სვამენ შეკითხვებს, იკვლევენ და აანალიზებენ ახალ ცნებებს, აფასებენ და ცვლიან იმას, რაც იციან.

კონსტრუქტივისტული მიდგომის თანახმად სწავლის პროცესში აქტიურად მიმდინარეობს ასიმილაცია-აკომოდაციის პროცესები:

- **ასიმილაცია** - პროცესი, რომლის დროსაც ხდება ახალი ინფორმაციის მიღება და უკვე არსებულ სქემებზე მორგება-შესაბამება.
- **აკომოდაცია** - პროცესი, რომლის დროსაც მიღებული ახალი ინფორმაციის შედეგად ხდება უკვე არსებული სქემების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, შეცვლა-გარდაქმნა ან ახლის შექმნა.

არსებობს კონსტრუქტივიზმის მრავალი განმარტება და შესაბამისად, განსხვავებული მიდგომები, თუმცა თითოეული მათგანი ერთიანდება გარკვეული ძირითადი პრინციპების ირგვლივ. აღნიშნული მიდგომა ძირითად აქცენტს აკეთებს მოსწავლეებში ცოდნის აქტიურად კონსტრუირების პროცესის მნიშვნელობაზე. ინდივიდი განიხილება როგორც აქტიური, თვითრეგულირების უნარების მქონე სუბიექტი, რომელიც გარემოსთან ურთიერთობის შედეგად და მისი განვითარების მოცემული მდგომარეობის გათვალისწინებით, აგებს ახალ ცოდნას. წარსული ცოდნა და მოსწავლის უნიკალური გამოცდილება არის შემეცნებითი პროცესის დაწყების საფუძველი, რომლის ეფექტიანობას ინდივიდის სრული ჩართულობა განაპირობებს.

კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითადი პრინციპებია:

- სწავლა ცოდნის კონსტრუირების არა პასიური, არამედ აქტიური პროცესია. შესაძლებელია ახალი ინფორმაციის პასიურად მიღება, თუმცა მიღებული ინფორმაციის გაგება უფრო კომპლექსური პროცესია. ამისთვის აუცილებელია, სწავლის პროცესის მახასიათებლებისა და თავისებურებების გათვალისწინებით (რეფლექსია, მეტაკოგნიცია), ახალ და უკვე არსებულ ცოდნას შორის მნიშვნელობის მქონე კავშირების დამყარება;
- ცოდნა მოსწავლეს არ გადაეცემა მზა სახით. შემეცნებითი პროცესი და ცოდნის აგება ხდება თავად მოსწავლის მიერ ფაქტების, მოვლენების, ცნებების ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზით.
- მოსწავლე ცნებისა თუ საკითხის შემეცნების შედეგად მას სუბიექტურ მნიშვნელობას ანიჭებს. ყველა ინდივიდს საკითხის შესახებ უნიკალური ხედვა აქვს, რაც გამომდინარეობს მასში არსებული ცოდნისა და ღირებულებებისგან. შესაბამისად, ერთი და იგივე გაკვეთილმა, მასალამ თუ აქტივობამ შესაძლოა

მოსწავლეებში სხვადასხვა შედეგი გამოიწვიოს, გამომდინარე იქიდან, რომ ახალი ინფორმაციის მათი სუბიექტური ინტერპრეტაცია განსხვავებულია.

- სწავლის პროცესი დამოკიდებულია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, წარსულ გამოცდილებასა და შეხედულებებზე. ახალი ცოდნის აგება ხდება წინარე ცოდნის საფუძველზე. უკვე არსებული რწმენა-წარმოდგენები გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას და როგორ ისწავლის მოსწავლე, აქვე მოიაზრება კონტექსტი. მოსწავლე უკეთ ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია უკავშირდება განვლილს და აქვს მისთვის პიროვნული ღირებულება. ეს ყოველივე გავლენას ახდენს სწავლის მოტივაციურ ფაქტორზე.
- სწავლის პროცესი გაშუალებულია სოციალური ურთიერთობების გზით, როგორც მასწავლებელთან, ასევე თანატოლებთან. „სწავლა არის სოციალური აქტივობა - არა რაიმე აბსტრაქტული კონცეფცია, არამედ ის, რასაც ჩვენ ვახორციელებთ სხვებთან ერთად, მათთან ინტერაქციის საშუალებით“ (Dewey, 1938). მიზეზი იმისა, თუ რატომ უწყობს თანამშრომლობა სწავლის პროცესს ხელს ბევრია. მოსწავლეები სწავლის თავისებურებების შესახებ იღებენ ინფორმაციას არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ თანატოლებზე დაკვირვების შედეგადაც.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია[1]:

- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).
- სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი: მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს კონკრეტულ დავალებას - საკუთარი ჩანთის სიგრძის გაზომვა. ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებელმა მათ აჩვენოს სახაზავი და ასწავლოს მისი გამოყენება, ის საშუალებას

[1] ეროვნული სასწავლო გეგმა, კარი I - სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები

აძლევს მოსწავლეებს, კონკრეტული შეკითხვების დასმით თავად შეიმუშაონ გაზომვის მეთოდი. პროცესში შესაძლებელია ერთმა მოსწავლემ გაიხსენოს, რომ ბოლოს ექიმმა უთხრა, რომ ის 135 სმ იყო სიმაღლეში. მეორე მოსწავლემ შესაძლებელია იცოდეს, რომ მაგალითად, ცხენებს „ხელების“ საშუალებით ზომავენ. მოსწავლეები განიხილავენ ამ და სხვა მათთვის ნაცნობ მეთოდებს და განსაზღვრავენ, თუ რომელი ხერხის გამოყენებაა ყველაზე მეტად შესაბამისი. ისინი მსჯელობითა და ანალიზით თავად მიდიან კონკრეტულ ცოდნამდე.

მოსწავლეთა წინარე ცოდნა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრის პროცესში აქტიური თანამონაწილეობა ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშოებენ ცოდნის კონსტრუირების პროცესში. კონსტრუქტივისტული მიდგომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, განუვითაროს მოსწავლეს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები, რისთვისაც აუცილებელია კლასში ხელშემწყობი სასწავლო გარემოს შექმნა. მასწავლებელს შეუძლია, გაკვეთილის პროცესში მიმართოს იმპროვიზაციას, ან შეცვალოს აქტივობათა მიმდევრობა მოსწავლეთა სიტუაციური საჭიროებებიდა, ან რაიმე სხვა გაუთვალისიწინებელი ფაქტორებიდან გამომდინარე. მსგავსი მოქნილობა პოზიტიური სასწავლო გარემოს ღირებული მახასიათებელია. სწავლების პროცესის დაწყებამდე მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: მოსწავლის მიმდინარე ცოდნა, როგორ ხდება ცოდნის კონსტრუირება და რა როლი აქვს კონკრეტულ აქტივობას ამ პროცესში. ქვემოთ ჩამოთვლილია კონსტრუქტივისტული სასწავლო გარემოს მნიშვნელოვანი მახასიათებლები:

1. მოსწავლეებს უნდა მიეწოდებოდეთ ისეთი გამოწვევები, იდეებისა და პრობლემების სახით, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი შემეცნებითი პროცესების აქტუალიზებას.
2. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წახალისება, რათა აქტიურად ჩაერთონ საკლასო აქტივობებში და საჭიროების შემთხვევაში დასვან შეკითხვები.
3. სასწავლო გარემო ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა დიალოგში ჩართულობას როგორც მასწავლებელთან, ისე თანაკლასელებთან.
4. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასწავლო გარემოში თანაბარი ავტორიტეტი აქვთ.
5. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა რეფლექსიის, კავშირების დამყარებისა და დისკუსიისთვის.

განსხვავება კონსტრუქტივისტულ მიდგომასა და სწავლა-სწავლების „ტრადიციულ“ ხედვას შორის

კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგებულ სასწავლო გარემოში ფოკუსი მასწავლებლიდან მოსწავლეზე გადადის. საკლასო გარემო აღარ განიხილება სივრცედ, სადაც წინა პლანზე არის მასწავლებელი („ექსპერტი“), რომელიც ირგებს წამყვანის

როლს და გადასცემს ცოდნას პასიურად მომლოდინე მოსწავლეებს. კონსტრუქტივისტული მოდელის ფარგლებში, მოსწავლეებს ექმნებათ ისეთი გარემო პირობები და შესაძლებლობები, რომ ცოდნის მიღების პროცესში თავად ხდებიან მთავარი აქტორები და წარმმართველები. მასწავლებელი ირგებს ფასილიტატორისა და შუამავლის ფუნქციას, რომელიც ამზადებს, ბიძგს აძლევს და ეხმარება მოსწავლეს განივითაროს და შეაფასოს ახლის გაგებისა და ცოდნის მიღების პროცესი. მასწავლებლის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა დასვას კითხვები, რომლებიც მოსწავლეს საკითხთა სიღრმისეული გააზრებისკენ უბიძგებს.

კონსტურქტივისტული პრინციპების მიხედვით ცოდნა არ განიხილება როგორც რაიმე თავისთავადი, მზა, სტატიკური, ფაქტობრივი მოცემულობა, რომელიც უნდა დაიმახსოვრო. შემეცნების პროცესი გულისხმობს დინამიკურ, სამყაროს შესახებ ცვალებად ხედვას, რომელიც მუდმივად იძლევა მისი გაღრმავებისა და გამოკვლევის შესაძლებლობას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ტრადიციული და კონსტრუქტივისტული საკლასო მიდგომების შედარებითი ანალიზი რამდენიმე კომპონენტის მიხედვით:

„ტრადიციული“	კონსტრუქტივისტული
სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ბაზისურ უნარ-ჩვევებსა და შედეგების მიღწევაზე.	კურიკულუმი ეყრდნობა ძირითად ცნებებს. სწავლების პროცესი იწყება აღნიშნული ცნებებით და გრძელდება მათში შემავალ ერთეულებად დაშლით.
მკაცრად მიჰყვება კურიკულუმის მიხედვით წინასწარ განსაზღვრულ თანმიმდევრობას.	მიჰყვება მოსწავლეების შემეცნებით პროცესებს, მათ მიერ დასმულ შეკითხვებსა და ინტერესებს.
სასწავლო რესურსებად გამოიყენება სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები. სახელმძღვანელო სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლის ძირითადი რესურსია.	სასწავლო რესურსებად გამოიყენება როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ნებისმიერი ის მასალა, რომელიც რელევანტურია კონკრეტულ თემასთან მიმართებით. სახელმძღვანელოს არ აქვს წამყვანი რესურსის ფუნქცია.
სწავლა-სწავლების პროცესი დაფუძნებულია დამახსოვრება-გამეორებაზე.	სწავლა-სწავლების პროცესი არის ინტერაქციული, რომელიც დაფუძნებულია მოსწავლის წინარე ცოდნაზე.
მასწავლებლები გადასცემენ ცოდნას მოსწავლეებს. მოწავლეები არიან მიმღებლები.	პროცესი ორმხრივია და მიმდინარეობს დიალოგურ რეჟიმში. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ცოდნის კონსტრუირების პროცესში.
მასწავლებელი არის დირექტიული და ავტორიტეტული.	მასწავლებელი თანამშრომლობითი და ურთიერთშეთანხმებაზე ორიენტირებულია.
მოსწავლის შეფასება ხდება სწორი პასუხების დაფიქსირებითა და ტესტირებით.	შეფასება მოიცავს მოსწავლის ნაშრომს, დაკვირვებებს, მის ხედვებსა და ტესტირებას. პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგი.
ცოდნა განიხილება სტატიკურ მოცემულობად.	ცოდნა განიხილება როგორც დინამიკური, გამოცდილების შესაბამისად ცვალებადი პროცესი.
სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად.	მოსწავლეები მუშაობენ როგორც მცირე ჯგუფებში, წყვილში, ასევე დამოუკიდებლად.

ხშირად კონსტრუქტივისტული სწავლა-სწავლების მიდგომის კრიტიკისას აღნიშნავენ, რომ უგულვებელყოფილია ექსპერტული ცოდნის მნიშვნელობა ან მასწავლებლის როგორც პროცესში აქტიური მონაწილის როლი, თუმცა, ეს ასე არ არის. მასწავლებელი, ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეებს მიაწოდოს ცალკეული მზა ინფორმაცია და ფაქტები დამახსოვრებისთვის, ეხმარება მათ ცოდნის მიღების პროცესში. პრობლემის გადაჭრასა და კვლევა-ძიებაზე ორიენტირებული აქტივობების შეთავაზებით, მოსწავლეები ცდილობენ თავიანთი იდეებისა და შეხედულებების ფორმულირებას, გამოცდას, დასკვნების გაკეთებასა და მიმართებების დამყარებას, მიღებული ცოდნის გაერთიანებასა და გადაცემას თანამშრომლობით სასწავლო გარემოში. მასწავლებელი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ეხმარება მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ შემეცნებითი პროცესებისა და კონკრეტული აქტივობის ეფექტიანობის შეფასება. საკუთარი თავისა და გამოყენებული სტრატეგიების შესახებ შეკითხვების დასმით, მოსწავლეები ნელ-ნელა ხდებიან „ცოდნის ექსპერტები“. მათ თანდათანობით უყალიბდებათ წარმოდგენები და ხედვები ცოდნის მიღების ეფექტიანიი გზების შესახებ, რაც სამომავლოდ გავლენას ახდენს მათი დამოუკიდებლობის ხარისხზე, სწავლის მოტივაციასა და ემოციურ ფაქტორებზე, ზრდის მათ ინტერესსა და აქტივობას. მასწავლებლის უმთავრესი ფუნქცია ხდება კარგად დაგეგმილი საკლასო გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეებს უბიძგებს შემეცნებისა და რეფლექსიისკენ და ამ გზით აჩვენებს მათ, თუ როგორ უნდა ისწავლონ. კონსტრუქტივიზმის მთავარი მიზანია მოსწავლის, როგორც ინფორმაციის პასიური მიმღების, სწავლის პროცესის აქტიურ მონაწილედ გარდაქმნა, რაც მასწავლებლის ფასილიტაციის გარეშე წარმოუდგენელია.

მასწავლებლის როლი საკლასო სივრცეში:

- მასწავლებლის უპირველესი პასუხისმგებლობაა შექმნას თანამშრომლობითი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული და განვითარების მასტიმულირებელი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს გახდეს საკუთარი სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე.
- სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი არის ფასილიტატორი და არა ინსტრუქტორი.
- მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იცოდეს მოსწავლეების რწმენა-წარმოდგენები, წინარე ცოდნა და შესთავაზოს მათ ისეთი დავალებები და აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მათ უკვე არსებულ ცოდნაზე დაფუძნებით შექმნან ახალი შეხედულებები (Oliver, 2000).
- „სკაფოლდინგის“ (დამხმარე საშუალებათა სისტემა), ე.წ. ხარაჩოს მეთოდის გამოყენება, გულისხმობს იმ დახმარებას, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს შეასრულოს დავალებები, რომლებიც მისი უახლოესი განვითარების ზონის ფარგლებში ჯდება. მასწავლებელი ასრულებს „ხარაჩოს“ როლს. თავდაპირველად იგი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მოსწავლეს, შემდეგ კი,

თანდათანობით, ამცირებს მხარდაჭერას და შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს გამოწვევას. სასკოლო გარემოში სკაფოლდინგი შესაძლოა გულისხმობდეს გარკვეული მინიშნებების და მითითებების მიცემას, მოდელირებას, მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისად აქტივობის ან რესურსის ადაპტაციას და მიმართულების მიმცემი კითხვების დასმას.

- მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ მრავალფეროვან ტექნიკებსა და რესურსებს. მაგალითად: ექსპერიმენტები, კვლევითი პროექტები, ფილმების ჩვენება, გასვლითი ღონისძიებები, დისკუსიები, მოდელირება და სხვა.

სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და უნივერსალური დიზაინი

გზამკვლევის მოცემულ ნაწილში განხილულია სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მეთოდები და უნივერსალური დიზაინი. ხაზგასმულია მათზე დაფუძნებული სასწავლო პორცესის უპირატესობა, რადგან ამ შემთვევაში კლასის ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალსიწინება ხდება. შესაბამისად, გზამკვლევის აღნიშნულ თავში შემოთავაზებულია სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და განცორციელება განსხვავებული მიდგომებისა და აქტივობების გამოყენებით.

როგორც აღვნიშნეთ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მოდელი მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომაა, რომელიც მიმართულია სწავლების ინდივიდუალიზაციაზე და შესაბამისად, ხელს უწყობს ინდივიდის შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებას. მეორე კონცეფცია, რომელსაც ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, არის სწავლების **დიფერენცირებული მიდგომა,** რომელიც დიდწილად იზიარებს კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**.** სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. სწავლის პროცესის ორგანიზებისას ხდება ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინება და მოსწავლეებზე მორგება. დიფერენცირებული სწავლებისას მასწავლებელი საერთო

მიზნის მისაღწევად მუშაობს მრავალფეროვანი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე წევრებისგან შემდგარ ჯგუფთან, ხოლო ის მეთოდები და სტრატეგიები, რასაც ის მიმართავს ინდივიდუალიზირებულია და ითვალისწინებს თითოეულის შესაძლებლობას. ყოველივე აღნიშული ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მათი უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, ერთმანეთის საშუალებით სწავლასა და თვითსწავლას.

დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპებია:

- საკლასო გარემოს მოქნილობა - მასწავლებელი და მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსების, სწავლების სტილის, ჯგუფური მუშაობის, შეფასების სისტემებისა და საკლასო სივრცის სხვა მახასიათებლების შეცვლა, ადაპტირება და მორგება მოსწავლის ინდივიდუალურ, თუ კლასის საერთო საჭიროებების შესაბამისად.
- სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს განსაზღვრავს მოსწავლის აქტუალური ცოდნის დონე და შესაძლებლობები, რომლის დადგენაც შეფასების შედეგად ხდება. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლის შემოქმედებით და სწავლის პროცესს, რას ამბობს ან ქმნის ის. მიღებული ინფორმაციის შედეგად კი განსაზღვრავს თუ რა ცოდნას ფლობს მოსწავლე, როგორ შეიმეცნებს და არის თუ არა კონკრეტული აქტივობა და/ან დავალება ეფექტიანი მისთვის.
- სწავლა-სწავლების პროცესში ჯგუფური და შეთანხმებული მუშაობა ხელს უწყობს მრავალფეროვანი და განსხვავებული სასწავლო გამოცდილების მიღებას. ეფექტიანად დაგეგმილი ჯგუფური აქტივობები იძლევა მთლიანი კლასის, მცირე ჯგუფის, თუ ინდივიდუალურ დონეზე მოსწავლეთა კვლევა-ძიების, ახალი აღმოჩენების გაკეთებისა და თვითგანვითარების შესაძლებლობას.
- თითოეულ მოსწავლეს უნდა მიეწოდებოდეს დავალება ან ამოცანა, რომელიც მისთვის საინტერესოა და ითხოვს აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლის მიზანია, მოსწავლე მუდმივად იყოს უნარების შესაბამისი გამოწვევის წინაშე და მიწოდებული რესურსების, ინფორმაციისა თუ პრინციპების გამოყენებით წარმატებით შეძლოს ახალი ინფორმაციის გაგება-გამოყენება, ხოლო ამის შემდგომ გადაინაცვლოს სწავლების შემდგომ ეტაპზე. დიფერენცირებული სწავლების მიდგომა არ გულისხმობს იმას, რომ თითოეულ მოსწავლეს მიეწოდებოდეს განსხვავებული თემა ან საკითხი. მისი მთავარი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ საერთო მიზნის მიღწევის პროცესში კონკრეტული თემა იძლეოდეს მოქნილობას მისი კომპლექსურობის, გამოყენებული სტრატეგიებისა და რესურსების ცვლილების თვალსაზრისით, კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებით.

- მოწავლეებისა და მასწავლებლის თანამშრომლობა სწავლა-სწავლების პროცესში - დიფერენცირებული სწავლების მიდგომის ფარგლებში მასწავლებელი ირგებს ფასილიტატორის, დამგეგმავის, დამხმარეს როლს გაკვეთილის მიმდინარეობისას, ხოლო მოსწავლეები ამ პროცესის წარმატებულობის მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი და აქტიური თანამონაწილეები, პარტნიორები არიან. მასწავლებელი მუდმივად რთავს მათ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სწავლების მიმდინარეობის ასპექტში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ და თვითრეგულირებად პიროვნებებად ჩამოყალიბებას.

დიფერენცირებული სწავლა-სწავლების მიდგომის მიხედვით, მოდიფიკაცია-ადაპტაცია შესაძლებელია ოთხი მიმართულებით:

1. **შინაარსი** - იგულისხმება ის ცოდნა, გაგება, პრინციპები და უნარები, რომლებსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს. აღსანიშნავია, რომ მიზანი თითქმის ყველა მოსწავლისთვის საერთოა, თუმცა, მასწავლებელს შეუძლია დიფერენცირება მეთოდებისა და რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, მაგალითად, ანიმაციების, ვიდეოების, ტექსტების, აპლიკაციების, კომპიუტერული პროგრამების და სხვა გამოყენება.
2. **პროცესი** - იგულისხმება თუ როგორ და რა გზით ეუფლება მოსწავლე კონკრეტულ ცოდნასა და შინაარსს. სინონიმად შესაძლებელია მოვიაზროთ „აქტივობები“. მასწავლებელს შეუძლია პროცესისა თუ აქტივობის დიფერენცირება მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მაგალითად, კონკრეტული კვლევის წარდგენისას მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს რამდენიმე ვარიანტი: წერილობით, დიაგრამის სახით, სიტყვიერად, ნახატით და სხვა.
3. **პროდუქტი (შედეგი)** - იგულისხმება ის საშუალებები, რომლის გამოყენებითაც მოსწავლე დემონსტრირებას ახდენს იმისა, თუ რა ინფორმაცია მიიღო, გაიგო და როგორ შეიძლება მისი გამოყენება. ეს შესაძლებელია იყოს შემაჯამებელი პროექტი.
4. **სასწავლო გარემო** - იგულისხმება სწავლისთვის საჭირო ოპტიმალური პირობების შექმნა თითოეული მოსწავლისთვის. სასწავლო გარემოს ინდივიდუალიზებისას შესაძლებელია როგორც საკლასო გარემოს ფიზიკური ცვლილება (მაგალითად, ავეჯის გადაადგილება ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობებისთვის), ასევე მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური ასპექტების გათვალისწინება (მაგალითად, შესაძლებლობის მიცემა, რომ მოსწავლეებმა თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, დაუშვან შეცდომები და ა.შ.).

სწავლა-სწავლების უნივერსალური დიზაინი

სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში მნიშვნელოვანია უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენება და გათვალისწინება. **სწავლების უნივერსალური დიზაინი** სათავეს არქიტექტურის სფეროდან იღებს. ტერმინი პირველად გამოიყენა ინგლისელმა არქიტექტორმა - რონალდ მეისმა ისეთი შენობის სტრუქტურის აღსაწერად, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. შემდგომში უნივერსალური დიზაინი ჩამოყალიბდა როგორც მიმდინარეობა, რომლის მიზანი ისეთი ადგილების, კონსტრუქციებისა და საგნების შექმნაა, რომელიც ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ადამიანებისთვის და ამავდროულად, სასარგებლოა სხვებისთვისაც. მაგალითად, პანდუსები და ავტომატური კარები უნივერსალური დიზაინის ის თვალსაჩინო მაგალითებია, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება.

მსგავსად აღნიშნული პრინციპებისა, სწავლა-სწავლების უნივერსალური დიზაინი ემყარება იგივე მიდგომებს: შესთავაზოს ყველა მოსწავლეს ხელმისაწვდომობა და სწავლის თანაბარი პირობები. უზრუნველყოს მოსწავლეზე ცენტრირებული გარემო, რომელშიც ის დაფასებულია და აქვს წარმატებული აკადემიური და სოციალური გამოცდილების მიღების შესაძლებლობა. უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენება მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, შექმნას თანამშრომლობითი, საინტერესო და მიმზიდველი სასწავლო გარემო მოსწავლეებისთვის: მასწავლებელი ყოველთვის მზად არის მხარდაჭერისთვის, შემცირებულია სწავლების ბარიერები; მოსწავლეები იღებენ ცოდნას, ივითარებენ უნარ-ჩვევებს და ხდებიან მოტივირებულები, მათი სწავლა-სწავლების დინამიკა მუდმივად ფასდება.

სწავლის უნივერსალური დიზაინი დაფუძნებულია სამ ძირითად პრინციპზე:

1. სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი და მოქნილი საშუალებების გამოყენება - სწავლის სხვადასხვა სტილის მქონე მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი გზების, საშუალებებისა და რესურსების შეთავაზება ინფორმაციის მიღებისა და ცოდნის დაუფლების პროცესში.
2. შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სხვადასხვა გზით გამოხატვა - მიღებული ცოდნის დემონსტრირების ალტერნატიული გზების შეთავაზება.
3. მოსწავლეთა ჩართულობის წახალისება - ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და მოტივაციური ფაქტორები.

II ნაწილი - ეროვნული სასწავლო გეგმა

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დიზაინი

გზამკვლევის მოცემულ თავში განხილული და განმარტებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დიზაინი და დანერგვის პროცესის საკვანძო სტრუქტურული ერთეულები - სასკოლო კურიკულუმი, ცნება, მკვიდრი წარმოდგენა, საკითხი, თემა, კომპლექსური დავალება და ა.შ. სწორედ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების საშუალებით არის შესაძლებელი კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპების, სწავლა-სწავლების უნივერსალური დიზაინისა და დიფერენცირებული მიდგომების პრაქტიკაში რეალიზება. მოცემული თავი შექმნის საფუძველს იმისთვის, რომ გზამკვლევის მომდევნო ნაწილში მოხდეს აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების გამოყენების გააზრება ინკლუზიური განათლების კონტექსტში, კერძოდ - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნისა და ფორმირებისათვის.

კურიკულუმი ეს არის გზა, რომელსაც სკოლა განუსაზღვრავს მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად.

თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულება თავად ქმნის საკუთარ **სასკოლო კურიკულუმს,** რამდენადაც თავად იღებს გადაწყვეტილებას და დამოუკიდებლად განსაზღრავს რა საკითხებს, სასწავლო რესურსებს, აქტივობებს, დავალებებსა და შეფასების რუბრიკებს გამოიყენებს სამინისტროს მიერ დასახული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

მაშასადამე, კურიკულუმი მიზანზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გეგმაა, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა ფუნქციის და დანიშნულების მქონე სტრუქტურული ერთეულებისგან შედგება.

კურიკულუმის აგების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, მიზნების იერარქიაში მკაფიოდ გარკვევა და იმ სტრუქტურული ერთეულების გააზრებაა საჭირო, რომელთა საფუძველზეც იქმნება კურიკულუმი. კურიკულუმი მუშავდება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული მიზნების გათვალისწინებით.

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები
2. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები
3. კონკრეტული სავალდებულო საგნების (მათემატიკა, ისტორია და სხვა) მიზნები
4. სწავლის შედეგები
5. სამიზნე ცნებები

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები დგას განათლების სისტემაში მიზნების იერარქიის სათავეში. ის აღწერს, თუ როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ.

ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან დაახლოვება ხდება ეროვნულ სასწავლო გეგმაში და საგნობრივ პროგრამებში მოცემული ცოდნის ათვისებით, რაც, საბოლოოდ, მოსწავლის დამოუკიდებელ, მოაზროვნე და პროდუქტიულ პიროვნებად ჩამოყალიბებას განაპირობებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

- ახალ სიტუაციებთან, ცვალებად მოთხოვნებთან ადაპტირების უნარი;
- დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი;
- პრობლემების გადაჭრის უნარი; ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების, კვლევის და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები;
- საზოგადოებაში თვითდამკვიდრების უნარი;
- ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი;
- საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი;
- ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები;
- საკუთარ სოციალურ აქტიურობაზე პასუხისმგებლობის გააზრების, ასევე, სხვათა ქმედების გაგებისა და გათვალისწინების უნარი.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები იერარქიის შემდეგ საფეხურზეა მოცემული. ისინი განსაზღვრავენ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც სკოლაში სწავლისას მოსწავლეს უნდა განუვითარდეს.

ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:[2]

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები

- პრობლემების გადაჭრა
- კრიტიკული აზროვნება

[2] ეროვნული სასწავლო გეგმა, კარი I, თავი 2, მუხლი 7.

- შემოქმედებითი აზროვნება
- თანამშრომლობა
- კომუნიკაცია
- ეთიკა
- მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა
- დროსა და სივრცეში ორიენტირება
- კვლევა
- სწავლის სწავლა; დამოუკიდებლად საქმიანობა
- პასუხისმგებლობა
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- წიგნიერება

მაშასადამე, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებით, მასწავლებლის ფუნქცია უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ერთი საგნობრივი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ცოდნის გადაცემა. მასწავლებლის უმთავრესი ამოცანაა, ერთდროულად იყოს ორიენტირებული ზოგადი განათლების, ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში განსაზღვრულ მიზნებზე და ამ გზით ხელი შეუწყოს ერთის მხრივ, სიღრმისეული ცოდნისა და კომპეტენციის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებელი და სწორი ღირებულებების მქონე მოქალაქის ფორმირებას.

სწავლის შედეგი

ყოველი კონკრეტული საგნისთვის, იქნება ეს მათემატიკა, ისტორია თუ სხვა, გრძელვადიანი სასწავლო მიზნები ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების სახით. შედეგების საშუალებით საგნობრივ დონეზე კონკრეტდება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებში ჩამოთვლილი ზოგადი ცოდნა.

სწავლის შედეგები განსაზღვრულია საფეხურისთვის. შესაბამისად, დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად მოსწავლე მუშაობს მთელი საფეხურის განმავლობაში, რამდენიმე წლის მანძილზე. ამ დროსში მას ევალება აჩვენოს უწყვეტი პროგრესი შედეგთან მიმართებით. ამ გზით, მოსწავლე ხანგრძლივად არის კონცენტრირებული ღირებულ მიზანზე და ეტაპობრივად აგროვებს ცოდნას და იძენს სათანადო უნარებს. შედეგად უზრუნველყოფილია მყარი, ფუნქციური კომპეტენციის განვითარება.

განათლების სისტემის ამოცანაა სასწავლო პროცესისა და გარემოს იმგვარად ორგანიზება, რომ მოსწავლეები მაქსიმალურად მიუახლოვდნენ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

მოცემული ცხრილი ასახავს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ზოგიერთ სწავლის შედეგს დაწყებით საფეხურზე.

მოსწავლემ უნდა შეძლოს

I.2 სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

I.3 პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

I.4 ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

I.5 ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

I.6 გაწაფულად კითხვა.

სამიზნე ცნებები

სამიზნე ცნებები, სწავლის შედეგების მსგავსად, გრძელვადიანი მიზნებია, რომლებიც ექსპერტთა გუნდის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წინასწარ არის განსაზღვრული და რომლებზე მუშაობაც (სწავლის შედეგის მსგავსად) საფეხურის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი პროგრამის ფარგლებში დაწყებითი განათლების საფეხურის სამიზნე ცნებებს.

ქართული	მათემატიკა	ბუნებისმეტყველება
1. ტექსტი 2. გრამატიკული კანონზომიერებები 3. ფუნქციური სამეტყველო ქმედება 4. წერითი კომუნიკაცია	1. რიცხვები და თანრიგები 2. მოქმედებები რიცხვებზე 3. ზომა და ზომის ერთეულები 4. კანონზომიერება 5. დამოკიდებულება 6. ალგებრული გამოსახულებები, უტოლობები, განტოლებები 7. გეომეტრიული ფიგურები 8. ზომა, ზომის ერთეულები, გაზომვის საშუალებები 9. ორიენტირება სივრცეში 10. მონაცემები	1. კვლევა 2. სხეული და ნივთიერება 3. მოძრაობა და ძალა 4. ორგანიზმი 5. საბინადრო გარემო 6. ბუნებრივი მოვლენა 7. გეოგრაფიული ობიექტი

სამიზნე ცნებები აჯგუფებს და აერთიანებს პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

მოცემული ცხრილი ასახავს ცნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართებას (წარმოდგენილია მათემატიკის ერთი ცნება და მასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები).

ცნება მათემატიკაში	**ესგ-ს შედეგები**
მოქმედებები რიცხვებზე	**მათ.დაწყ.(I).2** მოსწავლემ უნდა შეძლოს ძირითადი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება რიცხვებზე
	მათ.დაწყ.(I).3 მოსწავლემ უნდა შეძლოს ნატურალურ რიცხვებზე მოქმედების შედეგის მიახლოებით შეფასება და რიცხვების დამრგვალება.
	მათ.დაწყ.(I).13 მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე მარტივი ამოცანების ამოხსნა.

სამიზნე ცნების მიმართულებით ცოდნის გაღრმავება მოსწავლეს დაახლოვებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და მიზნებთან. სამიზნე ცნებებზე ორიენტირება ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა.

მიკრო და მაკრო ცნებები

სამიზნე ცნებებში შესაძლებელია განვასხვავოთ ცნებების ორი დონე - **მიკრო და მაკრო ცნებები.**

მაკროცნება წარმოადგენს გრძელვადიან მიზანს მთლიანად ეროვნული სასწავლო გეგმის მასშტაბით, ზესაგნობრივია და შეიძლება დამუშავდეს ნებისმიერი საგნის / საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში. ამავდროულად, ის აუცილებლად მუშავდება რომელიმე საგნობრივ ცნებასთან ერთად, ფუნქციურად უთანაბრდება ეროვნული სასწავლო გეგმის მისიასა და მიზნებს. მაკროცნებები დაჯგუფებულია 8 ძირითადი კომპეტენციის მიხედვით: წიგნიერება, მულტილინგვური კომპეტენცია, მათემატიკური წიგნიერება, ციფრული წიგნიერება, სწავლის სწავლა, სამოქალაქო კომპეტენცია, მეწარმეობა და კულტურული ცნობიერება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში საილუსტრაციოდ მოცემულია ციფრულ წიგნიერებასთან დაკავშირებული მაკროცნებები.

მაკროცნება და მასთან დკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:**
ალგორითმი • ჩვენს გარშემო არსებული რეალობა პირობითი ნიშნებითა და მათი თანმიმდევრობით აწყობილ რეალობას წარმოადგენს; ამ ალგორითმის დანახვა მოვლენებისა და პროცესების უკეთ გააზრებაში მეხმარება.

ციფრული რესურსები და ტექნოლოგიები • ციფრული ტექნოლოგიები ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში მეხმარება; მათი გამოყენებით ჩემს წინაშე დასმულ ამოცანებს უფრო იოლად ვასრულებ.
ციფრული მოქალაქეობა • ციფრულ სამყაროში ისევე მმართებს ეთიკის ნორმების დაცვა და ისევე მეკისრება სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება.

მიკროცნებები, იგივე სამიზნე ცნებები, აუცილებლად დაკავშირებულია რომელიმე საგნობრივ მიმართულებასთან და წარმოადგენს გრძელვადიან მიზანს საგნობრივი მიმართულების ფარგლებში. მიკროცნებები მუშავდება ერთი რომელიმე საგნის / საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში და ფუნქციურად უთანაბრდება საგნობრივ სასწავლო შედეგს. მიკროცნების საშუალებით საგნობრივ დონეზე კონკრეტდება მაკროცნება / ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებად განსაზღვრული ზოგადი უნარები.

კურიკულუმის სხვა სტრუქტურული ერთეულები

აღნიშნული ურთიერთდაკავშირებული მიზნების გარდა, კურიკულუმის შემუშავება და განხორციელება გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის სხვა სტრუქტურული ერთეულების გააზრებას და, შესაბამისად, გათვალისწინებას.

ეს სტრუქტურული ერთეულებია:

- ❖ მკვიდრი წარმოდგენები
- ❖ სასწავლო თემები
- ❖ ქვეცნება და საგნობრივი საკითხები
- ❖ კომპლექსური დავალება
- ❖ შეფასების კრიტერიუმები

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

მკვიდრი წარმოდგენები

სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვის ერთ-ერთი აუცილებელი სტრუქტურული ერთეული მკვიდრი წარმოდგენებია, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს მოსწავლეს გაცნობიერებული საფეხურის ბოლოს ამ ცნებასთან მიმართებით.

მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრულია ყოველი სამიზნე ცნებისთვის. თითოეულ სამიზნე ცნებას რამდენიმე მკვიდრი წარმოდგენა აქვს. მკვიდრი წარმოდგენები წარმოადგენს სწავლის შედეგებისა და სამიზნე ცნებების დაკონკრეტებას. სამიზნე ცნებების მსგავსად, ისინიც საფეხურის დონეზეა განსაზღვრული.

მოცემული ცხრილი ასახავს ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენის კავშირს. (ცხრილში წარმოდგენილია ერთი ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მათემატიკაში, დაწყებით საფეხურზე)

ცნება მათემატიკაში	მკვიდრი წარმოდგენები
რიცხვები და თანრიგები	საგანთა ყველა კონკრეტულ რაოდენობას შეესაბამება კონკრეტული რიცხვი
	განსხვავებულ რიცხვებს აქვთ განსხვავებული სახელები და განსხვავებული აღნიშვნები
	ორი სხვადასხვა რიცხვიდან ერთ-ერთი აუცილებლად მეტია მეორეზე
	ათობით პოზიციურ სისტემაში სულ ათი ციფრია საკმარისი ნებისმიერი რიცხვის გამოსახატავად: რიცხვის ჩაწერის პოზიციურ სისტემაში ციფრის მნიშვნელობა მისი ადგილის მიხედვით იცვლება

სასწავლო თემები

თემა არის სასწავლო ერთეული, რომელიც წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ და მისი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტს.

ზოგიერთ საგანში თემები სავალდებულოდაა განსაზღვრული. მაგალითად, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია და სხვა; ზოგიერთში მიმართულებებია მოცემული სავალდებულო თემების გამოყოფის გარეშე. დანარჩენ საგანში კი, განსაზღვრულია სავალდებულო თემატური ბლოკები, რომლის საფუძველზეც სკოლასა და მასწავლებელს თავად შეუძლია მისთვის სასურველი თემების გამოყოფა. ასეთი საგნებია, ქართული და ხელოვნება.

მოცემული ცხრილი ასახავს თემატურ ბლოკებს ქართულში.

თემატური ბლოკები

- ❖ ადამიანი და მისი ცხოვრება
- ❖ სამყაროს შეცნობა და ახლის ძიება
- ❖ მარადიული ძიებები

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სტანდარტის ყველა შედეგი და ცნება თითოეული თემის ფარგლებში უნდა დამუშავდეს.

ქვეცნება და საგნობრივი საკითხი

ქვეცნება და საგნობრივი საკითხი ის სტრუქტურული ერთეულებია, რომელებზე დაყრდნობითაც აიგება კომპლექსური დავალებები და რომლის საშუალებითაც ვმუშაობთ სამიზნე ცნებებზე.

ქვეცნებები უფრო მეტად აკონკრეტებს სამიზნე ცნებას, მათი გამოყენებით აქტუალიზდება სამიზნე ცნება. საკითხი კი, უკავშირდება თემის კონტექსტს და გამოკვეთს იდეას, რომელზე დაყრდნობითაც მასწავლებელმა უნდა შექმნას კომპლექსური დავალება.

ქვემოთ მოცემულ ნიმუშში ცხადად ჩანს, რომ ჩამოთვლილი ქვეცნებები კიდევ უფრო მეტად აკონკრეტებს ცნებას „წყარო“.საკითხები კი, მაგალითის სახითაა მოცემული. მასწავლებელს შეუძლია თავად შეარჩიოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც თემატურ კონტექსტთან იქნება კავშირში.

ისტორია			
სამიზნე ცნება	**ქვეცნება**	**თემა**	**საკითხი**
წყარო	არქეოლოგიური მონაცემები	ადრე ბრინჯაოს ხანა	დმანისის აღმოჩენები
	ნუმიზმატიკური მონაცემები		კოლხური თეთრი
	ეპიგრაფიკული მონაცემები		არმაზის ბილინგვა

გეოგრაფია			
სამიზნე ცნება	**ქვეცნება**	**თემა**	**საკითხი**
გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი	ტექტონიკა	ჩრდილოეთ ამერიკა	კორდილიერები
	გეომორფოლოგია		ტორნადოების ხეივანი
	გეოლოგია		იელოუსტოუნის პარკი

ქვეცნებები, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მყარ მოცემულობას წარმოადგენს. ზოგიერთ საგანში, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სავალდებულო თემაც წინასწარაა განსაზღვრული. საკითხის შერჩევაში კი მასწავლებელი თავისუფლია. მას თემასთან დაკავშირებული საკითხთა ჩამონათვალიდან შეუძლია არჩევანი გააკეთოს იმ საკითხზე, რომლის საფუძველზეც იმუშავებს სამიზნე ცნებაზე. თუმცა, საკითხი იმგვარად უნდა შეირჩეს, რომ ცნებების გააზრებას, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობას, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას ემსახურებოდეს.

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალება შემოქმედებითი პროდუქტია, რომლის შექმნა-პრეზენტაციითაც მოსწავლე საკუთარ ცოდნას ადასტურებს საგნობრივ საკითხთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

მაშასადამე, ცნებების დაუფლება და მკვიდრი წარმოდგენების განვითარება მოსწავლემ კომპლექსური დავალებით უნდა დაადასტუროს. შესაბამისად, მოსწავლის მხრიდან ცნების დაუფლების დონის განსაზღვრა კომპლექსური დავალების და შექმნილი პროდუქტის ანალიზით ხდება.

მასწავლებელი აანალიზებს მოსწავლის ზეპირ პასუხებს, დისკუსიაში მონაწილეობას, წერის პროცესს, ნაწერს, განხორციელებულ პროექტებს, სავარჯიშოების შესრულებას და

ა.შ.. შედეგად, მოსწავლეზე დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, თუ რამდენადაა მიახლოებული ან დაცილებული ის ცნების დაუფლების სასურველ დონეს.

შეფასების კრიტერიუმი

შეფასების კრიტერიუმი არის სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს, რა უნდა შეძლოს და შეასრულოს მოსწავლემ სამიზნე ცნებასთან მიმართებით კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში. კრიტერიუმები ახლავს ყველა კომპლექსურ დავალებას და იწერება ქუდის ქვეშ: „ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ“.

მკვიდრ წარმოდგენებთან ერთად თითოეული სამიზნე ცნებისთვის წინასწარ არის განსაზღვრული შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რომლებსაც მასწავლებლი იყენებს კონკრეტული კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების ფორმულირებისათვის, რათა შეაფასოს მოსწავლის შესრულებული კომპლექსური დავალება.

შესაძლებელია ქართულის მასწავლებელმა კომპლექსური დავალების პირობა შემდეგნაირად ჩამოაყალიბოს: სახატავი საშუალებების გამოყენებით, დახატეთ <u>კომიქსი</u> მოთხრობის *(მაგ., ი. გოგებაშვილის მოთხრობის - „ანდროკლე და ლომი“)* მიხედვით.

ამ ტიპის ინსტრუქციის მიღების შემდეგ, მნიშვნელოვანია მოსწავლემ წინასწარ იცოდეს, რა კრიტერიუმის გათვალისწინებით შეფასდება მისი ნაშრომი. მაგ. იქნება შეფასების კრიტერიუმი ნახატის ვიზუალური მხარე და გამოყენებული ფერთა გამა, თუ მოთხრობის სწორად შერჩეული ეპიზოდები, შესაბამისი თავისებურებებით ასახული პერსონაჟები. მხოლოდ, აღნიშნული კრიტერიუმების ცოდნის შემდეგ, შეძლებს მოსწავლე სწორად დაგეგმოს კომპლექსური დავალების შექმნის პროცესი და მასში საჭირო კომპონენტები წარმოაჩინოს. გარდა ამისა, კრიტერიუმებს მასწავლებელი იმგვარად აყალიბებს, რომ მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირებისკენ. შესაბამისად, მოსწავლესაც ჰქონდეს შესაძლებლობა აჩვენოს პროგრესი სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილის მესამე სვეტი ასახავს შეფასების იმ კრიტერიუმებს, რომლითაც მასწავლებელმა დააზუსტა შეფასების ზოგადი კრიტერიუმები და წარმოაჩინა კომპლექსური დავალების პირობაშივე: სახატავი საშუალებების გამოყენებით, დახატეთ <u>კომიქსი</u> მოთხრობის *(მაგ., ი. გოგებაშვილის მოთხრობის - „ანდროკლე და ლომი“)* მიხედვით.

ცნება „ტექსტი“ მკვიდრი წარმოდგენები	**ზოგადი კრიტერიუმები**	**კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები**

1. თითოეული ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და აგებულება.	**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ** კონკრეტული ჟანრის ტექსტის (მაგ., მოთხრობის, იგავის) შინაარსობრივი მხარის, ენობრივი საშუალებების, აგებულების ცოდნა.	**წარმოადგინე** ეპიზოდები თანმიმდევრობის დაცვით **გამოსახე** თითოეული ეპიზოდის მონაწილე პერსონაჟები
2. ყველა ტექსტი შექმნილია რაიმე თემაზე, პრობლემაზე/საკითხზე, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება; ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, იდეებს.	**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ** ტექსტის თემა ან/და მთავარი იდეა, ან/და: საკითხი/პრობლემა; ან/და ტექსტის კავშირი ცხოვრებასთან.	**ისაუბრე** რა გაგახსენა, რაზე დაგაფიქრა ნაწარმოებმა

ცხრილიდან ასევე ნათლად ვლინდება, რომ კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები ყოველთვის დაკავშირებულია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.

კომპლექსური დავალების შექმნის პროცესი

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში თითოეული სკოლა ქმნის მისთვის უნიკალურ კურიკულუმს, რომელიც მორგებულია სკოლის კონტექსტზე, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის ასაგებად საჭიროა: კომპლექსური დავალების პირობის ჩამოყალიბება, სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა კომპლექსური დავალებებით და მოსწავლეთა მიღწევების შეფასება, ასევე კომპლექსურ დავალებაზე დაყრდნობით. როგორც ვხედავთ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად აგებული სასკოლო კურიკულუმის ერთ-ერთი საკვანძო, არსებითი და მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ კომპლექსური დავალებაა.

პირველ რიგში, განვმარტოთ თუ რა არის კომპლექსური დავალება, შემდგომში კი, ვისაუბროთ კომპლექსური დავალების შექმნის პროცესზე.

კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის მიერ შექმნილ შემოქმედებით პროდუქტს, რომლის საშუალებითაც მას აქვს შესაძლებლობა გამოავლინოს და დაადასტუროს ცოდნა. პროდუქტი, რომელსაც მოსწავლე ქმნის კომპლექსური დავალების

სახით, შეიძლება იყოს კომიქსი, პრეზენტაცია, დიორამა, ვიდეორგოლი, რეპორტაჟი და ა.შ. შესწავლილი საკითხებისა და მასალის გარკვეული პროდუქტის სახით წარმოჩენა და ამ პროცესზე მუშაობა ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლასა და საკითხების გააზრებას, ცოდნის საკუთარ გამოცდილებასთან და ცხოვრებასთან დაკავშირებას.

კომპლექსური დავალება მასწავლებელმა იმგვარად უნდა ჩამოაყალიბოს რომ ის ემსახურებოდეს, არა ფაქტობრივი ინფორმაციის დამახსოვრებას, არამედ, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. მაგალითად, დავალების ისეთი ტიპი, როგორიცაა მოსწავლის მიერ მასალის, ტექსტის მხოლოდ შინაარსის გადმოცემა, ორიენტირებულია ფაქტობრივი ინფორმაციის დამახსოვრებაზე, მაშინ როცა კომპლექსურ დავალებაში მოსწავლემ შესასწავლი საგნობრივი საკითხები სიღრმისეულად უნდა გაიაზროს, იმისთვის, რომ შეძლოს მასალის სხვა ფორმით წარმოჩენა, მასზე მსჯელობა, პირად გამოცდილებასთან და/ან სხვა საგნობრივ საკითხებთან დაკავშირება.

კომპლექსური დავალება სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური მიზნის როლს ასრულებს და მიემართება გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირებისკენ. განვიხილოთ კომპლექსური დავალების შემუშავების პროცესი და ძირითადი ერთეულები.

კომპლექსური დავალების შექმნის პროცესში შემდეგ საკვანძო ეტაპებს გამოვყოფთ (რაც განსაკუთრებით აქტუალურია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცესში):

1. გრძელვადიან მიზნებზე ანუ სამიზნე ცნებებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებზე ორიენტირება;
2. თემისა და საკითხის შერჩევა;
3. კომპლექსური დავალების პირობის, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება იმგვარად, რომ სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური მიზნის როლი შეასრულოს;
4. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების შემუშავება;

კომპლექსური დავალების შექმნის პროცესის საილუსტრაციოდ განვიხილოთ კომპლექსური დავალების ბარათის ნიმუში საგანში - მოქალაქეობა და მაგალითების საფუძველზე ვისაუბროთ თითოეულ კომპონენტზე.

გრძელვადიანი მიზნის განსაზღვრა - კომპლექსური დავალების შემუშავებისას, პირველ რიგში, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელ გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული შექმნილი კომპლექსური დავალება. გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებად, როგორც ვიცით, განიხილება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები და სამიზნე ცნებები. როგორც ვხედავთ, კომპლექსური დავალება მიემართება ცნებას „მდგრადი განვითარება“ და მასთან დაკავშირებულ ეროვნული სასწავლო გეგმის 3 შედეგს.

სამიზნე ცნება	მდგრადი განვითარება
შედეგები	7, 10, 11
მკვიდრი წარმოდგენები	
თემა	
საკითხი	
კომპლექსური დავალების პირობა	
კომპლექსური დავალების დამუშავება	

გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირები

გამომდინარე იქიდან, რომ ორივე მათგანი მსხვილი, ზოგადი ორიენტირებია, მასწავლებელს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად დასაგეგმად მათი უფრო მეტად დაკონკრეტება სჭირდება. ამ მიზნით, ცნების შინაარსის შემოსაზღვირსათვის გამოიყენება მკვიდრი წარმოდგენები. შესაბამისად, კომპლექსური დავალების შემუშავების პროცესის შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი აკონკრეტებს თუ რა მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაზე იქნება მიმართული შექმნილი დავალება.

სამიზნე ცნება	
შედეგები	
მკვიდრი წარმოდგენები	• რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; • ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება).
თემა	
საკითხი	
კომპლექსური დავალების პირობა	
კომპლექსური დავალების დამუშავება	

შერჩეული ცნების მოცულობის შემოსაზღვრა

აღსანიშნავია, რომ ყოველი საგნისთვის სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები წინასწარაა განსაზღვრული. მასწავლებელი მოცემული ცნებებიდან და სწავლის შედეგებიდან არჩევს მოცემული მომენტისთვის,

დასამუშავებელი თემისა და საკითხის რელევანტურ ცნებას/ცნებებს, შედეგებს და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით, ქმნის კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას.

თემისა და საკითხის განსაზღვრა - კომპლექსური დავალების შექმნის პროცესის შემდეგ ეტაპზე მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მოსწავლეებისთვის ნაცნობი, აქტუალური თემა. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნაა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი სწორედ თემაზე დაყრდნობით იგეგმებოდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთ საგანში თემები წინასწარაა განსაზღვრული, ხოლო ზოგიერთში მასწავლებელმა თავად უნდა შეარჩიოს. ნიმუშში მოცემული თემა „ბუნებრივი გარემოს დაცვა“ მოქალაქეობის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული თემაა. თემასთან ერთად, ასევე აქტუალურია კონკრეტული საკითხის განსაზღვრა, რომლის შესწავლასაც უნდა ემსახურებოდეს კონკრეტული კომპლექსური დავალება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კარგად შერჩეული საკითხი ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: 1. დაკავშირებულია თემასთან 2. არის კონკრეტული და არა ზოგადი.

სამიზნე ცნება	
შედეგები	
მკვიდრი წარმოდგენები	
თემა	ბუნებრივი გარემოს დაცვა
საკითხი	ნარჩენების მართვა სახლის პირობებში
კომპლექსური დავალების პირობა	
კომპლექსური დავალების დამუშავება	



კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა - მას შემდეგ, რაც მასწავლებელს ჩამოყალიბებული და განსაზღვრული აქვს თემა, საკითხი და გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირები, მან უნდა ჩამოაყალიბოს კომპლექსური დავალების პირობა. პირობაში მკაფიოდ ჩანს რას ქმნის მოსწავლე (**პროდუქტი**) და რა უნდა წარმოაჩინოს ნამუშევარში (**კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები**).

საილუსტრაციოდ განვიხილოთ კომპლექსური დავალების პირობა საგანში მოქალაქეობა. „თქვენ გსურთ, რომ თანაკლასელებს ნივთების ხელახლა გამოყენების, დაზოგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირებისკენ მოუწოდოთ. შექმენით საინფორმაციო ბროშურა - სახლის პირობებში ნარჩენების მართვისა და ხელახლა გამოყენების შესახებ. თქვენ მიერ შექმნილ ნივთთან ერთად წარუდგინეთ კლასს.“ მოცემული კომპლექსური

დავალების პირობაში მკაფიოდ არის განსაზღვრული პროდუქტი - საინფორმაციო ბროშურა.

სამიზნე ცნება	
შედეგები	
მკვიდრი წარმოდგენები	
თემა	
საკითხი	
კომპლექსური დავალების პირობა	თქვენ გსურთ, რომ თანაკლასელებს ნივთების ხელახლა გამოყენების, დაზოგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირებისკენ მოუწოდოთ. შექმენით საინფორმაციო ბროშურა - სახლის პირობებში ნარჩენების მართვისა და ხელახლა გამოყენების შესახებ. თქვენ მიერ შექმნილ ნივთთან ერთად წარუდგინეთ კლასს
კომპლექსური დავალების დამუშავება	



კომპლექსური დავალების პირობის სრულყოფისთვის მხოლოდ პროდუქტის მკაფიოდ წარმოჩენა არაა საკმარისი. მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა. მასწავლებელმა შეფასების კრიტერიუმები იმგვარად უნდა ჩამოაყალიბოს, რომ ისინი უკავშირდებოდეს მკვიდრ წარმოდგენებს. ამისთვის მას შეუძლია იხელმძღვანელოს შეფასების ზოგადი კრიტერიუმებით.

მკვიდრი წარმოდგენები	შეფასების კრიტერიუმები (ზოგადი)	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები
• რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; • ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება.	• გლობალური საფრთხე/საფრთხეები, რომლებიც შეიძლება მოსდევდეს ადამიანის/ადამიანის ჯგუფის კონკრეტულ ქმედებებს; • მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული ლოკალური ქმედებები.	• რატომ არის პროდუქტების ხელახალი გამოყენება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირება და სწორად მართვა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; • როგორ შეუძლია ადამიანს სახლის პირობებში ნარჩენების მართვითა და პროდუქტის ხელახლა გამოყენებით წვლილი

		შეიტანოს ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებაში.

სამიზნე ცნება	
შედეგები	
მკვიდრი წარმოდგენები	
თემა	
საკითხი	
კომპლექსური დავალების პირობა	ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ: • რატომ არის პროდუქტების ხელახალი გამოყენება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირება და სწორად მართვა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; • როგორ შეუძლია ადამიანს სახლის პირობებში ნარჩენების მართვითა და პროდუქტის ხელახლა გამოყენებით წვლილი შეიტანოს ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებაში.
კომპლექსური დავალების დამუშავება	

კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები

კომპლექსური დავალების შექმნის პროცესის შემდეგი ნაბიჯი კომპლექსური დავალების დამუშავებას უკავშირდება, რომელიც ორ ძირითად ეტაპს მოიაზრებს. პირველი ეტაპი მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების **პირობის გაცნობას** ეთმობა. მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოიფიქროს ყველა ის აქტივობა, რესურსი, კითხვები რომელთა საშუალებითაც დაეხმარება მოსწავლეებს მკაფიოდ გაიგონ რა მოთხოვნებია წაყენებული მათ წინაშე, რა უნდა შექმნან და რისი გაკეთება ევალებათ. მაგალითად, თუ კომპლექსურ დავალებაში მოსწავლემ უნდა შექმნას ბროშურა, მასწავლებელი სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით გააცნობს მათ როგორ იქმნება ბროშურა და რა მახასიათებლები აქვს მას. თუ მოსწავლემ მკაფიოდ არ იცის რა უნდა შექმნას და ასევე კონკრეტულად რა წარმოაჩინოს თავის ნაშრომში, ცხადია, გაუჭირდება დავალებაზე მუშაობა და მისი შესრულება.

სამიზნე ცნება	
შედეგები	
მკვიდრი წარმოდგენები	
თემა	
საკითხი	

კომპლექსური დავალების პირობა	
კომპლექსური დავალების დამუშავება	I ეტაპი დისკუსია - რა არის და როგორ იქმნება ბროშურა? გაიხსენეთ რა ტიპის ბროშურები შეგხვედრიათ და რა ინფორმაცია იყო მათზე დატანილი? გაეცანით ბროშურას

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

მეორე ეტაპზე ასევე წარმოდგენილია აქტივობების, რესურსებისა და შეკითხვების ჩამონათვალი, რომლებიც მიმართულია არა კომპლექსური დავალების პირობის გაგებაზე, არამედ იმ მიზნებსა და საგნობრივ საკითხებზე, რომელზეც სჭირდება მოსწავლეს ცოდნის გაღრმავება კომპლექსური დავალების შესასრულებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა აქტივობა, საშინაო დავალება, სასწავლო რესურსები ორიენტირებული უნდა იყოს იმისკენ, რომ მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმაროს.

სამიზნე ცნება	
შედეგები	
მკვიდრი წარმოდგენები	
თემა	
საკითხი	
კომპლექსური დავალების პირობა	
კომპლექსური დავალების დამუშავება	II ეტაპი • სახლის პირობებში მეორადი ნივთებისაგან ახლის შექმნისთვის დამხმარე ვიდეორგოლების გაცნობა • ვიდეოგაკვეთილი • რესურსის გაცნობა ნარჩენების მართვისა და გადამუშავების შესახებ: • ნარჩენების გადამუშავების შესახებ რჩევების განხილვა და მცირე ჯგუფებში მუშაობა

აქტივობები, რესურსები (მოცემულია ჰიპერბმულებით)

კომპლექსური დავალების განხორციელების ბოლო ეტაპი მოსწავლეების შექმნილი პროდუქტის პრეზენტაციაა, რომლის დროსაც ხდება არა მარტო დავალების წარდგენა, არამედ დავალებაზე მუშაობის პროცესზე მსჯელობაც. კომპლექსური დავალების შესრულებისა და წარდგენის შემდგომ კი, მასწავლებელი აკეთებს მოსწავლის

განმავითარებელ შეფასებას, რათა, ერთი მხრივ, შეძლოს მოსწავლეთა მიღწევების დოკუმენტირება სამიზნე ცნებებთან მიმართებით, ხოლო, მეორე მხრივ, მიაწოდოს მათ იმგვარი უკუკავშირი, რომელიც მომავალი დავალების უკეთ შესრულებაში/შედეგის გაუმჯობესებაში დაეხმარებათ.

კომპლექსური დავალებები სასკოლო კურიკულუმისთვის თემატური მატრიცის ფორმატშია შემოთავაზებული. მატრიცა სამსვეტიან ცხრილს წარმოადგენს, სადაც პირველ სვეტში გრძელვადიანი მიზნებია (სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საგნობრივი სტანდარტის შედეგები) მოცემული, მესამე სვეტში შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, ხოლო შუა სვეტი კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის საჭირო რესურსებს, შეკითხვებსა და აქტივობებს ეთმობა. ქვემოთ მოცემულ პირველ ნიმუშში წარმოდგენილია მატრიცის შესავსები შაბლონი, ხოლო მეორეში შევსებული - განხილული კომპლექსური დავალებით.

გრძელვადიანი მიზანი სამიზნე ცნებები, შედეგები, მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი/საკითხები: ქვეცნება/ქვეცნებები:	საკვანძო შეკითხვა:	**შუალედური სასწავლო მიზანი** კომპლექსური დავალების პირობა
	კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები)		

გრძელვადიანი მიზანი სამიზნე ცნებები, შედეგები, მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი/საკითხები: ნარჩენების მართვა სახლის პირობებში ქვეცნება/ქვეცნებები:	საკვანძო შეკითხვა:	**შუალედური სასწავლო მიზანი** კომპლექსური დავალების პირობა
მდგრადი განვითარება (7, 10, 11) 1. რესურსების მოხამრებისას მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება 2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად,	კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები) I ეტაპი დისკუსია - რა არის და როგორ იქმნება ბროშურა? გაიხსენეთ რა ტიპის ბროშურები შეგხვედრიათ და რა ინფორმაცია იყო მათზე დატანილი? გაეცანით ბროშურას II ეტაპი • სახლის პირობებში მეორადი ნივთებისაგან ახლის შექმნისთვის დამხმარე ვიდეორგოლების გაცნობა • ვიდეოგაკვეთილი		თქვენ გსურთ, რომ თანაკლასელებს ნივთების ხელახლა გამოყენების, დაზოგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირებისკენ მოუწოდოთ. შექმენით საინფორმაციო ბროშურა- სახლის პირობებში ნარჩენების ხელახალი მართვისა და გამოყენების შესახებ. თქვენ მიერ შექმნილ ნივთთან ერთად წარუდგინეთ კლასს ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება)	• [რესურსის გაცნობა](#) ნარჩენების მართვისა და გადამუშავების შესახებ: ნარჩენების გადამუშავების შესახებ [რჩევების განხილვა](#) და მცირე ჯგუფებში მუშაობა	• რატომ არის პროდუქტების ხელახალი გამოყენება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირება და სწორად მართვა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; (მ.წ. 1) • როგორ შეუძლია ადამიანს სახლის პირობებში ნარჩენების მართვითა და პროდუქტის ხელახლა გამოყენებით წვლილი შეიტანოს ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებაში.(მ.წ.2)

მოსწავლეების მიღწევების შეფასება

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის მიღწევების შესაფასებლად **განმავითარებელი** და **განმსაზღვრელი** შეფასება გამოიყენება. **განმსაზღვრელი შეფასების** შედეგად დგინდება მოსწავლის მიღწევის დონე საერთო ნორმასთან მიმართებით. აღნიშნული შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაკონტროლება და თითოეული მოსწავლის ცოდნის დონის განსაზღვრა კონკრეტული საკითხის, სემესტრის, წლის თუ საგნობრივი პროგრამის დასრულების შემდგომ. განმსაზღვრელი შეფასება ნიშნებით ან პროცენტული მაჩვენებლებით გამოითვლება, რაც დამოკიდებულია კონკრეტული საგნის თავისებურებაზე.

განმავითარებელი შეფასება მუდმივად მიმდინარე პროცესია და ინტეგრირებულია სწავლა-სწავლების ნებისმიერ ეტაპთან. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი სხვადასხვა მეთოდისა თუ სტრატეგიის გამოყენებით გაკვეთილის, კონკრეტული საკითხისა და/ან დავალების პროცესში აფასებს მოსწავლის ცოდნის დაუფლების

დინამიკას, საგანმანათლებლო და სწავლის საჭიროებას, აკადემიურ პროგრესს. ის ეხმარება მასწავლებლებს იმ ცნებების, საკითხებისა და უნარ-ჩვევების იდენტიფიცირებაში, რომელთა დაუფლებაც გაუჭირდა მოსწავლეს. აღნიშნული პროცესი იძლევა შესაძლებლობას, სამომავლოდ დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის ცვლილებები და მოდიფიკაციები.

„განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი აღწერს თითოეული მოსწავლის სასწავლო წლის განმავლობაში განვლილ საგანმანათლებლო პროცესს. ახასიათებს მის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ასაბუთებს თუ რის გაგება, გააზრება გაუჭირდა მოსწავლეს და რატომ, წაახალისებს მოსწავლის ძლიერ მხარეებს და გაწერს რეკომენდაციებს სასურველი შედეგის მისაღწევად. დასახავს შემდგომი ეტაპის განსახორციელებელ ღონისძიებებს, აქტივობებს და სხვა. შემუშავებული განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს თითოეული მოსწავლისთვის ეფექტიანი საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის შესაძლებლობას მისცემს. შეფასების დოკუმენტი მასწავლებელმა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უნდა გააცნოს და საჭიროების შემთხვევაში მასთან/მათთან ინდივიდუალურად მოხდეს დოკუმენტის განხილვა“.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N55/ნ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“



SOLO ტაქსონომიის გამოყენება განმავითარებელი შეფასებისთვის

ბიგსმა და კოლინსმა (Biggs and Collins (1982)) შეიმუშავეს SOLO (Structure of observed Learning Outcomes - სწავლის შედეგზე დაკვირვების სტრუქტურა) ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესში მოსწავლის შესრულების ზრდისა და დინამიკის აღწერის სისტემურ გზას. მოსწავლის შესრულების დონეები მერყეობს დაბალი (პრესტრუქტურული) დონიდან გაფართოებულ აბსტრაქტულ დონემდე.

პრესტრუქტურული დონე - მოსწავლე ვერ იგებს ახალ საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას და/ან აცდენილია თემასთან მიმართებაში (არ აქვს იდეა);

უნისტრუქტურული დონე - მოსწავლეს შეუძლია მარტივი და ზედაპირული კავშირების დამყარება, იყენებს და იხსენებს ტერმინებს, შეუძლია პერიფრაზი, სახელდება, მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება (აქვს ერთი იდეა);

მულტისტრუქტურული დონე - მოსწავლე იგებს კონკრეტული საკითხის რამდენიმე ასპექტს, თუმცა გართულებულია მათ შორის კავშირების დამყარება. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიკაცია, კომბინაცია, მეთოდების გამოყენება, სტრუქტურირება, კონკრეტული პროცედურების განხორციელება და ა.შ. (აქვს რამდენიმე იდეა, თუმცა უჭირს მათ შორის კავშირების დამყარება);

მიმართებითი დონე - მოსწავლე საკითხის რამდენიმე ასპექტს შორის ამყარებს კავშირებს და აცნობიერებს თუ როგორ ქმნის მათი ერთობლიობა ერთ მთლიანს. მსგავსი მდგომარეობა ქმნის ცოდნისა და გაგების გარკვეულ სტრუქტურას, რაც მოსწავლეს აძლევს შედარების, დაკავშირების, ანალიზის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარების, თეორიის გამოყენების შესაძლებლობას (რამდენიმე იდეას შორის კავშირის დამყარება);

გაფართოებული აბსტრაქტული დონე - მოსწავლეს შეუძლია მოცემული საკითხებისა და ცნებების გენერალიზება, აბსტრაქტულად გავრცობა, სტრუქტურის სხვადასხვა პერპექტივიდან დანახვა, ახალ სიტუაციებში იდეები ტრანსფერი. მას აქვს გენერალიზების, ჰიპოთეზის ჩამოყალიბების, კრიტიკის, არგუმენტირებისა და თეორიზების კომპეტენციები.

პრესტრუქტურული	**უნისტრუქტურული**	**მულტისტრუქტურული**	**მიმართებითი**	**აბსტრაქტული**
				
სწავლის შედეგები არაორგანიზებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელია	სწავლის შედეგებს შორის გარკვეული გაკვშირია, თუმცა მნიშვნელობები არ არის კარგად გააზრებული	სწავლის შედეგებს შორის კავშირები გამოკვეთილია, მაგრამ კომპონენტები არ არის მთლიანობაში გააზრებული	სწავლის შედეგები აჩვენებს, რომ იდეები ერთმანეთთან დაკავშირებულია და გაერთიანებული უფრო ზოგადი	სწავლის შედეგებით ვლინდება საკითხის სიღრმისეული წვდომა, სხვა ცნებებთან დაკავშირება - გენერალიზება, შეფასება, ჰიპოთეზების

			იდეის ქვეშ	შემუშავება
არც ერთი იდეა	ერთი იდეა	რამდენიმე დაუკავშირებელი იდეა	დაკავშირებული იდეები	გაფართოებული იდეები
				

ზმნები, რომლებიც აღწერენ მოსწავლის შესრულებას SOLO ტაქსონომიის სხვადასხვა დონეზე.

SOLO დონე	ზმნები	ფაზა
	გენერალიზება, განსაზღვრა, ვარაუდი, შეფასება, რეფლექსია, ჰიპოთეზების შემუშავება, გამთლიანება, შექმნა	თვისებრივი
	კლასიფიცირება, კატეგორიზება, ახსნა, შედარება, განსხვავებების პოვნა, ანალიზი, დაკავშირება, გამოყენება	
	აღწერა, გამოყოფა, ჩამოთვლა, გამეორება, პერიფრაზირება, ინსტრუქციებზე მიყოლა	რაოდენობრივი
	განმარტება, იდენტიფიცირება, დასახელება, მარტივი პროცედურების განხორციელება	
	ზმნების გარეშე- მოსწავლე ვერ იგებს საკითხს/დავალებას	

აღნიშნული ტაქსონომიის მოდელს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების განხორციელებისთვის იყენებს. კომპლექსურ დავალებაზე მოსწავლეები რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში მუშაობენ, ეცნობიან მასალას, ასრულებენ აქტივობებს, პროცესში მასწავლებლისგან იღებენ უკუკავშირს, რაც, ბუნებრივია, დავალების შესრულებისთვის, ცოდნის გაღრმავებისთვის მნიშვნელოვანი და ღირებული პროცესია.

გარდა უწყვეტი უკუკავშირისა, მასწავლებლის ამოცანაა შეაჯამოს მოსწავლის მიღწევები გარკვეული პერიოდულობით, იქნება ეს ერთი თემის, კომპლექსური დავალების თუ სემესტრის დასასრული.

შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების საწარმოებლად ჰოლისტური **რუბრიკა** გამოიყენება, რომლის საშუალებით მოსწავლის მიღწევები სამიზნე ცნებასთან მიმართებით აღიწერება იმ კონკრეტული თემისა და საკითხის გათვალისწინებით, რომელიც მუშავდება კომპლექსურ დავალებაში.

ჰოლისტური რუბრიკა ორი მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შედგება, რომელთაგან ერთში აღიწერება მოსწავლის შესრულება, როგორ განახორციელა მან კომპლექსური დავალება, ხოლო მეორეში მასწავლებელი იმ მნიშვნელოვან რჩევებსა და მინიშნებებს აძლევს მოსწავლეს, რომელიც დაეხმარება, ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებას.

ქვემოთ მოცემულ ნიმუშში[3] საილუსტრაციოდ მოყვანილია ერთი მოსწავლის განმავითარებელი შეფასების მაგალითი ისტორიაში. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ ტაქსონომიის დონის განსაზღვრა მხოლოდ მასწავლებლისთვის არის ღირებული და ინსტრუმენტის გამოყენება არ უნდა გახდეს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და მიღწევების მიხედვით დაყოფის საფუძველი. სწორედ ამიტომ, ტაქსონომიის რომელ დონეს შეესაბამება მოსწავლის შესრულების ხარისხი მხოლოდ მასწავლებლებისთვისაა ცნობილი, ხოლო მოსწავლეებს რუბრიკის მეორე სვეტი, რჩევები და განმავითარებელი უკუკავშირი მიეწოდებათ.

საგანი: ისტორია		
<u>საკითხი</u> *რა საკითხს ვასწავლი?*	**<u>მიზანი (შედეგი, სამიზნე ცნება, მკვიდრი წარმოდგენები</u>** *რა მიზნით ვასწავლი?*	**<u>კომპლექსური დავალების პირობა</u>** *რა კომპლექსური დავალებით ვამოწმებ მოსწავლის ცოდნას?*
ქვის ხანის ადამიანი	ცნება - საზოგადოება შედეგები - 7, 8, 10, 11, 12 მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს: 1. ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; 2. საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად; 3. საზოგადოების წევრებს ხშირად აქვთ სტერეოტიპული წარმოდგენები სხვა საზოგადოებების („კულტურული სხვის“) შესახებ.	**კომპლექსური დავალების პირობა:** წარმოიდგინე, რომ ხარ ქვის ხანაში მცხოვრები ადამიანი, იმ განსხვავებით, რომ შეგიძლია წერა და წერ **დღიურს** პირველ პირში. დღიურის საშუალებით გადმოეცით ქვის ხანაში მცხოვრები ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება. **„დღიურში" ხაზგასმით წარმოაჩინე:** • როგორც ქვის ხანის ადამიანი, როგორ გარემოში ცხოვრობდი და რას საქმიანობდი; • როგორი იყო შენი, როგორც ქვის ხანის ადამიანის კვებითი რაციონი; • როგორი რწმენა -წარმოდგენები გქონდა და როგორ აღიქვამდი სამყაროს.

სოლო ტაქსონომიის დონე	აღწერა	რჩევა
აბსტრაქტული დონე		
მიმართებითი დონე	მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა „დღიური", რომელშიც საინტერესოდ გადმოგვცა ინფორმაცია ქვის ხანის ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, სად ცხოვრობდნენ პირველყოფილი ადამიანები, რას საქმიანობდნენ ისინი და რა მასალისგან დამზადებულ იარაღს იყენებდნენ, როგორი	შენ მშვენივრად გაართვი თავი დავალებას. შენი ნაშრომიდან ჩანს, რომ სიღრმისეულად გაიაზრე ქვის ხანის ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება. მსჯელობ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ ეთნოგრაფიულ ყოფაზე: სად ცხოვრობდნენ პირველყოფილი ადამიანები, რას საქმიანობდნენ ისინი, რა

[3] კომპლექსური დავალების განხორციელება და მოცემული განმავითარებელი შეფასების ნიმუში ეკუთვნის ისტორიის მასწავლებელს, მარეხ ჩიკვაიძეს

	კვების რაციონი ჰქონდათ.. მისი გმირი გამომგონებელია, საინტერესოდ აღწერს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების გამოგონების პროცესს და აუცილებლობას (მაგ - შევქმნა ნივთი, რომლითაც შევაგროვებ საკვებს, მოვიტან წყალს, გაუძლებს ცეცხლს). დღიურიდან ჩანს, რომ მოსწავლეს შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები დაამყაროს ქვის ხანის ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მათ მიერ განხორციელებული სიახლეების აუცილებლობას შორის. საინტერესოდ აქვს აღწერილი რიტუალი, თუმცა ეს არის უფრო მოსწავლის ფანტაზიის ნაყოფი, ვიდრე რესურსებიდან მიღებული ინფორმაცია.. დღიურში ვხვდებით ანაქრონიზმებს (მეთუნეობა, ღმერთი, თვე).	მასალისგან დამზადებულ იარაღს იყენებდნენ და როგორი კვების რაციონი ჰქონდათ. საინტერესოდ იყო, შენს მიერ, აღწერილი მიზეზები, რამაც მიგიყვანა გამოგონებებამდე (შევქმნა ნივთი, რომლითაც შევაგროვებ საკვებს, მოვიტან წყალს, გაუძლებს ცეცხლს). რიტუალი საინტერესოდ გქონდა აღწერილი, თუმცა არ არის სრულყოფილად გადმოცემული პირველყოფილი ადამიანის რწმენა - წარმოდგენები. ვხდები ანაქრონიზმებს მაგ: ღმერთი, ,,მეთუნეობა'', ,,თვე''. გაეცანი ინფორმაციასპირველყოფილი ადამიანის რწმენა -წარმოდგენების შესახებ და მოერიდე ანაქრონიზმების გამოყენებას.
მულტისტრუქტურული დონე		
უნისტრუქტურული დონე		
პრე-სტრუქტურული დონე		

III ნაწილი - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობის მნიშვნელობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლებისას

გზამკვლევის აღნიშნულ თავში განიხილება და დასაბუთდება თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეროვნული სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ცოდნის დონე შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს თანატოლების ცოდნის დონისგან. ხაზი გაესმება სასწავლო მიზნების განსაზღვრამდე მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის დადგენის მნიშვნელობას იმისათვის, რომ მოხდეს რეალისტური და რელევანტური მიზნებისა და მოლოდინების შერჩევა - ფორმირება. განიხილება აღნიშული მიზნებისთვის კომპლექსური დავალებების გამოყენების შესაძლებლობი.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანას მკაფიო ხედვა აქვს ჩამოყალიბებული, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მოქალაქე, როდესაც ის ზოგადი განათლების საფეხურს დაასრულებს და ფაქტობრივად, მზად იქნება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

აღნიშნული ხედვა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებშია ასახული და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება. არსებობს მოლოდინი, რომ ზოგადი განათლების სისტემა მოამზადებს მოზარდს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და ის შეეძლებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებზე ეფექტიანად რეაგირებას; ამავდროულად, შეძლებს სარგებლის მოტანას საკუთარი თავისთვის, საზოგადოებისა და ქვეყნისთვის. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც სკოლაში სწავლისას მოსწავლეს უნდა განუვითარდეს. მაგალითად, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა და ა.შ. ამავდროულად, აღნიშნულ დოკუმენტში დაზუსტდა თუ რას, როდის, რა თანმიმდევრობით და როგორ უნდა ეუფლებოდეს მოსწავლე იმისათვის, რომ ზოგადი განათლების დასრულების შემდეგ მასში აღნიშნულთან ერთად, ის უნარები იყოს ფორმირებული, რაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით არის განსაზღვრული.

ეროვნულმა სასწავლო გეგმამ განსაზღვრა საგნობრივი მიმართულებები და კომპეტენციები საგნობრივ დონეზე. ამავდროულად, თითოეულ საგნობრივ სტანდარტში

დაზუსტდა ეროვნულის სასწავლო გეგმის სტრუქტურული ერთეულები - ცნებები, სწავლის შედეგები და სხვა.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული ფუნქციური ცოდნა განისაზღვრა პროფესიონალთა და დარგის ექსპერტთა მიერ და დაზუსტდა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით. გაანალიზდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, მოზარდის განვითარების თავისებურებები, ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლების კანონზომიერებები, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული თითოეული დარგის (საგნის) სპეციფიკა და სხვ.

ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების შემდეგ, საქართველოს ყველა სკოლას დაევალა იხელმძღვანელოს აღნიშნული დოკუმენტით და მიჰყვეს მას თითოეული მოსწავლის სწავლა - სწავლების პროცესში.

თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებით, მასწავლებლის უმთავრესი ამოცანაა, ერთდროულად იყოს ორიენტირებული ზოგადი განათლების, ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში განსაზღვრულ მიზნებზე და ამ გზით ხელი შეუწყოს, ერთის მხრივ, სიღრმისეული ცოდნისა და კომპეტენციის განვითარებას, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი და სწორი ღირებულებების მქონე მოქალაქის ფორმირებას.

შესაბამისად, გამონაკლისი ვერ შეეხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს. მიუხედავად, მოსწავლეთა შორის არსებული მრავალფეროვნებისა, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღრულ მიზნებზე ორიენტირება ყველა მათგანისთვის მნიშვნელოვანია. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნები, რასაკვირველია, ღირებული და აქტუალური რჩება მათთვისაც.

დაუშვებელია ვიფიქროთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვა გამართლებულია მხოლოდ იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც აქვთ მზაობა გაუმკლავდებიან მოცემულ მოთხოვნებს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ის შეუსაბამოა, რადგან ისინი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ თანატოლებისგან ცოდნის დონით, მისი ათვისების ტემპით, დემონსტრირების შესაძლებლობით და შესაძლებელია, სპეციფიურ და თანატოლებზე მეტ მხარდაჭერას საჭიროებდნენ აღნიშნულ პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული მიზნები თანაბრად მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლისთვის, გასათვალსწინებელია, რომ სასწავლო პროცესის ყველასთვის იდენტურად წარმართვა გაუმართლებული და შეუძლებელიც კი იქნება.

იმისთვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ აჩვენოს პროგრესი მიზნების მიღწევის გზაზე და შესაძლებლობის ფარგლებში შეიძინოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცოდნა, მნიშვნელოვანია, სასწავლო

პროცესი დაიგეგმოს მოსწავლის თავისებურების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ამისათვის, შესაძლებელია, მასწავლებელს დასჭირდეს მოსწავლისთვის ცოდნის გადაცემის ინდივიდუალური მიდგომების და გზების ძიება და ამ გზაზე მისთვის სპეციფიური მხარდაჭერა. ზოგიერთ შემთხვევაში გარდაუვალი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში განსაზღვრული მიზნების ინდივიდუალურად ფორმულირება.

ამ განსხვავებულობას, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელმა თავი არ უნდა აარიდოს. მეტიც, მნიშვნელოვანია, მან შემდეგ პრინციპებს უერთგულოს:

- მიუხედავად მოსწავლეთა შესაძლებლობებს შორის განსხვავებისა, განურჩევლად ყველა უნდა იყოს ორიენტირებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ მიზნებზე;
- ყველა მოსწავლესთან ერთნაირი მონდომებით უნდა მუშაობდეს პროგრესისთვის და შედეგის გაუმჯობესებისთვის;
- ჰქონდეს მიმღებლობა იმისა, რომ შესაძლებელია, მოსწავლეებმა იდენტური შედეგი ვერ აჩვენონ;
- შეეძლოს მოსწავლის ცოდნის დაფასება, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღწევა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს თანატოლების შედეგისგან.

საგნობრივი შეფასებისა და მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის განსაზღვრის მნიშვნელობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის

ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები ზოგადი მიზნობრივი ორიენტირებია. კურიკულუმის ასაგებად მასწავლებელს მათი კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტება სჭირდება.

ცნების მიღწევის სასურველი დონის განსაზღვრისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინებს მოსწავლეთა თავისებურებები, წინარე ცოდნა და ცნების მოცემულ ეტაპზე ფორმირების დონე (მიღწევის აქტუალურ დონეს), რაც განპირობებულიზ მოსწავლეთა ასაკით, საგანმანათლებლო წლით (რომელ კლასში არიან ისინი), საგანმანათლებლო ისტორიით, სასწავლო პროცესით, რომელშიც მანამდე იყვნენ ჩართულნი, და სხვა. იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეთათვის კონკრეტულ საგანში რელევანტური სასწავლო მიზანი განსაზღვროს, მან პირველ რიგში ამ საგნობრივ პროგრამაში მოსწავლეთა ცოდნა ანუ მიღწევის აქტუალური დონე უნდა შეაფასოს.

შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, მასწავლებელი უწყვეტად აკვირდება მოსწავლეთა მიღწევებს, მათ შესრულებას, აფიქსირებს მათ წარმატებებს, თუ გამოწვევებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგნობრივი შეფასება განსაკუთრებით აქტუალურია იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი არ იცნობს მოცემულ მოსწავლეს, რადგან არ აქვს მისი სწავლების გამოცდილება, არასაკმარისად მიიჩნევს მოსწავლის მიღწევების შესახებ არსებულ ჩანაწერებს და / ან აქვს ეჭვი, რომ უკანასკნელი შეფასების შემდეგ, მოსწავლის ცოდნის დონე შეიცვალა.

გამოცდილ მასწავლებელს არ გამორჩება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ასაკი და კლასი ყოველთვის არ არის მათი მიღწევის აქტუალური დონის უტყუარი ინდიკატორი. შესაბამისად, თუკი სტანდარტულ შემთხვევაში, მეორე კლასის მოსწავლეებთან სასწავლო პროცესის დაწყებისას, მასწავლებელს ექნება გარკვეული მოლოდინი, თუ როგორ იქნება მაგ. გაგების, ინტერპრეტაციის ცნებები ფორმირებული, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შემთხვევაში მისი ასაკი და კლასი, რომელშიც ისინი სწავლობენ, ყოველთვის ვერ იქნება მიღწევის აქტუალური დონის მაჩვენებელი.

ნებისმიერ შემთხვევაში, გვექნება საქმე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან თუ მის თანატოლებთან, მოსწავლეთა მიღწევის აქტუალური დონის განსაზღვრისას მასწავლებელი მხოლოდ ვარაუდებით არ შემოიფარგლება. ის იყენებს შესაბამის დავალებებს იმისათვის, რომ უფრო მეტი სიზუსტით დაადგინოს მოსწავლეთა მიღწევის აქტუალური დონე მოცემულ ცნებებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებით.

შესაბამისად, სასწავლო პროცესი მასწავლებელმა მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის განსაზღვრით უნდა დაიწყოს. მან უნდა გამოიყენოს შესაბამისი დავალებები იმისათვის, რომ უფრო მეტი სიზუსტით დაადგინოს მოსწავლეთა მიღწევის აქტუალური დონე სტანდარტით განსაზღვრულ ცნებებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებით.

მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონის განსაზღვრისას მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს შეფასების ორი დაღმავალი და აღმავალი მეთოდი. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

დაღმავალი შეფასება:

შეფასების დაღმავალი მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი გაითვალისწინებს მოსწავლის ასაკსა და სასწავლო წელს (რომელ კლასშია ის). ამ მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეს პირველ რიგში, შესასრულებლად წარუდგენს მისი ასაკისა და კლასის შესაბამის დავალებებს და დააკვირდება მის შესრულებას. იმ შემთხვევაში, თუ

მოსწავლე ვერ გაუმკლავდა მიწოდებულ დავალებებს, მასწავლებელი თანდათან შეამცირებს მოსწავლის წინაშე განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასწავლებელი იქამდე აგრძელებს შეთავაზებული დავალებების გამარტივებას, სანამ მოსწავლე წარმატებით და დახმარების გარეშე არ გაართმევს თავს.

აღმავალი შეფასება:

შეფასების აღმავალი მეთოდის გამოყენებისას, მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს ქვედა კლასის და ასაკობრივი ჯგუფის დავალებებს. თუკი მოსწავლე იოლად უმკლავდება მიწოდებულ დავალებებს, მასწავლებელი აგრძელებს შეფასების პროცესს და სთავაზობს მოსწავლეს შედარებით გართულებულ დავალებებს, რის შემდეგაც ისევ აკვირდება მის შესრულებას. მასწავლებელი იქამდე აგრძელებს ახალ-ახალი გამოწვევის მქონე დავალებების მოსწავლისთვის მიწოდებას, სანამ არ გახდება ცხადი, რომ მოსწავლე აღარ ფლობს მათ გასამკლავებლად შესაბამის კომპეტენციას. დავალებები, რომლებსაც მოსწავლე თავს გაართმევს იქნება მისი მიღწევის აქტუალური დონის ამსახველი.

შეფასების პროცესის სიზუსტისთვის, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად შეარჩიოს ის საკვანძო დავალებები, რომლითაც ის ზედმიწევნით და მაქსიმალური სიზუსტით გამოავლენს და აღწერს მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონეს.

სწორედ მიღწევის აქტუალური დონის დადგენის შემდეგ ხდება შესაძლებელი განისაზღვროს მოსწავლის მიღწევის უახლოესი ზონა, ანუ რელევანტური და მიღწევადი მიზნები და აქტივობები. გამოცდილმა მასწავლებელმა იცის, რომ მოსწავლისთვის დასახული მიზნები, იმ შემთხვევაში იქნება რეალისტური და მიღწევადი, თუ შეირჩევა მოსწავლის მიღწევის უახლოესი ზონიდან.



განვიხილოთ მაგალითი: ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთი სწავლის შედეგი, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული

მოსწავლეს შეუძლია:
წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება
ქართ. დაწყ.(I).9

იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელს აინტერესებს როგორია მისი მეოთხეკლასელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონე აღნიშნულ სწავლის შედეგთან მიმართებაში, როგორც აღვნიშნეთ ის შესაბამისი დავალებების მიწოდებით შეაფასებს რამდენად და როგორ მიუახლოვდა მოსწავლე აღნიშნულ შედეგს.

მან შეფასების შედეგად შესაძლებელია აღმოაჩინოს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღწევის დონე მოცემულ შედეგთან მიმართებით შემდეგნაირია:

- **მოსწავლე საჭიროებს დამატებითი შეკითხვების** დასმას წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების (მომეწონა/არ მომეწონა) გამოსახატავად და მისი მიზეზის აღსაწერად;
- **მხოლოდ ერთი თვალსაჩინო ნიშნით აღწერს** პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილია, ზარმაცია და ა.შ.).

ამ შემთხვევაში, დაკვირვებულ მასწავლებელს არ გამოეპარება, რომ მოსწავლის მიღწევის დონე, გაცილებით ჩამოუვარდება მიღწევის იმ დონეს, რაც მეოთხე კლასშია მოსალოდნელი.

შესაბამისად, თუკი შეფასების საფუძველზე მასწავლებელმა დაადგინა, რომ მეოთხე კლასში მოსწავლის მიღწევის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება თანატოლების მიღწევის დონისგან, მიზნების შერჩევა მას მოსწავლის მიღწევის უახლოესი ზონის გათვალისწინებით მოუწევს, რადგან თანატოლებისთვის განსაზღვრული მიზნები, მისთვის არარელევანტური და შესაბამისად, გაუმართლებელი იქნება.

მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონის დოკუმენტირება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა. შეფასების პროცესში მასწავლებელს მოეთხოვება, ერთი მხრივ, ზედმიწევნით გამოავლინოს მოსწავლის

მიღწევის აქტუალური დონე, ხოლო მეორე მხრივ, მაქსიმალური სიზუსტით აღწეროს მოსწავლის მიერ გამოვლენილი შესრულება.

მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონის ამსახველი ჩანაწერი თვალსაჩინოდ და ცხადად უნდა ასახავდეს თუ რის შესრულება შეუძლია მოსწავლეს. მასწავლებელმა შესაბამისი დრო უნდა დაუთმოს ჩანაწერის იმგვარ ფორმულირებას, რომ ის აბსოლუტური სიზუსტით ასახავდეს თუ რას, როგორ, რა ხარისხით, რა სახის დახმარებით, ტემპით და ა.შ. ახორციელებს მოსწავლე.

განვიხილოთ მაგალითი. დავუშვათ რომ მასწავლებელი აფასებს მეოთხე კლასელი მოსწავლის ცოდნის აქტუალურ დონეს მათემატიკაში. მისი მიზანია გამოიკვლიოს რა ცოდნა აქვს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეს ცნება „რიცხვები და თანრიგები“ და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის შედეგებთან მიმართებებით, რომლებიც შემდეგნაირად ჟღერს:

მათ.დაწყ. 1. მოსწავლე უნდა ფლობდეს და იყენებდეს რიცხვის ცნებას და რიცხვის წარმოდგენის საშუალებებს; მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების შედარება და კლასიფიცირება.

მათ. დაწყ. 13 მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე მარტივი ამოცანების ამოხსნა.

მასწავლებლის ამოცანა იქნება, პირველ რიგში განსაზღვროს ის რელევანტური დავალება / დავალებები (მათ შორის კომპლექსური დავალებები), რომლებიც გამოავლს მოსწავლის ცოდნის დონეს და პროგრესს აღნიშნულ ცნებასთან და შედეგებთან მიმართებაში. დავალებების მოსწავლისთვის წარდგენის შემდეგ, მასწავლებლის ამოცანა იქნება ყურადღებით დააკვირდეს, თვალყური ადევნოს მოსწავლის შესრულებას, ასევე გააანალიზოს მოსწავლის შექმნილი პროდუქტი და მათი ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს მისი მიღწევები.

მასწავლებელმა მაქსიმალური სიზუსტით უნდა შეძლოს მოსწავლის შესრულების აღწერა და დოკუმენტირება. მოღწევის შესრულების აღწერისას, მასწავლებელმა უნდა აღნიშნოს რისი შესრულება შეუძლია მოსწავლეს და ასევე აღწეროს რას ვერ ახორციელებს და რა შეცდომებს უშვებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კონკრეტული მოსწავლის შესრულებას ზემოთ მოცემულ სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

მათ.დაწყ. 1. მოსწავლე უნდა ფლობდეს და იყენებდეს რიცხვის ცნებას და რიცხვის წარმოდგენის საშუალებებს; მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების შედარება და კლასიფიცირება.
- მოსწავლე ასახელებს და წერს რიცხვებს 30 ის ფარგლებში (ზოგჯერ ერევა 12 და 21-ს ჩაწერა);

- 20-ის ფარლებში მიწოდებულ რიცხვთა თანმიმდევრულ მწკრივში წერს გამოტივებულ ციფრებს; - 20 ის ფარგლებში წერს მიწოდებული ციფრის წინა და მომდევნო რიცხს; - განსაზღვრავს რაოდენობას 20 ის ფარგლებში (13-14 ზე მეტი დახატული საგნის, სიმბოლოს შემთხვევაში გადათვლისას ხშირად უშვებს შეცდომას, თუმცა წერტილების დასმით ითვლის სწორად და ამბობს, წერს რამდენია); - ერთნიშნა და ორ ნიშნა რიცხვებს ადარებს ერთმანეთს, უძნელდება ერთმანეთთან ახლოს მდგომი რიცხვების (5-6, 12-13) შედარება;
მათ. დაწყ. 13 მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე მარტივი ამოცანების ამოხსნა.
- მოსწავლე რაოდენობას განსაზღვრავს გარემოში არსებული საგნების გამოყენებით; - ადარებს (ამბობს ბევრი თუ ცოტა) საკლასო ოთახში, რესურს ოთახში არსებულ ნივთების გამოყენებით; - უძნელდება ყოველღიურ სიტუაციებში რიგობითი რიცხვითი სახელის გამოყენება (მაგ: უჭირს დაასახელოს მერამდენე გაკვეთილია მათემატიკა)

ბუნებრივია, სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებელს მოსწავლის პროგრესის დეტალურად აღწერა უწევს თითოეულ ცნებასთან და სწავლის შედეგთან მიმართებაში, რომლებზეც მიმდინარეობდა მუშაობა მოცემულ მომენტამდე.

მიღწევის აქტუალური დონის დოკუმენტირება შესაძლებელია შემდეგი ფორმატით. მოცემული ცხრილი ასახავს კონკრეტულ ცნებას და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებსა და სწავლის შედეგებს. ცარიელ სვეტს ავსებს მასწავლებელი და თითოეული ცნების, სწავლის შედეგის გასწვრივ ასახვას მოსწავლის მიღწევას აღნიშნულ სწავლის მიზნებთან მიმართებაში.

ცნება: რიცხვები და თანრიგები		**მოსწავლის მიღწევა**
მკვიდრი წარმოდგენები	სწავლის შედეგები	
1. საგანთა ყველა კონკრეტულ რაოდენობას შეესაბამება კონკრეტული რიცხვი; 2. რიცხვების გამოსახვის სხვადასხვა გზა არსებობს (მაგალითად ასო-ნიშნებით) - მათ შორის ციფრებით; 3. განსხვავებულ რიცხვებს აქვთ განსხვავებული სახელები და	**მათ.დაწყ. 1.** მოსწავლე უნდა ფლობდეს და იყენებდეს რიცხვის ცნებას და რიცხვის წარმოდგენის საშუალებებს; მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების შედარება და კლასიფიცირება.	
	მათ. დაწყ. 13. მოსწავლემ უნდა შეძლოს ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე მარტივი ამოცანების ამოხსნა.	

განსხვავებული აღნიშვნები; 4. ორი სხვადასხვა რიცხვიდან ერთ-ერთი აუცილებლად მეტია მეორეზე. 5. ათობით პოზიციურ სისტემაში სულ ათი ციფრია საკმარისი ნებისმიერი რიცხვის გამოსახატავად: რიცხვის ჩაწერის პოზიციურ სისტემაში ციფრის მნიშვნელობა მისი ადგილის მიხედვით იცვლება.		

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კონკრეტული მოსწავლის მოღწევას ცნებასთან კვლევა და ბუნებრივი მოვლენა, საგანში ბუნება.

ცნება: კვლევა		**მოსწავლის მიღწევა**
მკვიდრი წარმოდგენები	**სწავლის შედეგები**	
1) მეცნიერული კვლევა გვეხმარება ბუნებაში არსებული კანონზომიერებების ამოცნობაში; 2) მეცნიერული კვლევა მრავალეტაპიანი პროცესია.	ბუნ.დაწყ.1 პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.	ხელსაწყოს დასახელება და გამოყენება (ლუპა, სახაზავი, მენზურა); მოსწავლეს შეუძლია დაკვირვების პროცესში მონაწილეობა და მიმდინარეობის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა (ჯერ რა იყო და რა მოხდა); მოსწავლეს უჭირს დამოუკიდებლად დაგეგმოს მარტივი კვლევა (ცდა, ექსპერიმენტი), თუმცა მიყვება მასწავლებლის ზეპირ ან ვიზუალურ მინიშნებას. მოსწავლე კვლევის ჩატარების პროცესში იცავს შემდეგ უსაფრთხოების ზომებს, ადუღებული წყლის მიერ ორთქლის წარმოქმნაზე დაკვირვებისას იცავს დისტანციას გახურებული ჭურჭლისგან. მოსწავლემ ამბობს, რომ ცდის ჩატარების დროს საჭიროა ხელთათმანების გაკეთება, თუმცა სჭირდება მასწავლებლის შეხსენება მოქმედების განსახორციელებლად.
ცნება: ბუნებრივი მოვლენა		
1) ამინდის ცვალებადობას ბუნებრივი მოვლენები(მაგ., წვიმა, ქარი, ჭექა-ქუხილი,	ბუნ.დაწყ. 4 ციკლური ბუნებრივი მოვლენების აღწერა და	მოსწავლეს შეუძლია ბუნებრივი მოვლენების დასახელება როგორც თვალსაჩინოებაზე დაყრდნობით, ასევე ყოველდღიურობაში (წვიმა, თოვლი, ქარი, მზიანი ამინდი). უჭირს ბუნებრივი მოვლენების წარმოქმნის შესახებ

თოვლი, სეტყვა) განაპირობებს; 2) ბუნებრივ მოვლენები სხვადასხვა მიზეზით წარმოიქმნება; 3) ცვლილებებს ბუნებაში ხშირად პერიოდული ან/და ციკლური ხასიათი აქვს; 4) ბუნებრივი მოვლენა შეიძლება კატასტროფად იქცეს; ადამიანის საქმიანობას ბუნებრივი კატასტროფის გამოწვევა შეუძლია.	მათ გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა.	საუბარი, თუმცა ამბობს, რომ ციდან მოდის წვიმა/თოვლი. წელიწადის დროებს (ზამთარი, ზაფხული) უკავშირებს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მოსწავლეს შეუძლია ამინდის განმეორებითობის შესახებ შემდეგი სახის მიმართებების დამყარება, მაგ: ამბობს, რომ ზაფხულშიც და ზამთარშიც შეიძლება მოვიდეს წვიმა, ქარი.

აღნიშნულ ცხრილში მოცემულია საფეხურებრივი სწავლის შედეგები და მკვიდრი წარმოდგენები, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე შეფასდება სტანდარტულ მოთხოვნებთან მიმართებაში. თუმცა, სრულიად მისაღებია, რომ ანალოგიური ცხრილი მასწავლებელმა პირველ რიგში შეავსოს მოსწავლისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული სწავლის შედეგებით და მკვიდრი წარმოდგენებით; მოსწავლე კი შეაფასოს მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

ბუნებრივია, რაც უფრო მიახლოებული იქნება მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონის ამსახველი ჩანაწერი მისთვის განსაზღვრულ სასწავლო მიზანს, მით უფრო წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს განხორციელებული სასწავლო პროცესი. თუმცა, დასაშვებია, რომ მოსწავლის მიღწევის აქტუალურ დონე არ დაემთხვეს მისთვის დასახულ სასწავლო მიზანს. ეს გამართლებულია მაშინ, თუ მოსწავლე სხვადასხვა მიზეზით ნაკლებ პროგრესს აჩვენებს მისთვის განსაზღვრულ მიზანთან მიმართებაში.

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ან ნებისმიერ საჭირო მომენტში, მასწავლებელი აჯამებს მოსწავლის შედეგებს და წერს დასკვნას მოსწავლის სასწავლო მიზნების შესრულების/მიუახლოების შესახებ.

მოსწავლეთა პროგრესის შეჯამებულად დოკუმენტირება, როგორც წესი, ხდება სასწავლო სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს; თუმცა შესაძლებელია, მასწავლებელს დასჭირდეს მოსწავლის პროგრესის შეჯამება საჭიროებიდან გამომდინარე. ხშირად ეს ხდება მაშინ, როდესაც სკოლის ადმინისტრაცია ან მშობელი გამოხატავს დაინტერესებას თუ როგორია მოცემულ ეტაპზე მოსწავლის შედეგები, მიღწევები. ამგვარი საჭიროება შესაძლებელია დადგეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ გუნდის) შეხვედრისას, მშობელთან ინდივიდუალური გასაუბრებისას და სხვა.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელი თვალსაჩინოდ ასახავდეს მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონეს ანუ აკეთებდეს შესაბამის აღწერით ჩანაწერებს.

შეჯამების დასაწერად, მასწავლებელს დაეხმარება რეფლექსიის შემდეგი კითხვები:

- იყო თუ არა აღნიშნული გრძელვადიანი მიზნები (სწავლის შედეგები) მოსწავლისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული?
- განიცადა თუ არა პროგრესი მოსწავლემ მისთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან მიმართებაში? რამდენად განიცადა პროგრესი? რაში ვლინდება აღნიშნული პროგრესი? რის შესრულება შეუძლია? როგორ ასრულებს და სხვა.
- რამდენად განიცადა მოსწავლემ პროგრესი სტანდარტულად განსაზღვრულ სწავლის შედეგთან მიმართებაში? რამდენად განსხვავდება მოსწავლის მიღწევის დონე, სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის დონიდან?

მოსწავლეთა მიღწევის აქტუალური დონის დადგენის შემდეგ, მასწავლებლის ამოცანაა ადეკვატური ახალი გამოწვევა განსაზღვროს მოსწავლეთათვის და მათთვის. რეალისტური მოლოდინები დასახოს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობები - ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია (აკომოდაცია, მოდიფიკაცია)

საგნობრივ სტანდარტებში მოცემული სწავლის შედეგებისა და ცნებების ანალიზისას, ნათელი ხდება თუ რამდენად ღირებული და აუცილებელი სწავლის შედეგები და სამიზნე ცნებებია განსაზღვრული. ისინი ჩამოყალიბდა დარგის ექსპერტთა სიღრმისეული მსჯელობის შედეგად, რომელთა ამოცანას წარმოადგენდა საგნობრივი მიმართულებების ფარგლებში იმ აუცილებელ კომპეტენციებზე შეთანხმება, რომელთა საფუძველზეც მოხდებოდა ზოგადი განათლების და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებზე ორიენტირება.

შესაბამისად, მასწავლებლის ამოცანა იქნება სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზება, რომ მაქსიმალურად დაეხმაროს ყველა მოსწავლეს ცნებებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააზრებაში.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ერთი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან შესაძლებლობებით, ცოდნითა და უნარებით, ათვისების ტემპითა და სიღრმით. გარდა მოსწავლეთა შესაძლებლობების მრავალფეროვნებისა, კლასში შესაძლოა სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეც ირიცხებოდეს, რომელსაც შედარებით მეტი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება სწავლა-სწავლების პროცესში.

მიუხედავად ამისა, სასწავლო კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები აქტუალური რჩება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვისაც. მათზე ორიენტირება და შესაძლებლობის ფარგლებში მათთან დაახლოება სასწავლო პროცესის ძირითად ამოცანად იქცევა.

ამავდროულად, სასწავლო პროცესის ყველასთვის იდენტურად წარმართვა გაუმართლებელი იქნება. თუ სასწავლო პროცესში მასწავლებელი რიგიდულად იქნება ორიენტირებული კლასისთვის განსაზღვრულ კურიკულუმზე, შესაძლებელია, მისი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდეს და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ მინიმალური პროგრესიც კი ვერ აჩვენოს. აღნიშნულის საპირისპიროდ, თუ სწავლა - სწავლების პროცესში გათვალისწინებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები, მეტადაა მოსალოდნელი მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესება.

მოსწავლეზე ორიენტირებულობა ხშირად სტანდარტულად განსაზღვრული სასწავლო პროცესის და / ან სასკოლო კურიკულუმის ცვლილებასა და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებას გულისხმობს. აღნიშნული ცვლილებები ადაპტაციის სახელითაა ცნობილი.

სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ერთი ან რამდენიმე სტრუქტურული ერთეულისა და მასთან დაკავშირებული სასწავლო პროცესის ადაპტაციის შედეგად მიიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ადაპტაციები ორგვარია და გულისხმობს სასწავლო გეგმის/პროცესის აკომოდაციასა და/ან სასწავლო გეგმის / პროცესის მოდიფიკაციას.



განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

აკომოდაცია

აკომოდაცია არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს და პროცესის ისეთი ცვლილება, რომელიც ზრდის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხელმისაწვდომობას. აკომოდაციისას განხორციელებული ცვლილების მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც გაზრდის სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, მისი შეცვლის გარეშე. აკომოდაციის პირობებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე რჩება ორიენტირებული სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებზე, მათი შინაარსისა და სირთულის დონის შეცვლის გარეშე.

საგანმანათლებლო სივრცეში გამოყენებული აკომოდაციები შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესის რომელ კომპონენტს ეხება ესა თუ ის ცვლილება; ძირითადად განიხილავენ ოთხი ტიპის აკომოდაციას:

- **გარემო პირობების აკომოდაცია:** სკოლასა და კლასის სივრცეში ავეჯის განლაგების, განათების, მოსწავლეთა კლასში განთავსების ცვლილებები; ადგილისა და/ან ფორმის ცვლილება. მაგალითად, მოსწავლისთვის სასწავლო პროცესის სახლის პირობებში ან ინდივიდუალური გაკვეთილის სახით მიწოდება (თუკი აღნიშნული აკომოდაციები არ გამოიწვევს სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების რაოდენობრივ და/ან თვისობრივ ცვლილებას);

- **ინსტრუქციის აკომოდაცია:** მასალის მიწოდების სტანდარტული მეთოდებისა და საშუალებების ცვლილება (შრიფტის და ვიზუალური გამოსახულებების გაზრდა, ბრაილის შრიფტის გამოყენება, აუდიოჩანაწერის გამოყენება და სხვა);

- **შეფასების აკომოდაცია:** საშინაო დავალების, გამოცდის ჩაბარების ფორმატისა და მეთოდის შეცვლა (წერითი დავალება თხრობის ნაცვლად, აუდიო ჩანაწერი წერის ნაცვლად);

- **დროისა და გრაფიკის აკომოდაცია:** სამუშაოსთვის განსაზღვრული დროის გახანგრძლივება, დასწრების ინდივიდუალური გრაფიკის შემუშავება, (მაგ. მოსწავლისთვის დასვენებების დროის გაზრდა); საათობრივი ბადით გათვალისწინებული საათების შემცირება / გაზრდა.

აღნიშნული აკომოდაციები ასახავს შესაძლო, მაგრამ არა ყველა ტიპის ცვლილებას, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია სასწავლო პროცესის და სივრცის მისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

აკომოდაციების შერჩევა და გადაწყვეტილება მათი გამოყენების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების სრულფასოვან

შეფასებას, რასაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი ახორციელებს. აღნიშნულ პროცესში გასათვალისწინებელია მშობლის, თავად მოსწავლის და მასთან დაკავშირებული სხვა სპეციალისტების (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, საგნის მასწავლებელი და სხვ.) რეკომენდაციები.

აკომოდაციების შერჩევისას და გამოყენებისას გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

- **აკომოდაციამ არ უნდა გამოიწვიოს სხვებთან შედარებით მოსწავლის უპირატესი მდგომარეობა.** აკომოდაციამ უნდა შექმნას სხვებთან თანაბარი პირობები.
- **სავალდებულოა, აკომოდაციების თითოეული სფეროს/საგნისთვის ინდივიდუალურად შერჩევა.** დაუშვებელია ერთ სფეროში ეფექტიანად მოქმედი აკომოდაციის ავტომატური გადატანა სხვა სფეროში/საგანში;
- **აკომოდაციის განხორციელებას უნდა მოჰყვეს დაკვირვება,** თუ რამდენად უზრუნველყო განხორციელებულმა აკომოდაციამ მოსწავლის სასწავლო პროცესში თანამონაწილეობის გაზრდა;
- **მიზანშეწონილია, აკომოდაციის ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის თავად მოსწავლისგან მიღება;**
- **აკომოდაციის გამოყენება უნდა იყოს არგუმენტირებული.** ასევე, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს აკომოდაციის გამოყენების დრო, ადგილი, პასუხისმგებელი პირი;
- **მნიშვნელოვანია აკომოდაციების გამოყენების საჭიროების პერიოდული გადაფასება.** ერთხელ შერჩეული აკომოდაცია, შესაძლოა, გარკვეული დროის შემდეგ არაეფექტიანი აღმოჩნდეს;
- **მნიშვნელოვანია, შერჩეული აკომოდაციების თანმიმდევრულად და სისტემატიურად გამოყენება.**

მოდიფიკაცია

ზოგიერთ შემთხვევაში, აკომოდაციები სრულიად ეფექტიანია და ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს გაუმკლავდეს სასწავლო პროცესში არსებულ ბარიერებს და მიუახლოვდეს სწავლის შედეგებს, გააცნობიეროს საგნობრივი პროგრამით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები.

თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც აღნიშნული აკომოდაციები არ არის საკმარისი და ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის სასურველ პროგრესს.

აღნიშნულ შემთხვევაში დგება დამატებითი ადაპტაციების განხორციელების საჭიროება რა დროსაც მასწავლებელს უწევს კურიკულუმით განსაზღვრული სტრუქტურული და სასწავლო ერთეულების - ცნება, სწავლის შედეგი, მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები - **მოდიფიკაცია** - მათი დაზუსტება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

კურიკულუმის სტრუქტურული და სასწავლო ერთეულების ადაპტაციით მასწავლებელი აყალიბებს სპეციფიურ და კონკრეტულ გრძელვადიან მიზნებს, რითიც განსაზღვრავს რეალისტურ მოლოდინებს მოსწავლის მიმართ. სწავლის შედეგისა და სამიზნე ცნებების მოდიფიცირების / ინდივიდუალურად ფორმულირების საჭიროება დადგება იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასებისას უტყუარად გამოვლინდება, რომ აკომოდაციები არასაკმარისია და მოსწავლის მზაობა და/ან ცოდნის აქტუალური დონე არ იძლევა მოცემული სწავლის შედეგისა და ცნების თანატოლების მსგავსად გააზრებისა და ყველა მკვიდრი წარმოდგენის ფორმირების შესაძლებლობას.



მიზნის მოდიფიცირების გზები

არსებობს მიზნების მოდიფიცირების რამდენიმე შესაძლებლობა.

1. სტრუქტურული ერთეულების (მკვიდრი წარმოდგენა, სწავლის შედეგი, ქვეცნება, საკითხი) რაოდენობრივი ცვლილება / შემცირება.
2. სტრუქტურული ერთეულების (მკვიდრი წარმოდგენა, სწავლის შედეგი, ქვეცნება, საკითხი) თვისებრივი ცვლილება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

სტრუქტურული ერთეულების რაოდენობრივი ცვლილება / შემცირება

სტრუქტურული ერთეულების რაოდენობრივი ცვლილებისას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს თანაკლასელებისგან განასხვავებს ის, რომ ის შეიძლება ორიენტირებული იყოს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ არა ყველა მკვიდრ წარმოდგენაზე, სწავლის შედეგზე, ქვეცნებასა და საკითზე, არამედ, მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

სტრუქტურული ერთეულების რაოდენობრივი შემცირება შესაძლებელია განხორციელდეს იმის მიუხედავად, მოსწავლე ორიენტირებულია შესაბამისი თუ ქვედა საფეხურისთვის დადგენილ საგნის მოთხოვნებზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიღწევის აქტუალური დონის გათვალისწინებით, *განსაკუთრებულ შემთხვევებში,* სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე შესაძლებელია ორიენტირებული იყოს არა მისი საფეხურისთვის განსაზღვრულ, არამედ, ქვედა საფეხურის ცნებებსა და შედეგებზე.

სტრუქტურული ერთეულების თვისებრივი ცვლილება

სტრუქტურული ერთეულების თვისებრივი ცვლილებისას მასწავლებელი მოსწავლისთვის კიდევ უფრო მეტად შემოსაზღვრავს ცნებას და სწავლის შედეგებს. აღნიშნული კომპონენტების დაზუსტების შედეგად, სახეს იცვლის მოსწავლის წინაშე წარდგენილი მოთხოვნები.

- ცოდნის / მასალის მოცულობა
- ცოდნის / მასალის ფორმა
- მისაღწევი ცოდნის დონე
- შესრულების, ცოდნის გამოვლენის ფორმა
- შესრულების, ცოდნის გამოვლენის პირობა
- მასალის შინაარსი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სტანდარტულ და დაზუსტებულ კომპონენტებს.

	სტანდარტული	**დაზუსტებული**
1. მასალის მოცულობა	- ტექსტი - რთული თანწყობილი წინადადება	- **<u>ორაბზაციანი</u>** ტექსტი - **<u>მარტივი</u>** წინადადება
2. მასალის ფორმა	- ტექსტი - სიტყვები	- **<u>ადაპტირებული</u>** ტექსტი - **<u>სიუჟეტურ სურათზე ასახული ამბავი</u>** - **<u>მარტივი / ნაცნობი</u>** სიტყვები

3. შესრულების პირობა	- გადმოსცეს თხრობით - შეკრიბოს	- გადმოსცეს **<u>სიუჟეტური სურათის გამოყენებით</u>** - შეკრიბოს **<u>ჩხირების გამოყენებით</u>**
4. მასალის შინაარსი	- ზღაპარი - გაყოფა - გამრავლება	- **<u>სხვა</u>** ზღაპარი - **<u>მიმატება - გამოკლება</u>**
5. შესრულების ფორმა	- თხრობა	- **<u>აღწერა</u>** სიუჟეტურ სურათზე დაყრდნობით - **<u>აღწერა კითხვებზე პასუხის გაცემით</u>** - **<u>მითითება</u>**

მაშასადამე, თუკი, კლასს დასამუშავებლად ეძლევა ტექსტი, რთული თანწყობილი წინადადებებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვისშერჩეულია მარტივი წინადადებებით შედგენილი ორაბზაციანი ტექსტი.

ასევე, თუკი კლასისთვის შესრულების ფორმად შესაძლებელია განსაზღვრული იყოს ტექსტის თხრობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაძლებელია განისაზღვროს ტექსტის გადმოცემა სიუჟეტური სურათის აღწერის საფუძველზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შესრულების ფორმის დაზუსტების საკითხი.

შესრულების ფორმის დაზუსტებაში მასწავლებელს დაეხმარება კოგნიტური სფეროს ტაქსონომია და იქ მოცემული შესრულების ფორმები, რომელიც მასწავლებელმა შესაძლებელია ეფექტიან ინსტრუმენტად გამოიყენოს მიზნების და კომპლექსური დავალების პირობის დაზუსტებისთვის. მასწავლებელს მოუწევს ცხრილიდან შეარჩიოს ის მოქმედება, რომლის ფორმირებაც, მოცემულ მომენტში, იქნება მისი სამიზნე.

კოგნიტური სფეროს ტაქსონომია	
კატეგორია	შესრულების ფორმები
ცოდნა	განლაგება, შეგროვება, განსაზღვრა, აღწერა, განმეორება, ჩამოთვლა, პოვნა, ჩვენება, იდენტიფიცირება, სახელდება, დამახსოვრება, გახსენება, დასახელება, ცნობა, ჩაწერა, მოყოლა/თხრობა, დაჯგუფება, გარჩევა
გაგება	დაკავშირება, შეცვლა, განმარტება, კლასიფიცირება, შედარება, დაცვა, განსხვავება, გარჩევა, განხილვა, განსხვავება, გამოანგარიშება, ახსნა, გამოხატვა, განზოგადება, ილუსტრირება, პერიფრაზირება, პროგნოზირება
გამოყენება	გამოყენება, შეფასება, გაანგარიშება, დასრულება, გამოთვლა, კონსტრუირება, დემონსტრირება, აღმოჩენა, გამოცდა, პოვნა, ილუსტრირება, ინტერპრეტირება, მოდიფიცირება, ორგანიზირება, პროგნოზირება, დაკავშირება, დაგეგმვა

ანალიზი	გაანალიზება, ინფორმირება, რანჟირება/ორგანიზება, გამოანგარიშება, კატეგორიზაცია, კლასიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, კრიტიკა, განხილვა, განსაზღვრა, გამორჩევა, განსხვავება, დასკვნის გაკეთება, შემოწმება, გამოკვლევა
სინთეზი	დასაბურთება, ორგანიზება, კატეგორიზაცია, კომბინირება, შედგენა, აგება, შექმნა, განვითარება, ჩამოყალიბება, ახსნა/განმარტება, ფორმულირება, განზოგადება, გენერირება, ინტეგრირება
შეფასება	ინფორმირება, დადგენა/გამორკვევა, არგუმენტირება, შეფასება, დაკავშირება, შედარება, ამორჩევა, დასკვნის გაკეთება, შეპირისპირება, დარწმუნება, გაკრიტიკება, გადაწყვეტა, დაცვა, გამორჩევა, ევალუაცია, რეკომენდაციების მომზადება, ვალიდაცია

მასწავლებელმა ტაქსონომიის გამოყენებით შესაძლებელია შემდეგნაირად განსაზღვროს მიზნები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

სწავლის შედეგი

სტანდარტული სწავლის შედეგი	**დაზუსტებული სწავლის შედეგი**
მოსწავლეს შეუძლია დედამიწის ფორმაზე **მსჯელობა**	მოსწავლეს შეუძლია დედამიწის ფორმის **დასახელება და აღწერა**

კომპლექსური დავალების პირობა

კომპლექსური დავალების პირობა	**დაზუსტებული კომპლექსური დავალების პირობა**
საკლასო კონსტიტუციაზე დაყრდნობით **შეიმუშავე რეკომენდაციები,** რომელშიც ნათლად ასახავ იმ ღირებულებებს, რომელიც უნდა არსებობდეს კლასში, როგორც საერთო ინტერესების მქონე საზოგადოებაში.	**შეარჩიე** რეკომენდაციები, რომელიც ასახავს იმ ღირებულებებს, რომელიც უნდა არსებობდეს კლასში, როგორც საერთო ინტერესების მქონე საზოგადოებაში.

შეჯამება

ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახვას სხვადასხვა კომპონენტების მოდიფიცირების გზით მიღებულ მიზნებს.

სტანდარტული სწავლის შედეგი	**მოდიფიცირებული სწავლის შედეგი**
მოსწავლეს შეუძლია გაწაფულად კითხვა	მოსწავლეს შეუძლია **6 ასოს** ცნობა - დასახელება და **აღნიშნული ასოსგან შემდგარი სიტყვების კითხვა**

მოსწავლეს შეუძლია დედამიწის ფორმაზე მსჯელობა	მოსწავლეს შეუძლია დედამიწის ფორმის დასახელება და აღწერა
მოსწავლეს შეუძლია სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა	მოსწავლეს შეუძლია სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა **დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემით** მოსწავლეს შეუძლია სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა **სერიული სიუჟეტური სურათების დალაგებით**

ცხრილის ანალიზიდან ნათლად ვლინდება, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წინაშე განსხვავებული მოლოდინები და გამოწვევები განისაზღვრა, თუმცა თითოეული მათგანი ეყრდნობა და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ შედეგებს.

ახლა კი განვიხილოთ ცნების დაკონკრეტების გზა მკვიდრი წარმოდგენების მოდიფიცირებით.

მაგალითისთვის გამოვიყენოთ ქართული ენისა და ლიტერატურის ცნებები (**ფუნქციური სამეტყველო ქმედება, ტექსტი**) და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.

ცნება	**მკვიდრი წარმოდგენები**	**მკვიდრი წარმოდგენები სსსმ მოსწავლისთვის**
სამეტყველო ქმედება	მეტყველებისას გამოყენებული ენობრივი საშუალებები შეესაბამება სამეტყველო ამოცანას	ამბის თანმიმდევრულად გადმოცემაში მეხმარება დასაწყისზე, შუა ნაწილსა და დასასრულზე საუბარი
ტექსტი	ტექსტის გასაგებად/შესაქმნელად მნიშვნელოვანია სტრატეგიების აღმოჩენა და გამრავალფეროვნება	ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია სიუჟეტური ბარათებზე, ილუსტრაციებზე დაკვირვება

მიღებული გრძელვადიანი მიზნის ანალიზისას ჩანს, რომ მოცემულ ეტაპზე მასწავლებელმა მნიშვნელოვნად შემოსაზღვრა, დაავიწროვა მოსწავლის წინაშე დასახული ამოცანები - სასწავლო პროცესი ორიენტირებული იქნება მხოლოდ ორი სპეციფიურად მისთვის ფორმულირებული მკვიდრი წარმოდგენის ფორმირებასა და მასწავლებლის მიერ შერჩეულ კონკრეტულ საკითხებზე.

დამატებით, განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნის ანალიზიდან ნათელია, რომ ცნების დაზუსტება მოხდა არა მხოლოდ მკვიდრი წარმოდგენების და ქვეცნებების / საკითხების გამოყენებით, არამედ **შესასწავლი მასალის მოცულობის** (სამი წინადადებით, ერთი მონაკვეთი), **ფორმის** (ადაპტირებული, სიუჟეტური ბარათების გამოყენებით) გათვალისწინებით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო მიზნების ფორმირებით (სწავლის შედეგებისა და მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტებით) მასწავლებელი განსაზღვრავს რეალისტურ და მიღწევად მოლოდინებს მის მიმართ. ის იმგვარად შემოსაზღვრავს ზოგადად ფორმულირებულ გრძელვადიან სტანდარტულ მიზნებს (სწავლის შედეგებსა და მკვიდრ წარმოდგენებს), რომ უფრო მეტად აკონკრეტებს მათ. დაზუსტებული სწავლის შედეგი და მკვიდრი წარმოდგენა მასწავლებლისთვის ქმნის ნათელ ორიენტირს სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

მაშასადამე, მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით მისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია გულისხმობდეს:

(ა) აკომოდაციებს
ამ შემთხვევაში დგინდება სწავლების განსხვავებული პირობები, თუმცა სწავლის შედეგების, სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული სხვა სტრუქტურული და სასწავლო ერთეულების ცვლილების საჭიროება არ დგება.

(ბ) მოდიფიკაციებს
ამ შემთხევაში განისაზღვრება მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო მიზნები (მკვიდრი წარმოდგენების მოდიფიცირებით განსაზღვრული მიზნებით წაყენებული მოთხოვნები სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შემცირებულია)

(გ) აკომოდაციებს და მოდიფიკაციებს
ამ შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრულია, როგორც ინდივიდუალური მიზნები, ასევე, სწავლების განსხვავებული პირობებიც.

გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის

ყოველ კომპლექსურ დავალებაში თვალსაჩინოდ და მკაფიოდაა მოცემული თუ რომელ გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული ის, რადგანაც გამოყოფილია სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები.

სამიზნე ცნებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში ნარჩუნდება და წარმოადგენს ისეთ „დიდ მიზანს“, რომელზეც თანმიმდევრულად იქნება მასწავლებელი ორიენტირებული. მასწავლებლის ამოცანაა თითოეულ, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პროგრესის, წინსვლის ხელშეწყობა სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სამიზნე ცნებები საერთოა ყველა მოსწავლისთვის, თუმცა მათი შინაარსის და მოცულობის დასაკონკრეტებლად მასწავლებელს მკვიდრ წარმოდგენებში შეაქვს ცვლილებები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში პრაქტიკა აჩვენებს, რომ აქტუალურია მკაფიო და სპეციფიური გრძელვადიანი მიზნების ფორმულირება. პირველ რიგში, განვიხილოთ გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრის გზები, მკვიდრი წარმოდგენების გამოყენებით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის, მკვიდრი წარმოდგენების გამოყენებით, შეიძლება გამოვყოთ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირების ქვემოთ მოცემული 3 გზა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1 გზა	მკვიდრი წარმოდგენების რაოდენობრივი შემცირება
2 გზა	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური მკვიდრი წარმოდგენების ფორმულირება
3 გზა	მკვიდრი წარმოდგენების შინაარსობრივი დაკონკრეტება და დაზუსტება

1. მასწავლებელმა შესაძლოა მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონისა და საჭიროებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნიოს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული არა ყველა, არამედ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მკვიდრ წარმოდგენაზე ორიენტირება. მაგალითისთვის, საგანში ბუნებისმეტყველება, ქვემოთ ჩამოთვლილ მკვიდრ წარმოდგენებში, რომლებიც ცნებასთან „ბუნებრივი მოვლენები“ არის დაკავშირებული, მასწავლებელი ფოკუსირებულად მუშაობს მხოლოდ პირველზე. ცნება „ბუნებრივი მოვლენები“ ნარჩუნდება ყველა მოსწავლისთვის, თუმცა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან აღნიშნული ცნება დაკონკრეტდა და მხოლოდ ამინდის ცვალებადობისა და ბუნებრივი მოვლენების ურთიერთკავშირის აღმოჩენაზეა ორიენტირებული.

ცნება: ბუნებრივი მოვლენები
მკვიდრი წარმოდგენები (აცნობიერებს თუ არა მოსწავლე, რომ)
1. ამინდის ცვალებადობას ბუნებრივი მოვლენები განაპირობებს; 2. ბუნებრივი მოვლენები სხვადასხვა მიზეზით წარმოიქმება; 3. ცვლილებებს ბუნებაში პერიოდული ან/და ციკლური ხასიათი აქვს; 4. ბუნებრივი მოვლენა შეიძლება კატასტროფად იქცეს; ადამიანის საქმიანობას ბუნებრივი კატასტროფის გამოწვევა შეუძლია.

2. მასწავლებელს შეუძლია სამიზნე ცნების მოცულობა დააზუსტოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული მკვიდრი წარმოდგენების ფორმულირებით. მაგალითად, ცხრილში მოყვანილი ნიმუშების შესაბამისად, მასწავლებლის ამოცანაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ აღმოაჩინოს და გაიაზროს, როგორაა შესაძლებელი მარტივ მინიშნებებზე დაყრდნობით ივარაუდოს მოსალოდნელი ამინდი (მაგალითად, ღრუბლიანობის შედეგად წვიმის მოსვლა). ასევე, დააფიქროს იმაზე, თუ როგორ ცვლის ამინდის ცვლილება ჩვენს მოქმედებებს (მაგალითად, როცა წვიმს ვიცით, რომ გვჭირდება შესაბამისი ნივთები, საწვიმარი ან ქოლგა).

ცნება: ბუნებრივი მოვლენები	
მკვიდრი წარმოდგენები (აცნობიერებს თუ არა მოსწავლე, რომ)	სსსმ მოსწავლისთვის განსაზღვრული მკვიდრი წარმოდგენები
1. ამინდის ცვალებადობას ბუნებრივი მოვლენები განაპირობებს; 2. ბუნებრივი მოვლენები სხვადასხვა მიზეზით წარმოიქმნება; 3. ცვლილებებს ბუნებაში პერიოდული ან/და ციკლური ხასიათი აქვს; 4. ბუნებრივი მოვლენა შეიძლება კატასტროფად იქცეს; ადამიანის საქმიანობას ბუნებრივი კატასტროფის გამოწვევა შეუძლია.	1. ბუნებაზე, გარემოზე დაკვირვებით შემიძლია ამინდის ცვლილება ვივარაუდო; 2. სხვადასხვანაირი ამინდის დროს მასთან შესაბამისი მოქმედებების განხორციელებაა საჭირო.

3. არსებული მკვიდრი წარმოდგენების შინაარსობრივი დაკონკრეტება და დაზუსტება.

განვიხილოთ მაგალითი საგანში მათემატიკა, დაწყებითი საფეხურის ერთ-ერთ სამიზნე ცნებაზე დაყრდნობით. ცნება „კანონზომიერება“ გრძელვადიანი საფეხურეობრივი მიზანია. აღნიშნული ცნების დამუშავება კლასთან ხდება ორი მკვიდრი წარმოდგენის ფორმირებით. ესენია:

ცნება:კანონზომიერება
მკვიდრი წარმოდგენები
1. კანონზომიერება გვიჩვენებს რიცხვების, ობიექტების, მოვლენების თანმიმდევრობას რომელიც მოწყობის გარკვეულ წესს ექვემდებარება. (კანონზომიერება შეიძლება იყოს განმეორებადი და არაგანმეორებადი) **2.** კანონზომიერებები შეიძლება იქნას წარმოდგენილი რიცხვითი, გრაფიკული, სიმბოლური ან სიტყვიერი (აღწერითი) გზით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მასწავლებელს შეუძლია კიდევ უფრო დააკონკრეტოს და დააზუსტოს ცნების მოცულობა მკვიდრი წარმოდგენების მოდიფიცირებით. მაგალითად, თუ მოსწავლის აქტუალურ ცოდნაში ჯერჯერობით არ არის რიცხვებისა და ფიგურების ცნობა, მასწავლებელმა შესაძლოა კანონზომიერებაზე მუშაობა საგნებისა და ფერების გამოყენებით დაიწყოს. ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნიოს, პირველ ეტაპზე, განმეორებად კანონზომიერებებზე მუშაობა. შესაბამისად, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიზანი შეიძლება იყოს შემდეგ გაცნობიერებებამდე მისვლა: 1. ფერის, საგნის მონაცვლეობის გაგრძელებით კანონზომიერება იქმნება. 2. კანონზომიერების წარმოდგენა შესაძლებელია ფერების და გრაფიკული გამოსახულებების დალაგებით

ცნება:კანონზომიერება
მკვიდრი წარმოდგენები (სსსმ)
1. ფერის, საგნის მონაცვლეობის გაგრძელებით კანონზომიერება იქმნება. 2.კანონზომიერების წარმოდგენა შესაძლებელია ფერების და გრაფიკული გამოსახულებების დალაგებით.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, როგორც ვიცით, გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებად ცნებებთან ერთად ესგ-ს შედეგებიც განიხილება. საგნის მასწავლებლებისთვის, სპეციალური მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი კარგად ნაცნობი სტრუქტურული ერთეულია, რადგან სწორედ მასზე დაყრდნობითაა შესაძლებელი განვსაზღვროთ დაკვირვებადი, სპეციფიური მიზანი ფორმულირებით „მოსწავლემ უნდა შეძლოს“ ან „მოსწავლეს შეუძლია“.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, აღმოვაჩინოთ შინაარსობრივი კავშირი და ლოგიკური ბმა ცნებას, მკვიდრ წარმოდგენებსა და შედეგებს შორის. მაგალითისთვის განვიხილოთ, მათემატიკის დაწყებითი საფეხურის სტანდარტიდან შედეგი, რომელიც ცნება „კანონზომიერებასთანაა“ დაკავშირებული.

ლოგიკურია, რომ მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტებით გრძელვადიანი მიზნის ფორმულირება, ასევე ამცირებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

მაგალითად, მათემატიკის სტანდარტის ერთ-ერთი შედეგი, რომელიც ცნება კანონზომიერებას უკავშირდება შემდეგნაირად ჟღერს: მოსწავლემ უნდა შეძლოს საგნებს შორის ან საგნებსა და მათ ატრიბუტებს შორის მოცემული შესაბამისობის გავრცობა, გამოსახვა და გამოკვლევა. გაფერადებულ უჯრებში კი ვხედავთ როგორ შემცირდა მოთხოვნა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის. მაგალითად, გავრცობისა და გამოკვლევის ნაცვლად მიზანია გაგრძელება.

მათ. დაწყ.8 მოსწავლემ უნდა შელოს



თუკი ცნებისა და სწავლის შედეგების დაზუსტება მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით მოხდება, ისინი სრულ ჰარმონიასა და შესაბამისობაში მოვა/უნდა მოვიდეს ერთმანეთთან.

გრძელვადიანი მიზნები	
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს	მოსწავლემ უნდა შეძლოს
მოსწავლე აცნობიერებს, რომ ფერების, საგნების მონაცვლეობის გაგრძელებით კანონზომიერება იქმნება	საგნის, ფერის მონაცვლეობით ორ ელემენტიანი მიმდევრობის გაგრძელება

როგორც ვხედავთ, ის თუ რა უნდა გააცნობიეროს მოსწავლემ უფრო ზოგადი ორიენტირია, რომელსაც შესაძლოა რამდენიმე წლის ან საფეხურის განმავლობაში ამუშავებდეს, ხოლო რა უნდა შეძლოს მიმდინარე წლის ბოლოს - მეტად კონკრეტული. ორივე მოცემულობა მნიშვნელოვანი და აქტუალურია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში. ერთი მხრივ, მკვიდრ წარმოდგენაზე, როგორც საფეხურის მიზანზე ორიენტირება მასწავლებელს ეხმარება, რომ თანმიმდევრული იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან შერჩეული სასწავლო ამოცანების დასახვისას. მეორე მხრივ, მკვიდრი წარმოდგენების მხედველობაში ქონა მასწავლებელს უბიძგებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული მიზნები იყოს ფუნქციური, გააზრებისკენ და არა მექანიკური დასწავლისკენ ორიენტირებული.

თავის მხრივ, კონკრეტული, სპეციფიკური, დროში გაწერილი წლიური მიზანი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მასწავლებელი ამ გზით სახავს რეალისტურ მოლოდინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წინაშე, აკვირდება და ზომავს მათი მიღწევის დონეს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში საილუსტრაციოდ წარმოდგენილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული დაკონკრეტებული მიზნები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.

	საგნობრივი სტანდარტის შედეგი	სსსმ მოსწავლის მიზანი	დაზუსტდა
ქართ.დაწყ.(I).7	მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება	მოსწავლემ სერიული სიუჟეტური ბარათების დალაგებით უნდა შეძლოს ერთაბზაციანი, 5-6 მარტივი წინადადებისგან შემდგარი ტექსტის წაკითხვა, გაგება და გადმოცემა	ცოდნის გამოვლენის ფორმა/პირობა
გეო.საბ.9	მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეული გეოგრაფიული ერთეულების (კონტინენტი, რეგიონი, ბუნებრივი ზონა, ლანდშაფტი) კომპლექსური დახასიათება	მოსწავლემ უნდა შეძლოს კონტინენტის, ლანდშაფტის აღწერა	ცოდნის მოცულობა, ფორმა
ბიოლ. საბ.2	მოსწავლემ უნდა შეძლოს ორგანიზმების საერთო სასიცოცხლო თვისებების დახასიათება და მათში მიმდინარე ენერგიისა და ნივთიერებების გარდაქმნებზე არგუმენტირებული მსჯელობა	მოსწავლემ უნდა შეძლოს ცხოველებისა და მცენარეების სასიცოცხლო თვისებების ჩამოთვლა	ცოდნის მოცულობა, გამოვლენის ფორმა
ფიზ. საბ.4	მოსწავლემ უნდა შეძლოს ფიზიკური მოვლენების შესწავლის მიზნით კვლევის (ცდა, ექსპერიმენტი) დაგეგმვა (ჰიპოთეზების შემუშავება, დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების განსაზღვრა, კვლევის პროცედურის, მონაცემების აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა, სათანადო რესურსების შერჩევა)	მოსწავლემ უნდა შეძლოს, ფიზიკურ მოვლენებზე დაკვირვების მიზნით, კვლევაში მონაწილეობა და პროცესების აღწერა სიტყვიერად, ცხრილის გამოყენებით	ცოდნის, შესრულების გამოვლენის ფორმა და პირობა

კომპლექსური დავალების ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის

ბუნებრივია, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები კომპლექსური დავალების ფორმასა და სირთულის ხარისხზეც ახდენს გავლენას. განვიხილოთ, თუ როგორ არის შესაძლებელი კომპლექსური დავალების მორგება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე.

კომპლექსური დავალებების გამოყენებით სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისას, მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა მოსწავლისთვის კომპლექსური დავალების განსხვავებული პირობა ჩამოაყალიბოს მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, თუმცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლისთვის კომპლექსური დავალების ადაპტირების პროცესში კიდევ უფრო მეტი ნიუანსის გათვალისწინებაა საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მასწავლებელს ინდივიდუალური გრძელვადიანი მიზნები აქვს შედგენილი, კომპლექსური დავალების მოდიფიცირებულ ვერსიას აწვდის მას, **თემა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის და მისი თანატოლებისთვის ერთია.** მაგალითად, მასწავლებელი საგანში - მე და საზოგადოება ცნებების დასამუშავებლად განსაზღვრავს თემას „სკოლა, მეგობრები და თანატოლები“. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებაც სწორედ ამავე თემის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს.

იდეალურ შემთხვევაში, იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესი თანხვედრაში იყოს კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესთან, მასწავლებლმა ერთი საკითხი (ან იდენტური საკითხები) უნდა შესთავაზოს კლასს და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის რეკომენდებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე თანაკლასელებისაგან განსხვავებულ საკითხზე / საკითხებზე მუშობდეს.

ამ გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ჩართული იქნება გაკვეთილზე მიმდინარე სასწავლო კონტექსტში, მასწავლებელს კი არ მოუწევს ორი, შინაარსით განსხვავებული სასწავლო პროცესის მართვა. მასწავლებელი დაამუშავებს საერთო საკითხებს მოსწავლეთა ჯგუფში, თუმცა მას ექნება სრული მზაობა იმისა, რომ შერჩეული საკითხი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ შესაძლებელია განსხვავებული ფორმით დაამუშაოს და განსხვავებულ დონეზე დაეუფლოს მას. მაგალითად, გეოგრაფიის მასწავლებელი ჩრდილოეთ ამერიკის თემის კონტექსტში ირჩევს საკითხს „ტორნადოების ხეივანი“, შესაბამისად, კომპლექსური დავალებაც ამ კონკრეტულ საკითხზეა აგებული. რეკომენდებულია, მასწავლებელი სწორედ ამავე საკითხზე იყოს ორიენტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებაში.

კლასში ერთ საკითხზე მუშობა უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია. გამონაკლისს წარმოადგენს ის საგნობრივი პროგრამები, რომლის ფარგლებში კონკრეტულ საკითხს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული წინაპირობა ქვეცნების ან საკითხის სახით. ამ შემთხვევაში განსაზღვრული საკითხის ათვისება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, თუ დაძლეულია მის წინაპირობად განსაზღვრული საკითხი და ამით მომზადებულია ნიადაგი მიმდინარე საკითხის დასამუშავებლად / ასათვისებლად.

ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ჯერ არასრულად ან არასაკმარისად აქვს დამუშავებული და ათვისებული წინაპირობად განსაზღვრული საკითხი, გაუმართლებელი იქნება კლასისთვის

განსაზღვრული საკითხის მისთვის წარდგენა, რადგან ჯერ არ არსებობს წინარე ცოდნა, რომელზეც დააშენებს მოსწავლე მიმდინარე ეტაპისთვის განსაზღვრულ საკითხს. აღნიშნულ შემთხვევებში, მასწავლებელს მოუწევს კომპრომისზე წასვლა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის რელევანტური, მის საგანამანთლებლო საჭიროებაზე მორგებული, თუნდაც კლასისგან განსხვავებული საკითხის შეთავაზება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ცვლილება მასწავლებელმა შეიძლება კლასის ნებისმიერი მოსწავლისთვის განახორციელოს.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ცოდნისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს და დააზუსტოს კომპლექსური დავალების სხვადასხვა კომპონენტი.

კომპლექსური დავალების კომპონენტების ადაპტირება	
მასალის მოცულობა	ქვეცნებები, კომპლექსური დავალების კრიტერიუმები
მასალის ფორმა	რესურსები, ქვეცნებები
შესრულების ფორმა	კომპლექსური დავალების წარდგენა, პროდუქტის შექმნა
შესრულების პირობა	კომპლექსური დავალების პირობა

მაგალითისთვის, თუ კომპლექსური დავალების პროდუქტია პრეზენტაცია, ხოლო მოსწავლე ამ ეტაპზე არ ფლობს საკმარის უნარებს ტექნოლოგიების გამოყენებაში, პრეზენტაცია შეიძლება სხვა პროდუქტით ჩანაცვლდეს, მაგ: პოსტერით, პლაკატით, ვიდეორგოლით და სხვა. გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კითხვის, წერის, მოსმენილი ინფორმაციის გაგების უნარების გათვალისწინებით მასწავლებელმა შესაძლოა კომპლექსური დავალების პირობა მარტივი ფრაზების, მოსწავლისთვის ნაცნობი სიტყვებისა და მოკლე წინადადებების სახით ჩამოაყალიბოს.

კომპლექსური დავალების პირობა კლასისთვის
სახატავი საშუალებების ან ციფრული რესურსის - „ვსწავლობთ თამაშით“ - გამოყენებით, დახატეთ კომიქსი მოთხრობის (მაგ., ი. გოგებაშვილის მოთხრობის - „ანდროკლე და ლომი“) მიხედვით.
კომპლექსური დავალების პირობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის
სახატავი საშუალებების გამოყენებით დახატე კომიქსი მოთხრობის მიხედვით „ადნროკლე და ლომი“.

როგორც ვხედავთ, კომპლექსური დავალების პირობა ადაპტირებული და მორგებულია კონკრეტულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე. მასწავლებელმა პროდუქტი დატოვა უცვლელი (კომიქსი), თუმცა, რადგან მოსწავლეს ამ ეტაპზე გაუძნელდება ციფრული რესურსის გამოყენება, შესთავაზა მხოლოდ დახატვა (შესრულების ფორმა). ნათლად ჩანს, რომ პირობა შედარებით მარტივი წინადადებითაა ჩამოყალიბებული და მოსწავლის საჭიროებებიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე, დაზუსტებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. თუ თანატოლები მთლიანი მოთხრობის შინაარსს თანმიმდევრულად, ყველა ეპიზოდის ჩათლით

წარმოადგენენ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს მხოლოდ ორი ეპიზოდის წარმოჩენა ევალება.

ცნება „ტექსტი“ მკვიდრი წარმოდგენები	ზოგადი კრიტერიუმები	კრიტერიუმები (კლასი)	კრიტერიუმები (სსსმ)
1. თითოეული ჟანრის ტექსტს აქვს თავისებური შინაარსი, ენა და აგებულება.	კონკრეტული ჟანრის ტექსტის (მაგ., მოთხრობის, იგავის) შინაარსობრივი მხარის, ენობრივი საშუალებების, აგებულების ცოდნა.	- წარმოადგინე ეპიზოდები თანმიმდევრობის დაცვით - გამოსახე თითოეული ეპიზოდის მონაწილე პერსონაჟები	- დახატე ორი ეპიზოდი, დასაწყისი და დასასრული - გამოსახე მთავარი პერსონაჟები
2.ყველა ტექსტი შექმნილია რაიმე თემაზე, პრობლემაზე/საკითხზე, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება; ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, იდეებს.	ტექსტის თემა ან/და მთავარი იდეა, ან/და: საკითხი/პრობლემა; ან/და ტექსტის კავშირი ცხოვრებასთან.	- ისაუბრე რა გაგახსენა, რაზე დაგაფიქრა ნაწარმოებმა	- ისაუბრე რაზე არის მოთხრობა

შეჯამების სახით, განვიხილოთ ქვემოთ მოცემული ცხრილი, სადაც ნაჩვენებია კომპლექსური დავალების შექმნისა და განხორციელების ძირითადი კომპონენტები. ცხრილში ნაჩვენებია, თუ რომელი ერთეულები რჩება უცვლელი და რომელთა დაზუსტებაა რეკომენდებული ან აუცილებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

კომპონენტი	რჩება უცვლელი	რეკომენდებულია შენარჩუნება	ზუსტდება
ცნება			
მკვიდრი წარმოდგენები, შედეგები			
თემა			
საკითხი			
დავალების პიროობა			
პროდუქტი			
შეფასების კრიტერიუმები			
დავალების პრეზენტაციის ფორმა			
რესურსები, აქტივობები			

მოკლევადიანი მიზნები, კომპლექსური დავალება

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში შუალედური მიზნის სტატუსი კომპლექსურ დავალებას აქვს მინიჭებული. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, პასუხი გავცეთ შეკითხვას, რატომ და როგორ ასრულებს კომპლექსური დავალება შუალედური მიზნის როლს და შემდგომ ვიმსჯელოთ, მოკლევადიანი მიზნებისა და კომპლექსური დავალების მიმართებაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შემთხვევაში.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გრძელვადიან მიზნებად სტანდარტის საფეხურეობრივი შედეგები და სამიზნე ცნებები განიხილება. მასწავლებლის ამოცანაა იმგვარად დაგეგმოს სწავლა-სწავლების პროცესი კომპლექსური დავალებების გამოყენებით, რომ მოსწავლეებმა შეძლონ თავიანთი მაქსიმალური პოტენციალის გამოვლენა და საფეხურის ბოლოს დასახულ მიზნებთან მიახლოვება. თუ წარმოვიდგენთ, რომ გრძელვადიანი მიზნები მოსწავლის განვითარების, ცოდნის კონსტრუირების გზაა, კომპლექსური დავალებები ამ სავალ გზაზე გადადგმული ნაბიჯებია. ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციაზე ნათლად ჩანს, რომ საგანში ჩვენი საქართველო ერთ-ერთი გრძელვადიანი მიზანობრივი ორიენტირია ცნება „მეურნეობა“ და მასთან გათანაბრებული საგნობრივი სტანდარტის შედეგები.

მოსწავლემ უნდა შეძლოს	
5	მშობლიური კულტურის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა;
6	საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება; რესურსების დაგეგმვა და დაზოგვა;
7	სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;

ყოველი ახალი და შემდგომი კომპლექსური დავალების შესრულებით კი მოსწავლეები უფრო და უფრო უახლოვდებიან მიზანს და იღრმავებენ ცოდნას ცნება მეურნეობასთან დაკავშირებით.



როგორ ასრულებს კომპლექსური დავალება შუალედური მიზნის როლს? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში კომპლექსური დავალების პირობაშივე მოცემული შეფასების კრიტერიუმები დაგვეხმარება, რომელიც მოცემულია ქუდის ქვეშ: „ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე“.

ცხრილში ნათლად ჩანს, რომ გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირია ცნება „მეურნეობა“ და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებია,[4] რომლის მიხედვით მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, ჩვენი ქვეყნის რესურსების შეზღუდული რაოდენობა და მათი გაფრთხილების საჭიროება. შემდეგ სვეტებში მოცემულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც, ერთი მხრივ, მკვიდრი წარმოდგენის გააზრებაში ეხმარება მოსწავლეებს, მეორე მხრივ, კონკრეტულ თემატურ კონტექსტსა და საკითხს მიემართება.

მაგალითად, თემაში სამეგრელო, კომპლექსური დავალების კრიტერიუმი მოსწავლისგან მოითხოვს, იმსჯელოს კოლხეთის ეროვნული პარკის მრავალფეროვან რესურსებსა და მათ დაცვაზე, მეორე კომპლექსურ დავალებაში კი, სათაფლიის რესურსის რაციონალურად გამოყენებაზე და ა.შ. როგორც ვხედავთ, თითოეული კომპლექსური დავალების შესრულებით მოსწავლე იღრმავებს ცოდნას ბუნებრივი რესურსების გამოყენების, მრავალფეროვნებისა და დაცვის შესახებ.

ცნება: მეურნეობა (5,6,7)	თემა: სამეგრელო კომპლექსური დავალება 1	თემა: იმერეთი კომპლექსური დავალება 2	თემა: გურია კომპლექსური დავალება 3	თემა: აჭარა კომპლექსური დავალება 4
მკვიდრი წარმოდგენები	კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები; ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:			
ჩვენი ქვეყნის რესურსები შეზღუდული რაოდენობისაა, ამიტომ მათ გაფრთხილება სჭირდება	რატომ არის აუცილებელი კოლხეთის ეროვნულ პარკში არსებული უნიკალური ბუნების (ჭაობების, ტენიანი ტყეების, ფაუნის და ფლორის) დაცვა.	როგორ შევინარჩუნოთ სათაფლიის რესურსი და რაციონალურად გამოვიყენოთ ის	რატომ არის საჭირო შეკვეთილის დენდროლოგიური პარკის შენარჩუნება და მისი დაცვა	აჭარის რეგიონისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობა

კომპლექსური დავალების შუალედური მიზნის სტატუსით არსებობა მოსწავლეებისთვის ცხადყოფს თუ რა მოთხოვნებია მათ წინაშე და რას უნდა აკმაყოფილებდეს მათ მიერ შესრულებული კომპლექსური დავალება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომპლექსური დავალების პირობისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობით მოსწავლეს

[4] შენიშვნა: ნიმუშში მხოლოდ 1 ცნება და 1 მკვიდრი წარმოდგენაა განხილული, თუმცა მოსწავლეებს მასწავლებელი ცნებას ამუშავებინებს ყველა მკვიდრი წარმოდგენების გამოყენებით. თითოეულ თემაში ყველა ცნება მუშავდება

შესაძლებლობა აქვს თავადაც მკაფიოდ იცოდეს, რა მიზანს ემსახურება შესასრულებელი დავალება და ჰქონდეს ნათელი ხედვა, რა უნდა ჩანდეს მის შესრულებულ დავალებაში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში მოკლევადიანი მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც გრძელვადიანი მიზნების. როგორც უკვე განვიხილეთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების, მისი მიღწევის აქტუალური დონისა და საჭიროებების გათვალისწინებით მასწავლებელი მისთვის განსაზღვრავს გრძელვადიან სასწავლო მიზანს/მიზნებს. ლოგიკურია, რომ დასახულ გრძელვადიან მიზანზე სამუშაოდ, მასწავლებელმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი მოკლევადიანი მიზნები უნდა შეადგინოს. შესაბამისად, საჭიროებიდან გამომდინარე, არ შესთავაზოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს თანაკლასელების იდენტური კომპლექსური დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართული მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ მოსწავლისთვის გრძელვადიანი სასწავლო მიზნების დასახვის შემდეგ, პროფესიული მსჯელობის საგანი მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა ხდება. მოკლევადიანი მიზნები არის ინსტრუმენტი, რაც კიდევ უფრო აკონკრეტებს გრძელვადიან მიზნამდე მისასვლელ გზას და რომლის საშუალებითაც გრძელვადიანი მიზნების მიღწევა ხდება.

თუ განვითარების აქტუალური დონე არის ის ათვლის წერტილი, საიდანაც მოსწავლე იწყებს მიზანზე მუშაობას, ხოლო გრძელვადიანი მიზანი – საბოლოო შედეგი, რომელსაც უნდა მიაღწიოს, მათ შორის შეიძლება განისაზღვროს და გაიწეროს მიზნამდე მისასვლელი გზები ე. წ. საფეხურები, იგივე მოკლევადიანი (შუალედური) მიზნები ან ამოცანები. მოკლევადიანი მიზნების მიღწევა არის აუცილებელი იმისთვის, რომ მოსწავლემ საბოლოო შედეგს მიაღწიოს. მსგავსი მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა ეხმარება მოსწავლეს, ეტაპობრივად დააგროვოს ცოდნა და გამოცდილება, რომელიც დასახულ მიზნამდე მიიყვანს. ეს დახმარებას უწევს მასწავლებელსაც – მას შეუძლია ეტაპობრივად შეაფასოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებას (ისგ გზამკვლევი - ჟანა კვაჭაძე, ქეთი ფილაური, მაია ბაგრატიონი, მარიკა ზაქარეიშვილი, 2014).

მოკლევადიანი მიზნების ფორმულირებისას, მასწავლებელი აუცილებლად ხელმძღვანელობს უკვე ფორმულირებული გრძელვადიანი მიზნით და საკვანძო შეკითვის დასმით - **რა უნდა შეძლოს მოსწავლემ იმისთვის, რომ აღნიშნულ მიზანს/მიზნებს მიუახლოვდეს?** რომლის შესაბამისად განსაზღვრავს მოკლევადიან მიზნებს.

მოკლევადიანი მიზნები, რომლებსაც გრძელვადიანი მიზნებისკენ მივყავართ, უფრო კონკრეტული და სპეციფიკურია და მათი მიღწევა უფრო მოკლე პერიოდში არის მოსალოდნელი.

მასწავლებლის ამოცანაა გააანალიზოს გრძელვადიანი მიზანი და მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის გათვალისწინებით განსაზღვროს ის ამოცანები, რომელთა მიღწევით მყარ საფუძველს შექმნის გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, მასწავლებელს უნდა შეეძლოს კონკრეტული მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით, მისი გრძელვადიანი მიზნიდან გამომდინარე, მოკლევადიანი მიზნების დამოუკიდებლად ფორმულირება, შემდგომში კი, თითოეულ მოკლევადიან მიზანზე შესაბამისი მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.



განვიხილოთ მაგალითი: შოთიკო მეორე კლასის მოსწავლეა. მას შეუძლია 10-მდე დათვლა, თუმცა უჭირს დაასახელოს წინა და მომდევნო ციფრები. ცნობს და წერს ციფრებს 1, 2 და 3. 10-ის ფარგლებში შეუძლია გადათვალოს მიწოდებული საგნები და დაასახელოს რაოდენობა, თუმცა მიწოდებულ საგანთა გროვაში დასახელებული რაოდენობის განსაზღვრა უჭირს.

ისგ ჯგუფმა მეორე კლასის დასაწყისში შოთიკოსთვის გრძელვადიანი მიზნები განსაზღვრა.

ცნება: რიცხვები და თანრიგები	
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს	მოსწავლემ უნდა შეძლოს
საგანთა ყველა კონკრეტულ რაოდენობას შეესაბამება კონკრეტული რიცხვი (ცნება „რიცხვები და თანრიგები“).	20-ის ფარგლებში ციფრების ცნობა, დასახელება, ჩაწერა და შესაბამისი რაოდენობის განსაზღვრა.

შემდეგ ეტაპზე, მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს, თუ როგორ იმუშავებს ნაბიჯ-ნაბიჯ მოსწავლესთან დასახული მიზნის მისაღწევად და შესაბამისად, განსაზღვრავს მოკლევადიან მიზნებს. მასწავლებელმა გადაწყვიტა, რომ პირველ რიგში მოსწავლეს 5-

ის ფარგლებში ციფრების ცნობა, გამოსახვა გაუმყაროს და ამავდროულად, იმუშაოს 5-ის ფარგლებში რაოდენობის განსაზღვრაზე. შემდეგ კი თანდათანობით დაუსახოს მოსწავლეს მომდევნო ამოცანები. შესაბამისად, მოსწავლისთვის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნის ანალიზის საფუძველზე, მასწავლებელმა ჩამოაყალიბა შემდეგი მოკლევადიანი მიზნები:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

1. 5-ის ჩათვლით ციფრების დასახელება, ჩაწერა და რაოდენობის ციფრთან შესაბამება;
2. 10-ის ფარგლებში თვლა დასახელებულ ციფრამდე პირდაპირ და უკუმიმართულებით;
3. 10-ის ფარგლებში ციფრების დასახელება, ჩაწერა და შესაბამისი რაოდენობის განსაზღვრა;
4. 20-ის ფარგლებში თვლა პირდაპირ და უკუმიმართულებით;
5. 20-ის ფარგლებში რიცხვების დასახელება და გამოსახვა;
6. 20-ის ფარგლებში მიწოდებულ საგანთა გროვაში დასახელებული რაოდენობის განსაზღვრა და შესაბამისი რიცხვით გამოსახვა.

მაშინ, როცა სწავლა-სწავლების პროცესი სკოლაში კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით ხორციელდება, მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრისთვის მასწავლებელი კომპლექსური დავალებით ხელმძღვანელობს.



განვიხილოთ კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანი.

გრძელვადიანი მიზანი	
ცნება: ბუნებრივი მოვლენები	
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს	მოსწავლემ უნდა შეძლოს
ამინდის ცვალებადობას ბუნებრივი მოვლენები(მაგ., წვიმა, ქარი, ჭექა-ქუხილი, თოვლი, სეტყვა) განაპირობებს	სხვადასხვა ამინდის (მაგ: წვიმა, ქარი, ჭექა-ქუხილი, თოვლი სეტყვა) აღწერა გარემოზე და/ან ილუსტრაციაზე დაყრდნობით

აღნიშნული გრძელვადიანი მიზნისკენ სავალ გზაზე მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. თითოეული კომპლექსური დავალების პირობა, შერჩეული თემა და საკითხი მასწავლებელს ეხმარება, მკაფიოდ განსაზღვროს რა მოკლევადიან მიზნებზეა ორიენტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან.

ცხრილის სახით წარმოდგენილ ნიმუშში, საილუსტრაციოდ მოცემულია სამი კომპლექსური დავალება და შესაბამისი მიზნები. ცხადია, რომ თითოეული მათგანის მიღწევა, შესაბამისი კომპლექსური დავალების შესრულება წინ გადადგმული ნაბიჯია დასახული გრძელვადიანი მიზნისკენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი შემდგომი კომპლექსური დავალებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე გაიღრმავებს ცოდნას ბუნებრივ მოვლენებთან და ამინდთან დაკავშირებით.

გრძელვადიანი	კომპლექსური დავალება და მოკლევადიანი მიზნები	
ცნება: ბუნებრივი მოვლენა ***მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს:*** ამინდის ცვალებადობას ბუნებრივი მოვლენები(მაგ., წვიმა, ქარი, ჭექა-ქუხილი, თოვლი, სეტყვა) განაპირობებს; ***მოსწავლემ უნდა შეძლოს:*** სხვადასხვა ამინდის (მაგ: წვიმა, ქარი, ჭექა-ქუხილი, თოვლი სეტყვა) აღწერა გარემოზე და/ან ილუსტრაციაზე დაყრდნობით	წარმოიდგინე, რომ სახლში ხარ მარტო და ამოვარდა ძლიერი ქარი. შექმენი ბუკლეტი, სადაც თანაკლასელებს აჩვენებ რამდენიმე გზას, როგორ უნდა მოიქცეს ძლიერი ქარის დროს. ნაშრომში წარმოაჩინე: • როგორი სიძლიერის შეიძლება იყოს ქარი? • როგორია გარემო ძლიერი ქარის დროს? • რა უნდა გავითვალისწინოთ ძლიერი ქარის დროს?	მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1. ქარიანი ამინდის აღწერა 2. სუსტი და ძლიერი ქარის ერთმანეთისაგან გარჩევა 3. 2-3 წესის ჩამოთვლა, რა უნდა გავითვალისწინოთ ძლიერი ქარის შემთხვევაში
	გაიხსენე, როგორ იცვლება ამინდი წელიწადის სხვადასხვა დროს. მოამზადე ოთხივე სეზონის ამინდის პროგნოზი, მოაწყვე საინფორმაციო გამოშვება და გააცანი მსმენელებს. ნაშრომში წარმოაჩინე: • როგორი ამინდია ზამთარსა და ზაფხულში? • როგორი ამინდია გაზაფხულსა და შემოდგომაზე?	მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1. წელიწადის დროებისთვის დამახასიათებელი ამინდის დასახელება და აღწერა
	წვიმა წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია. შექმენი კომიქსი, წვიმის სხვადასხვა სახეობებზე და გააცანი შენს თანაკლასელებს. ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე: • რა განსხვავებაა წვიმის სახეებს შორის? • რა უნდა გავითვალისწინოთ წვიმიანი ამინდის დროს?	მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1. წვიმის სხვადასხვა სახეობების ამოცნობა და აღწერა ბარათების გამოყენებით 2. წვიმიანი ამინდისთვის შესაბამისი ნივთების და წესების დასახელება

კომპლექსურ დავალებას, ბუნებრივია, მოსწავლე ვერ გაართმევს თავს, თუ მასწავლებელი მას სხვადასხვა შესაბამის აქტივობას, საშინაო დავალებასა და სასწავლო რესურსს არ შესთავაზებს. მაგალითად, იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს ქარიანი ამინდის აღწერა, მასწავლებელმა მას მრავალფეროვანი აქტივობები უნდა დაუგეგმოს და კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპებში წარმოადგინოს.

განვიხილოთ რამდენიმე ნიმუში.

კომპლექსური დავალება 1.

მოკლევადიანი მიზანი 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს ქარიანი ამინდის აღწერა

აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს ილუსტრაციას, სადაც ქარიანი ამინდია გამოსახული. დამხმარე შეკითხვების გამოყენებით მოსწავლეს სთხოვს აღწეროს სურათი.

1. როგორი ამინდია სურათზე?
2. რა მოსდით ფოთლებს?
3. რატომ სცვივა ხიდან ფოთლები?
4. როგორ ფიქრობ, რა დაემართება ბუშტს ბიჭმა ხელი რომ გაუშვას?

მოკლევადიანი მიზანი 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სუსტი და ძლიერი ქარის გარჩევა

აქტივობა 2. მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის მოკლე აღწერას ქარის შესახებ, მოსწავლე კითხულობს, ხოლო შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, ქარის სხვადასხვა ფორმები შეუსაბამოს ცხრილის შესაბამის გრაფას.

ქარი მოძრავი ჰაერია. თუ ჰაერი სწრაფად მოძრაობს, მაშინ ძლიერი ქარია. თუ ნელა - სუსტი. სუსტ ქარს სიოს, ნიავს ეძახიან. ძლიერ ქარს კი - გრიგალს, ქარიშხალს, ქარბორბალას. გაანაწილე სახელწოდებები ცხრილში

სუსტი ქარი	ძლიერი ქარი

ქარიშხალი, სიო, ქარბორბალა, ნიავი, გრიგალი

მოკლევადიანი მიზანი 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს 2-3 წესის ჩამოთვლა, რა უნდა გავითვალისწინოთ ძლიერი ქარის შემთხვევაში

აქტივობა 3. მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს ძლიერი ქარით გამოწვეული ზიანის ამსახველ სურათებს. პირველ ეტაპზე, მოსწავლეს სთხოვს, აღწეროს სურათზე მოცემული მდგომარეობა, შემდეგ კი ეხმარება დაფიქრდეს, როგორ უნდა მოვიქცეთ მსგავს სიტუაციაში.

1. რა დაემართა სახლს?
2. როგორ ფიქრობ, შეიძლება ძლიერმა ქარმა ხე წააქციოს?
3. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ დროს?

1. როგორ ფიქრობ, როგორი ქარია სურათზე?
2. რატომ ფიქრობ ასე?
3. როგორ უნდა მოიქცეს ბიჭი?

1. როგორი ამინდია სურათზე?
2. როგორ ფიქრობ, ქარიან ამინდში ცივა თუ ცხელა?
3. როგორ უნდა ჩავიცვათ ქარიან ამინდში?

1. როცა ქარიანი ამინდია სახლის ფანჯრები რა მდგომარეობაში უნდა იყოს?
2. რა შეიძლება მოხდეს თუ ქარიან ამინდში აივანზე რაიმე ნივთს, ქოთნებს, ყვავილებს დავდებთ?
3. რა უნდა გავითვალისწინოთ ასეთ დროს?

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რესურსები და დავალებები შესთავაზოს, რათა მან დამოუკიდებლად შეძლოს კომპლექსური დავალების შესრულება. ზემოთ მოყვანილ ნიმუშში, მაგალითის სახით, ყოველ მიზანზე ერთი აქტვობაა მოცემული, თუმცა ცხადია, აქტივობათა რაოდენობა მასწავლებელმა მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს და შესთავაზოს იმდენი, რამდენიც შექმნის სრულყოფილ საფუძველს შესასწავლი საკითხისა და ამოცანებისთვის საჭირო ცოდნის ათვისებისთვის.

ახალი სასწავლო მიზნების, თემისა და კომპლექსური დავალების დასახვისას გასათვალისწინებელი ფაქტორები

როგორც ცნობილია, განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად, კონკრეტული საგნის ფარგლებში ინდივიდუალური მიზნების დასახვა მიზანშეწონილია სწავლის დაწყებიდან მალევე, არაუგვიანეს 14 კალენდარულ დღეში მოხდეს. თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ჩანაწერი, არ გულისხმობს, რომ სასწავლო წლის დასაწყისშივე, წინასწარ უდნა მოხდეს ყველა იმ ინდივიდუალური მიზნის ფორმულირება, რომელზე მუშაობაც სასწავლო წლის განმავლობაში წარიმართება.მეტიც, ხშირად შეუძლებელი და არაეფექტიანიც კია კურიკულუმის სრულად ადაპტირება და ინდივიდუალური გრძელვადიანი მიზნების სასწავლო პროცესის დასაწყისშივე ერთიანად განსაზღვრა, კომპლექსური დავალებებისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე მორგება.

შესაბამისად, მართებულია, მასწავლებელმა კურიკულუმის ადაპტირება თანმიმდევრულად, სასწავლო პროცესის მსვლელობისას განახორციელოს და სასწავლო პროცესის დასაწყისში მხოლოდ ის ინდივიდუალური მიზნები განსაზღვროს, (სწავლის შედეგების და მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტების გზით), რომელთა მიღწევაზე დროის მოცემულ მონაკვეთში იქნება ორიენტირებული.

ყოველი ახალი სასწავლო მიზნის დასახვას წინ უნდა უძღოდეს მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონის შეფასება, ანუ ყოველი მომდევნო ინდივიდუალური მიზანი უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დაძლია/მიუახლოვდა მოსწავლე მისთვის განსაზღვრულ წინა მიზანს.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც - ხშირად რთულია გარკვეული სიზუსტით წინასწარმეტყველება, რა დრო დასჭირდება სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე მოსწავლეს დასახული სასწავლო მიზნის, თემისა და კომპლექსური დავალების სიღრმისეულად დასამუშავებლად და როდის უნდა გადავიყვანოთ ის ახალ სასწავლო მიზანზე. რასაკვირველია, იმისათვის, რომ მოსწავლემ გარკვეული პროგრესი აჩვენოს დასახული მიზნის მიმართულებით, მის განკარგულებაში საკმარისი დრო უნდა იყოს.

ამავდროულად, მასწავლებლის ამოცანაა ჰარმონიული სასწავლო პროცესის ორგანიზება, სადაც მოსწავლეები ერთი მიზნის და ერთი თემის ირგვლივ იქნებიან გაერთიანებულნი.

შესაბამისად, კლასისთვის ყოველი ახალი თემისა და კომპლექსური დავალების დასახვის მომენტში მასწავლებელი შესაძლებელია დილემის წინაშე აღმოჩნდეს - თანაკლასელების მსგავსად გადაიყვანოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ახალ ეტაპზე, მისთვისაც განსაზღვროს ახალი თემა და ადაპტირებული კომპლექსური დავალება, თუ გააგრძელოს მიმდინარე თემასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა.

მიზანშეწონილია, მასწავლებელმა აღნიშნული საკითხი სპეციალურ მასწავლებელთან ერთად განიხილოს და გადაწყვიტოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. მთავარია, მათ მიერ მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილება დამაჯერებლად იყოს არგუმენტირებული.

ამავდროულად, პრაქტიკოსთა გუნდი უნდა აცნობიერებდეს, რომ ნებისმიერ გადაწყვეტილებას თან ახლავს გამოწვევები.

1. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე თანაკლასელებისგან არსებითად განსხვავებულ თემასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობს**

თუკი მასწავლებელი კლასს ახალ თემას და შესაბამის კომპლექსურ დავალებას შესთავაზებს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან ისევ გააგრძელებს იმავე თემასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას, მას მოუწევს ორი პარალელური პროცესის წარმართვა - კლასისთვის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

სავარაუდოდ, მასწავლებელი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ მომენტში მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონით არ დაკმაყოფილდება და ექნება განცდა, რომ მიმდინარე თემისა და კომპლექსური დავალებისთვის მეტი დროის დათმობით მოსწავლე შეძლებს მიღწევების გაუმჯობესებას.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანით, შესაძლებელია, მივიღოთ შემდეგი მდგომარეობა - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

აღმოჩნდება სასწავლო პროცესში, სადაც კლასი გარკვეულ თემას განიხილავს, მაგრამ იმ მომენტისთვის თავად წინა თემაზე იქნება ორიენტირებული. შესაბამისად, ის კლასში მიმდინარე პროცესების თანამონაწილე ვერ გახდება. აღნიშნული დრო შესაძლებელია მისთვის არაპროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს.

დასაშვებია, იმ დროს, როდესაც მასწავლებელი კლასთან ერთად გარკვეულ საკითხებს განიხილავს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრულ სამუშაოს ასრულებდეს, თუმცა, შესაძლებელია, მან ეს წარმატებით ვერ მოახერხოს, რადგან გაუჭირდეს მისთვის დაგეგმილ სასწავლო აქტივობებზე კონცენტრირება, მაშინ, როდესაც კლასი განსხვავებულ თემაზე მსჯელობს.

შესაძლებელია, არც ის დრო ჩაითვალოს მოსწავლისთვის საკმარისად, რომელსაც გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებელი მისთვის გამოყოფს, მას მიუბრუნდება და მისთვის განსაზღვრული თემისა და მიზნის ირგვლივ იმუშავებს.

2. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და კლასი ერთსადაიმავე თემაზე მუშაობენ**

თუ მასწავლებელი კლასს ახალ თემას და ახალ კომპლექსურ დავალებას შესთავაზებს და სასწავლო პროცესის ჰარმონიულად წარმართვის მიზნით, იმავე თემასა და შესაბამის ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებაზე გადაიყვანს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, მთელი კლასი ერთი თემის ირგვლივ იქნება გაერთიანებული.

ამ შემთხვევაში, შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღწევა ისე არ გაუმჯობესდეს, როგორც მაშინ, თუ ის გააგრძელებდა მისთვის განსაზღვრულ თემასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ინკლუზიური სასწავლო გარემო გულისხმობს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხრიდან არა მხოლოდ სასწავლო სივრცის, არამედ სასწავლო კონტექსტის გაზიარებას, ნათელი ხდება რამდენად მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე იმავე თემას ამუშავებდეს, რასაც თანაკლასელები.

ერთი თემის ირგვლივ მოსწავლეთა მრავალფეროვანი ჯგუფის გაერთიანება ქმნის საუკეთესო წინაპირობას რეალურად ინკლუზიური განათლებისთვის. ამგვარი მიდგომა მეტად ჰარმონიულს ხდის სასწავლო პროცესს არა მხოლოდ მასწავლებლისთვის, არამედ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის, რადგან ის სრულად თანამონაწილე ხდება კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესისა.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესი ჰარმონიზებული იყოს კლასისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესთან, გასათვალისწინებელია შემდეგი - სსსმ მოსწავლე კლასთან ერთად უნდა

იწყებდეს და ასრულებდეს თემისა და კომპლექსური დავალების დამუშავებას. გადამწყვეტია, მასწავლებელმა მართებულად განსაზღვროს ინდივიდუალური კომპლექსური დავალების სირთულე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის კომპლექსური დავალების ფორმირებამდე მასწავლებელმა, უნდა დასვას შემდეგი კითხვა და გაცემული პასუხიდან გამომდინარე განსაზღვროს მისი პირობა: რის შესრულებას შეძლებს ჩემი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, დროის იმ მონაკვეთში, რაც მოცემულ თემასა და კომპლექსური დავალებისთვის იქნება დათმობილი? აქვე, აღსანიშნავია, რომ მასწავლებელი კომპლექსური დავალების განხორციელების სავარაუდო დროს განსაზღვრავს წინასწარ, რაც მას გარკვეული მოქნილობის შესაძლებლობას აძლევს - დაუთმოს იმაზე მეტი დრო, ვიდრე წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შემუშავებულ კომპლექსურ დავალებაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე იმდენივე ხანი იმუშავებს, რამდენსაც მისი თანაკლასელები. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მეტი ვარაუდით კლასთან ერთად დაასრულებს თავის დავალებაზე მუშაობას და მათთან ერთად გადაინაცვლებს ახალი გამოწვევების დასაძლევად. ამ მიდგომით, მოსწავლისთვის ერთ კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დასრულდება, თუმცა გაგრძელდება ყოველი ახალი და შემდგომი კომპლექსური დავალებებით მიზნებისკენ სვლა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ განხილული მეორე შემოთავაზება, მეტად ეფექტიანია ვიდრე პირველი, მნიშნელოვანია, მასწავლებელს ახსოვდეს, რომ არ არსებობს ერთი მიდგომა, რომელიც თანაბრად ეფექტიანი იქნებოდა ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შემთხვევაში. მთავარია, ნებისმიერი გადაწყვეტილება მოსწავლის საუკეთესო საგანმანათლებლო ინტერესებს ეყრდნობოდეს და დამაჯერებლად იყოს არგუმენტირებული.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება

განმავითარებელ შეფასებას მასწავლებელი კლასის ყველა მოსწავლისთვის ინდივიდუალურად ახორციელებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში, შეფასება, მოსწავლის მიღწევების შეჯერება მნიშვნელოვანია შემდგომი ნაბიჯების სწორად და ეფექტიანად დაგეგმვისთვის.

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებისთვისაც სოლო ტაქსონომია გამოიყენება, თუმცა მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა რამდენიმე ნიუანსი გაითვალისწინოს.

1) განმავითარებელი შეფასება ეყრდნობა ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებას

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განმავითარებელი შეფასებისთვის, ბუნებრივია, მასწავლებელი მისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებით ხელმძღვანელობს. აღწერს რა პროდუქტი შექმნა მოსწავლემ და კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები როგორ და რამდენად წარმოაჩინა შესრულებულ დავალებაში. გამომდინარე იქიდან, რომ ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებაში, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ცვლილებები განიცადოს შესრულების ფორმამ, შესასწავლი საკითხის მოცულობამ, შეფასების კრიტერიუმებმა, განმავითარებელი შეფასების განხორციელებისას მასწავლებელი სწორედ აღნიშნულ მოდიფიცირებულ კომპონენტებს უნდა დაეყრდნოს. მაგალითისთვის, განვიხილოთ ნიმუში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა ისტორიაში და დავალების ადაპტირებული ვერსია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

ცნება: საზოგადოება	ცნება: საზოგადოება
კომპლექსური დავალების პირობა	ადაპტირებული პირობა
წარმოიდგინე, რომ ხარ ქვის ხანაში მცხოვრები ადამიანი, იმ განსხვავებით, რომ შეგიძლია წერა და წერ **დღიურს** პირველ პირში. დღიურის საშუალებით გადმოეცით ქვის ხანაში მცხოვრები ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება. ,,დღიურში'' ხაზგასმით წარმოაჩინე: • როგორც ქვის ხანის ადამიანი, როგორ გარემოში ცხოვრობდი და რას საქმიანობდი; • როგორი იყო შენი, როგორც ქვის ხანის ადამიანის კვებითი რაციონი; • როგორი რწმენა-წარმოდგენები გქონდა და როგორ აღიქვამდი სამყაროს.	წარმოიდგინე, რომ ხარ ქვის ხანაში მცხოვრები ადამიანი, რომელიც სხვადასხვა საქმიანობით არის დაკავებული. **შექმენი ნახატი,** სადაც ასახული იქნება შენი, როგორც პირველყოფილი ადამიანის ერთი დღის თავგადასავალი. ნახატზე წარმოაჩინე: • სად ცხოვრობ, როგორც პირველყოფილი ადამიანი; • რა საქმიანობას ეწევი მთელი დღის განმავლობაში; • როგორია შენი საცხოვრებელი, სამოსი, საკვები.

როგორც ვხედავთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე დღიურის ნაცვლად ქმნის ნახატს, ასევე განსხვავებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებიც. შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების ჰოლისტურ რუბრიკაში მასწავლებელმა უნდა აღწეროს როგორი ნახატი შექმნა მოსწავლემ, რამდენად არის ნახატში გადმოცემული პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელი პირობები და ძირითადი საქმიანობები. ხოლო, ისეთი კომპონენტები, როგორიცაა პირველყოფილი ადამიანის რწმენა-წარმოდგენები, სამყაროს აღქმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განმავითარებელ შეფასებაში გათვალისწინებული არ უნდა იყოს.

2) მასწავლებელი რეალისტურად განსაზღვრავს ტაქსონომიის დონეს

განმავითარებელი შეფასების განხორციელებისას, მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს ტაქსონომიის რომელი დონის შესაბამისი ცოდნა გამოავლინა მოსწავლემ დასახულ გრძელვადიან მიზნებთან (ცნებები, შედეგები) მიმართებით. ხშირად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიერ ადაპტირებული კომპლექსური დავალების წარმატებით შესრულება, მასწავლებელს უბიძგებს იმისკენ, რომ მას „საუკეთესო“ შეფასება მისცეს. თუმცა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად, რეალისტურად განსაზღვროს მოსწავლის მიღწევის დონე. მაგალითისთვის, განვიხილოთ მოსწავლის ნამუშევარი[5] და შესრულებული დავალება პირველყოფილ ადამიანზე შექმნილი კომპლექსური დავალების ფარგლებში.

მოსწავლის ნამუშევარი	**კომპლექსური დავალების შესრულების აღწერა**
	მოსწავლემ გაიგო დავალება და შექმნა ნახატი, რომელშიც საინტერესოდ გადმოგვცა ინფორმაცია ქვის ხანის ადამიანების ერთი დღის ცხოვრების შესახებ. ნახატი მოიცავს რამდენიმე ეპიზოდს, სადაც აღწერს პირველყოფილი ადამიანის ნადირობის, საკვების მომზადების პროცესს. ნახატის შინაარსიდან ვიგებთ, რომ ის ხშირად ნადირობს, რადგან მას აქვს სანადირო იარაღი, ფლობს ნადირობის უნარებს, იქვე ჩანს ნანადირევის ჩონჩხები. ხოლო ქვაზე გადაფენილია ნადირის კოპლებიანი ტყავი. ასევე, მისი პერსონაჟი გამოქვაბულის კედლებზე გამოსახავს ფიგურებს. მოსწავლემ ვერბალურად მარტივი სიტყვების გამოყენებით აღწერა პირველყოფილი ადამიანის ერთი საქმიანობა - ნადირობა, საკვები - ცხოველი. გაუძნელდა საქმიანობის, საცხოვრებელი გარემოს და კვების სტილის ერთმანეთთან დაკავშირება.

როგორც ვხედავთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ მისთვის დასახულ კომპლექსურ დავალებას თავი კარგად გაართვა, შექმნა კონკრეტული პროდუქტი და წარმოაჩინა კომპლექსური დავალებით გათვალისწინებული კრიტერიუმები: საქმიანობის, კვების, საცხოვრებლის შესახებ. მოსწავლის ნამუშევრის და შესრულების პროცესის ანალიზიდან ცხადია, რომ მან შეძლო შესასწავლი საკითხის ირგვლივ რამდენიმე ასპექტის მითითება, ჩამოთვლა, აღწერა, თუმცა მათი ერთმანეთთან დაკავშირება, მთლიან კონტექსტში გააზრება გაუძნელდა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლემ ადაპტირებული კომპლექსური დავალება წარმატებით განახორციელა, გამოამჟღავნა ახალი ცოდნა სამიზნე ცნებასთან

[5] კომპლექსური დავალება განახორციელა ისტორიის პედაგოგმა, მარეხ ჩიკვაიძემ

მიმართებით, მასწავლებელმა სოლო ტაქსონომიის დონე რეალისტურად განსაზღვრა და აღწერა მულტისტრუქტურულ და არა მიმართებით და აბსტრაქტულ დონეზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში, შესაძლებელია, განმავითარებელი შეფასების კომენტარები უმეტესად ერთსა და იმავე დონეს ასახავდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეს არ აქვს პროგრესი. მაგალითად, ცხრილში მოცემულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების აღწერა, სამ კომპლექსურ დავალებაზე, თუმცა ერთსა და იმავე თემაზე. მოსწავლის შესრულების ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მოსწავლემ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ახალ საკითთან და თემასთან მიმართებაში, გაიღრმავა ცოდნა, თუმცა სამივე შემთხვევაში მასწავლებელმა მისთვის ტაქსონომიის მეოთხე, მულტისტრუქტურული დონე დაადგინა, რადგან, მიუხედავად პროგრესისა, მოსწავლემ სამივე კომპლექსურ დავალებაში ცნების გააზრების ერთი და იგივე დონე აჩვენა .

საგანი: ისტორია **ცნება: საზოგადოება**			
თემა	**ანტიკური და გვიანი ანტიკური ხანა**	**ახალი დრო**	**საქართველო და თანამედროვე მსოფლიო**
საკითხი	**რომაული საზოგადოება**	**აგრარული რევოლუციები ბრიტანეთში**	**მრავალკულტურული საქართველო**
მულტისტრუქტურული დონე	კომპლექსური დავალება 1	კომპლექსური დავალება 2	კომპლექსური დავალება 3
	მოსწავლემ სწორად გაიგო შესასრულებელი დავალება, შექმნა წერილობითი მოხსენება, სადაც აღწერა რომაული საზოგადოება. ნაშრომში წარმოაჩინა რომის მოქალაქეები, წარმოადგინა ვიზუალური მასალა, რომელზე დაყრდნობით აღწერა მათი ტანისამოსი-ტოგა. მოსწავლემ პრეზენტაციის დროს ისაუბრა რომის არასრულუფლებიან მოქალაქეებზე, თუმცა გაუჭირდა აღნიშნული საზოგადოების მახასიათებლების ჩამოთვლა.	მოსწავლემ კომპლექსურ დავალებაში შექმნა მოთხრობა „ღარიბი ინგლისელი“. დავალებაში წარმოადგინა ილუსტრაციები, რომელშიც ასახულია ინგლისელი მიწათმოქმედის სახლ-კარი, მძიმე შრომა, დახეული, ჭუჭყიანი ტანსაცმელი. პრეზენტაციის დროს მოსწავლემ უპასუხა მასწავლებლის დასმულ შეკითხვებს და გაარჩია ერთმანეთისგან მდიდარი და ღარიბი ფენა.	მოსწავლემ წარმატებით გაართვა თავი კომპლექსურ დავალებას. მოიძია ინფორმაცია (სურათები) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზე (სომხებსა და აზერბაიჯანელებზე). კოლაჟი წარმოადგინა პრეზენტაციის სახით, ისაუბრა მათი ჩაცმის სტილის, საქმიანობისა და რელიგიის შესახებ. ვიზუალურად წარმოაჩინა მათი სამლოცველო შენობები (დასახელება გაუჭირდა) და მარტივი სიტყვებით აღწერა.

3) მოსწავლისთვის რჩევის მიცემის, უკუკავშირის დაბრუნების პროცესში მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებაა საჭირო

განმავითარებელი შეფასების ჰოლისტური რუბრიკა მოსწავლის შესრულების აღწერასთან ერთად, მეორე, ასევე მნიშვნელოვან კომპონენტს - მოსწავლისთვის უკუკავშირის დაბრუნებას მოიაზრებს. მასწავლებელი აკვირდება და აანალიზებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესს, მოსწავლის მიღწევებს, რას გაართვა თავი წარმატებით, რა გაუადვილდა და რა გაუძნელდა. შედეგად კი აყალიბებს კონკრეტულ რჩევებსა და რეკომენდაციებს, რომელთა მიზანიც მოსწავლის მიღწევების, ცოდნის გაუმჯობესებაა. ცხადია, განმავითარებელი შეფასება აზრს დაკარგავს, თუ ეს მხოლოდ მასწავლებლის საქაღალდეში იქნება დოკუმენტირებული და არა თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი. განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება ასევე მნიშვნელოვანი და ღირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წინსვლისა და მოტივაციის ხელშეწყობისთვის.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განმავითარებელი უკუკავშირის დაბრუნების დროს მასწავლებელმა რამდენიმე დეტალი უნდა გაითვალისწინოს, მათ შორის:

- წინადადებების მოსწავლისთვის გასაგები, მარტივი ენით ფორმულირება;
- უკუკავშირის მიწოდება სხვადასხვა ფორმით, წერილობით, სიტყვიერად, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ვიზუალური მასალის გამოყენება;
- უკუკავშირის მიწოდების დროს მასწავლებელმა, სასურველია, გამოიყენოს მოსწავლის მიერ შექმნილი დავალება და კონკრეტულად მიუთითოს იმ დეტალებსა და ასპექტებზე რომელთა გაუმჯობესებაც შესაძლებელია;
- რჩევების, რეკომენდაციების მიწოდების შემდეგ, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ მოსწავლეს მიაწოდა საკმარისი რესურსი, დავალებები და დამატებითი მასალა, რაც მას შესრულების გაუმჯობესებაში დაეხმარება.

IV ნაწილი: ადაპტირებული კომპლექსური დავალებებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში

მოცემულ ნაწილში ასახულია კომპლექსური დავალების ნიმუშები, რომელთა ადაპტირებული ვერსია მორგებულია კონკრეტულ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებზე. ამავდროულად, წინამდებარე თავში განხილულია მოსწავლისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, მათი მიმართება კომპლექსურ დავალებასა და აქტივობებთან.

პირველ ნიმუშად განვიხილოთ მეორე კლასის მათემატიკის კომპლექსური დავალება და მისი ადაპტირებული ვერსია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

მოსწავლის შესაძლებლობების აღწერა: ნიკო მეორე კლასის მოსწავლეა. შეუძლია 10-მდე დათვლა, ცნობს, ასახელებს და წერს ციფრებს 1, 2, 3. შეუძლია საგანთა რაოდენობის გადათვლა.

როგორც ნიმუშში ვხედავთ, ცნება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შენარჩუნებულია, რაოდენობრივად შემცირებული და დაზუსტებულია მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებელმა ნიკოსთვის კონკრეტული გრძელვადიანი მიზნები განსაზღვრა და გადაწყვიტა, რომ მეორე კლასში ასწავლოს რიცხვების ჩაწერა, რაოდენობის განსაზღვრა 20-ის ფარგლებში და საგანთა გროვების შედარება. ადაპტირებული კომპლექსური დავალება სწორედ აღნიშნულ მიზნებზეა ორიენტირებული. თავად კომპლექსურ დავალებაში დაკონკრეტებულია საკითხთა ჩამონათვალი. მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მოცემული კომპლექსური დავალების მიწოდებით, შემდეგ მოკლევადიან მიზნებზეა ორიენტირებული: მოსწავლემ შეძლოს 6-ის ჩათვლით ციფრების დასახელება და ჩაწერა; მოსწავლემ შეძლოს 6-ის ფარგლებში ციფრს დაუკავშიროს რაოდენობა; მოსწავლემ შეძლოს საგანთა გროვების (10-ის ფარგლებში) შედარება, მეტის და ნაკლების ამოცნობა. კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპებში შემოთავაზებულია ერთი აქტივობის ნიმუში დასახულ მოკლევადიან მიზანზე სამუშაოდ. ბუნებრივია, პრაქტიკაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს გაცილებით მეტი აქტივობის განხორციელება დასჭირდება, რათა მან შეძლოს ახალი საკითხის ათვისება და კომპლექსური დავალებისთვის დამოუკიდებლად თავის გართმევა.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ თემატურ მატრიცებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში მასწავლებლები წარმოადგენენ რესურსების ჩამონათვალს, იმ საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული,

პირობისეული) გააქტიურებაზე იქნება მიმართული და არა აქტივობათა დეტალურ სცენარებს. თუმცა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში, მნიშვნელოვანია ტიპობრივი აქტივობების დეტალური აღწერა.

ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში N1[6]

საგანი: მათემატიკა **კლასი:** 2 **მიმართულება:** რიცხვები და თანრიგები	
კლასი	**სსსმ**
ცნება: რიცხვები და თანრიგები	**ცნება:** რიცხვები და თანრიგები
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს 1. საგანთა ყველა კონკრეტულ რაოდენობას შეესაბამება კონკრეტული რიცხვი; 2. რიცხვების გამოსახვის სხვადასხვა გზა არსებობს (მაგალითად ასო-ნიშნებით) - მათ შორის ციფრებით; 3. განსხვავებულ რიცხვებს აქვთ განსხვავებული სახელები და განსხვავებული აღნიშვნები; 4. ორი სხვადასხვა რიცხვიდან ერთ-ერთი აუცილებლად მეტია მეორეზე. 5. არითმეტიკული მოქმედებები (მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა, ახარისხება) მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან; გამოთვლების წარმოებაში აუცილებელია მოქმედებათა თანმიმდევრობის დაცვა. 6. ათობით პოზიციურ სისტემაში სულ ათი ციფრია საკმარისი ნებისმიერი რიცხვის გამოსახატავად: რიცხვის ჩაწერის პოზიციურ სისტემაში ციფრის მნიშვნელობა მისი ადგილის მიხედვით იცვლება.	**მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს** 1. რიცხვებს განსხვავებული სახელები აქვთ და განსხვავებული სიმბოლოებით გამოისახებიან; 2. საგანთა კონკრეტული რაოდენობა უკავშირდება შესაბამის რიცხვს; 3. საგანთა გროვა შედარებისას შეიძლება იყოს მეტი, ნაკლები ან ტოლი.
მოსწავლემ უნდა შეძლოს: მათ. დაწყ.1 მოსწავლე უნდა ფლობდეს და იყენებდეს რიცხვის ცნებას და რიცხვის წარმოდგენის საშუალებებს; მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების შედარება და კლასიფიცირება. მათ. დაწყ.2 ძირითადი არითმეტიკული ოპერაციების შესრულება რიცხვებზე. მათ. დაწყ.13. ყოველდღიური ცხოვრებიდან ან ბუნებისმეტყველების დარგებიდან მომდინარე მარტივი ამოცანების ამოხსნა.	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** 1. ნაჩვენები რიცხვის (20 ფარგლებში) დასახელება. 2. ერთმანეთს შეუსაბამოს რიცხვები და რაოდენობები (20 ის ფარგლებში). 3. გროვების შედარება და შესაბამისი სიმბოლოების გამოყენება.
საკითხი: რიცხვები 1-დან 100-მდე	**საკითხი:** რიცხვები 1-დან 6-მდე
ქვესაკითხები: 1. ათეულები 2. ათეულების შეკრება	**ქვესაკითხები:** 1. ოთხი 2. ხუთი

[6] კომპლექსური დავალება მოცემულია ვებ-გვერდიდან math.ge, დავალების ადაპტირებაზე იმუშავა სპეციალურმა მასწავლებელმა ქეთევან ავალიშვილმა

3. ათეულების გამოკლება 4. უახლოესი ათეულები და ოცეულები 5. რიცხვები 21-დან 30-მდე 6. რიცხვები 30-დან 100-მდე 7. რიცხვების შედარება 8. უახლოესი ათეულები, ოცეულები და ხუთეულები 9. რაოდენობის შეფასება	3. ექვსი 4. მეტობისა და ნაკლებობის სიმბოლოები 5. რაოდენობის შედარება 6. რაოდენობის შეფასება
საკვანძო შეკითხვა: • შეიძლება თუ არა წითელქუდას დასჭირდეს რიცხვების ცოდნა ბოქლომის გახსნასა და პრობლემის გადაჭაში? • რაში შეიძლება დაგვჭირდეს 1-დან 100-მდე რიცხვების ცოდნა?	**საკვანძო შეკითხვა:** • შეიძლება თუ არა წითელქუდას დასჭირდეს რიცხვების ცოდნა ბოქლომის გახსნაში? • რაში შეიძლება დაგვჭირდეს 1-დან 6-მდე რიცხვების ცოდნა?
კომპლექსური დავალების პირობა: მგელმა წითელქუდას ბებია გამოკეტა სახლში და ბოქლომი დაადო, რომლის გახსნასაც რიცხვების გამოცნობა სჭირდება. ბებიასკენ მიმავალ წითელქუდას გზად ფერია შეხვდა, რომელსაც წითელქუდამ დახმარება სთხოვა. ფერიას შეუძლია მხოლოდ მინიშნებები მისცეს წითელქუდას, რათა მან ბოქლომის გასაღებად საჭირო რიცხვების გამოცნობა შეძლოს. შენი დავალებაა: დაეხმარო წითელქუდას ბოქლომის კოდის გაგებაში, რათა მან მგლის მიერ ჩაკეტილი ბებია გაათავისუფლოს. მინიშნებების ამოხსნის შემდეგ დაწერე პატარა მოთხრობა და წარმოადგინე, როგორ დაეხმარე წითელქუდას. **პირველი მინიშნება: „ჯადოსნური კვადრატი“** - შეავსეთ კვადრატი, ისე რომ ყველა სვეტის, სტრიქონის და დიაგონალის ჯამი იყოს 18-ის ტოლი. უნდა დაიმახსოვრო შუა უჯრაში ჩაწერილი რიცხვი. 7 | | 3 | | |	**კომპლექსური დავალების პირობა:** მგელმა წითელქუდას ბებია სახლში გამოკეტა და ბოქლომი დაადო. მეგობრების დახმარებით წითელქუდამ გაიგო ბოქლომის კოდი და ბებოს გასათავისუფლებად მიეშურება. წითელქუდას უნდა, რომ ბებოს საჩუქარი წაუღოს. შექმენი სამაგიდო თამაში, სადაც დაეხმარები წითელქუდას, კამათლის დახმარებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდეს ბებიის სახლამდე. (ნაბიჯების გადასადგმელად გამოიყენე ბოთლის საცობი, გააგორე კამათელი, გადადგი იმდენი ნაბიჯი რამდენიცაა გამოსახული კამათელზე). გზად შეაგროვე სოკოები და ვაშლები, ჩააწებე წინასწარ გამზადებულ კალათებში და განსაზღვრე რამდენ სოკოს და რამდენ ვაშლს მიუტანს წითელქუდა ბებოს? შეადარე ვაშლებისა და სოკოების რაოდენობა (მეტია, ნაკლებია თუ ტოლია). სამაგიდო თამაშის შესაქმნელად მიჰყევი ნაბიჯებს: 1.გამოჭერი და დააწებე დიდ ფორმატზე 2. გააკეთე კამათელი და დააწერე შესაბამისი რაოდენობის რიცხვები და წერტილები

		5

მეორე მინიშნება: ყველა დავალება შეასრულე, **იპოვე მიღებული რიცხვებიდან უმცირესი**
და დაიმახსოვრე.

1) თორნიკე 36 კგ-ს იწონის, გიორგი მასზე 9 კგ-ით მსუბუქია. ლაშა კი გიორგიზე 10 კგ-ით მძიმეა. რამდენი ათეულია მათი საერთო მასა?

2) დაწერე ყველა რიცხვი 50-დან 25-მდე, ამ რიცხვების ჩათვლით. შემდეგ გადახაზე ზოგი რიცხვი ისე, რომ დარჩენილთაგან ყოველი რიცხვი იყოს 5-ით ნაკლები მის წინაზე. სულ რამდენი რიცხვი დარჩა გადასახაზი?

3) თუ ერთნიშნა რიცხვს, მარცხნიდან მივუწერთ ციფრს 5 რამდენით გაიზრდება თავდაპირველი რიცხვი?

4) რომელი უფრო მეტია და რამდენით, 60-დან 80-ის ჩათვლით კენტი თუ ლუწი რიცხვების რაოდენობა?

5) თუ 83-ის უახლოეს ხუთეულს გამოაკლებ 35-ის უახლოეს ათეულს და 32-ის უახლოეს ოცეულს, მიიღებ?

6) დაწერე ყველა ის ორნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამი არის 17. იპოვე მათ შორის სხვაობა.

მესამე მინიშნება:



იპოვეთ, მოცემულ სქემაზე რიცხვები, ასევე უდიდეს რიცხვსა და უმცირეს რიცხვს შორის სხვაობა. რამდენი ათეულია მიღებულ რიცხვში? **დაიმახსოვრე ეს რიცხვი.**



3. გამოჭერი კალათები ვაშლებისთვის, სოკოებისთვის, დააწებე სამაგიდო თამაშის მუყაოზე
4. დაიწყე თამაში, გააგორე კამათელი, გადადგი იმდენი ნაბიჯი, რა ციფრიც ამოვა კამათელზე
5. ციფრები დაიმახსოვრე და ჩაინიშნე
6. შეაგროვე სოკოები და ვაშლები



ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩნე:

- როგორ შეიძლება შეცვალოს რიცხვის მნიშვნელობა თუ ციფრებს ადგილს შევუცვლით და რას უნდა მიექცეს ყურადღება შედარებისა და ანგარიშის დროს?(მ.წ.3.4.)
- რა ოპერაციებია საჭირო გამოანგარიშებისათვის, რაოდენობის დასადგენად და როგორ გვეხმარება სტრატეგიის შერჩევა, რომ გამოთვლები ვაწარმოოთ იმის მიხედვით, თუ როგორ არის საჭირო ზუსტი თუ მიახლოებითი გამოთვლა? (მ.წ.5)

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რამდენჯერ გააგორე კამათელი? რა რიცხვები ამოგივიდა და რამდენი ნაბიჯი გადადგი (მკ.წ.1)
- რამდენი სოკო შეაგროვე? (მკ.წ.2)
- რამდენი ვაშლი შეაგროვე? (მკ.წ 2)
- როგორ შეადარე სოკოები და ვაშლები ერთმანეთს? (მკ.წ.3)
- შენი თამაშის შედეგად რა წაუღო წითელქუდამ ბებოს? (მკ.წ.3)

- გამოთვლების შესრულებისას საჭიროა თუ არა მოქმედებების თანმიმდევრობის დაცვა, რატომ? (მ.ნ.5)
- საჭიროა, თუ არა რიცხვში ციფრების ადგილმდებარეობის მნიშვნელობის ცოდნა? (მ.ნ.6)
- რა გაგიჭირდა დავალების შესრულების დროს?

მოკლევადიანი მიზნები:
1.მოსწავლემ შეძლოს 6 ის ფარგლებში ციფრების ცნობა, დასახელება, ჩაწერა
2.მოსწავლემ შეძლოს 6 ის ფარგლებში რიცხვის რაოდენობასთან დაკავშირება
3. მოსწავლემ შეძლოს საგანთა რაოდენობაში (10 ის ფარგლებში) მეტი-ცოტას გარჩევა

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები:

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
- რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი?
-რა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით უნდა დავადასტურო ცოდნა?

ეტაპი II – მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება

ფაქტობრივი კითხვები: რა?	რამდენი ერთეულია ერთი ათეული? 100-ში რამდენი ათეულია?
კონცეპტუალური კითხვები: როგორ? რატომ?	რა განსხვავებაა რიცხვსა და ციფრს შორის? რითი განსხვავდება კენტი და ლუწი რიცხვები? როგორ ხდება ორნიშნა რიცხვების შედარება? როგორ შეიძლება 5-ის, 10-ის, 20-ის ბიჯით თვლა?

ეტაპი III – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ათიდან ოცამდე რიცხვების ჩაწერაზე მუშაობა

ფაქტობრივი კითხვები: რა?	რას ნიშნავს წყვილი? რას ნიშნავს ათეული? რამდენი ათეულია ასში?
კონცეპტუალური კითხვები: როგორ? რატომ?	როგორ შევკრიბოთ/გამოვაკლოთ ათეულები? როგორ ფიქრობ, ხომ არ იცი ისეთი სტრატეგია, ხერხი, რომლითაც უფრო გაგიადვილდება ორნიშნა რიცხვების შეკრება-გამოკლება?

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები:
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
მასწავლებელი მოსწავლეს კომპლექსური დავალების პირობის გასაგებად აჩვენებს ამობეჭდილ საჭირო რესურსებს და პირობას უხსნის სიტყვიერად. მასწავლებელი მოსწავლეს დავალების პირობას ახსენებს ყოველ გაკვეთილზე.

ეტაპი II – მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება
აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს მისთვის ნაცნობ რიცხვებს და სთხოვს თითოეულის დასახელებას შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეს შეარჩიოს ერ-ერთი რიცხვი და იპოვოს შესაბამისი რაოდენობის ნებისმიერი ნივთი საკლასო ოთახში.

ეტაპი III – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
რიცხვების ჩაწერა 6-მდე
აქტივობა 1. (მოკლევადიანი მიზ 1, 2)
მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის დავალებას, სადაც 4 ავოკადოა დახატული. ჯერ ითვლის მასწავლებელი, შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეს გაიმეოროს. ციფრის გამოსახვისთვის ჯერ მოსწავლე აყოლებს წერტილებს, მასწავლებელი აჩვენებს ერთ ნიმუშს. შემდეგ კი ეუბნება, მოსწავლეს, რომ გამოსახოს ციფრი მითითებული ნიმუშის მსგავსად.



ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში N 2

ქვემოთ შემოთავაზებული მეორე ნიმუში ასახავს პირველი კლასის კომპლექსურ დავალებას ბუნებისმეტყველებაში და დავალების ადაპტირებულ ვარიანტს კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის. ნიმუშის განხილვამდე შევაჯამოთ მოსწავლისთვის განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.

როგორც ვხედავთ სამიზნე ცნება „სხეული და ნივთიერება“ უცვლელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და მისი თანატოლებისთვის, თუმცა რა უნდა გააცნობიეროს მოსწავლემ კიდევ უფრო დაკონკრეტებული, დაზუსტებული და მის შესაძლებლობებზე მორგებულია. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ფორმულირებული მკვიდრი წარმოდგენები თავისი ბუნებითა და დიზაინით იმგვარი მიზნობრივი ორიენტირებია, რომელზედაც მუშაობა საფეხურის ან რამდენიმე სასწავლო წლის განმავლობაში შეიძლება მიმდინარეობდეს. ხოლო უფრო სპეციფიკური, წლიური მიზნები მასწავლებელს ფორმულირებული აქვს სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარე და მოცემულია ქუდის ქვეშ: „მოსწავლემ უნდა შეძლოს“.

შესაბამისად, ცნებასთან „სხეული და ნივთიერება“ დაკავშირებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები შეჯამებულია ქვემოთ ცხრილის სახით.

გრძელვადიანი მიზნები	
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს	მოსწავლემ უნდა შეძლოს
1) ნივთიერებები გარემოში არსებობს. 2) ნივთიერებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან (ფორმით, სუნით, ფერით, ზომით, სიმყარით). 3) ყველა საგანი იქმნება შესაბამისი ნივთიერებით. 4) საგნებს სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები აქვთ, რომლებსაც თავისი ფუნქცია აქვთ.	1) გარემოში არსებული ნივთიერებების ჩამოთვლა. 2) ნაცნობი ნივთიერებების დახასიათება ფორმის, სუნის, ფერის, ზომის და სიმყარის მიხედვით. 3) საგნისა და ნივთიერების შესაბამება. 4) ნაცნობი საგნების შემადგენელი ნაწილების ფუნქციის დასახელება და გამოყენება

განვიხილოთ მოკლევადიანი მიზნები დასახული კომპლექსური დავალების კონტექსტის ფარგლებში. რა მიზნებზეა ორიენტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული დავალება? აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემით, შესაძლებელია, მკაფიოდ გამოვყოთ და განვსაზღვროთ მოკლევადიანი მიზნები. მაგალითად, მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების - ხე, აგური, თივა დასახელება, მათი აღწერა, შედარება სიმყარის მიხედვით. შევაჯამოთ მოკლევადიანი მიზნები ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით.

მოკლევადიანი მიზნები
1. მოსწავლეს შეუძლია ხის, თივის, აგურის ამოცნობა, დასახელება 2. მოსწავლეს შეუძლია ხის, თივის, აგურის დახასიათება და შედარება სიმყარის, სითბოს მიხედვით

3. მოსწავლეს შეუძლია ხის, თივისა და აგურის დაკავშირება შესაბამის გარემოსთან

ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუში ბუნებისმეტყველებაში[7]

საგანი: ბუნებისმეტყველება **კლასი:** I **მიმართულება:** სხეულები და მოვლენები	
კლასი	**სსსმ მოსწავლე**
ცნება: სხეული და ნივთიერება	**ცნება: სხეული და ნივთიერება**
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს 1) ყველა სხეული შედგება ერთი ან რამდენიმე ნივთიერებისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება თვისებებით: (სითბოს, სინათლის, დენის გატარების უნარით, აგრეგატული მგომარეობით, ფერით, სუნით, გემოთი, წყალში ხსნადობით და ა.შ.), 2) სხეულები ერთმანეთისგან სხვადასხვა ნიშან-თვისებებით განსხვავდება. ისინი ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა ნაწილებისაგან შედგება, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ფუნქცია აქვს; 3) ადამიანის მიერ შექმნილი სხეულის დანიშნულებას შეესაბამება მასში შემავალი ნივთიერება/ნივთირებების თვისებები;	**მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს** 1) ნივთიერებები გარემოში არსებობს. 2) ნივთიერებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან (ფორმით, სუნით, ფერით, ზომით, სიმყარით). 3) ყველა საგანი იქმნება შესაბამისი ნივთიერებით. 4) საგნებს სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები აქვთ, რომლებსაც თავისი ფუნქცია აქვთ.
მოსწავლემ უნდა შეძლოს: სხეულებისა და მათი შემადგენელი მასალების/ნივთიერებების თვისებების დახასიათება; ბგერის, სინათლისა და სითბოს წყაროებსა და გავრცელებაზე მსჯელობა; აგრეგატული მდგომარეობის ცვლილებაში სითბოს გადაცემის როლზე მსჯელობა; ადვილად დაკვირვებადი მოძრაობებისა და ძალების დახასიათება	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** გარემოში არსებული ნივთიერებების ჩამოთვლა. ნაცნობი ნივთიერებების დახასიათება ფორმის, სუნის, ფერის, ზომის და სიმყარის მიხედვით. საგნისა და ნივთიერების შესაბამება. ნაცნობი საგნების შემადგენელი ნაწილების ფუნქციის დასახელება და გამოყენება
საკითხი: ბუნებრივი და ხელოვნური სხეულები, ცოცხალი და არაცოცხალი სხეულები, უსაფრთხო სხეულები, საცხოვრებელი გარემო.	**საკითხი:** უსაფრთხო სხეულები, საცხოვრებელი გარემო.
ქვესაკითხები: სხეული, ნივთიერება, ბუნებრივი, დამზადებული;	**ქვესაკითხები:** სხეული, ნივთიერება.
საკვანძო შეკითხვა: როგორ ვაჩვენოთ ნახატზე თბილი, უსაფრთხო და გამძლე სახლი?	**საკვანძო შეკითხვა:** რით შეიძლება აშენდეს სახლი, რომელიც იქნება თბილი და არც მალე დაინგრევა?
კომპლექსური დავალების პირობა:	**კომპლექსური დავალების პირობა:**

[7] კომპლექსური დავალების ადაპტირება შეასრულა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა - ლელა ფალელიშვილმა

იყო და არა იყო რა, იყო სამი გოჭი, ნაფ-ნაფი, ნიფ-ნიფი და ნუფ- ნუფი. გოჭები მთელი ზაფხული ბალახში გორაობდნენ, მზეს ეფიცხებოდნენ. მინდორში დარბოდნენ.

დადგა შემოდგომა. გოჭებს შესცივდათ. ნაფ-ნაფმა ძმებს უთხრა, ავაშენოთ თბილი და მკვრივი სახლი, რომელიც მთელ ზამთარს თბილად ერთ ჭერქვეშ გაგვატარებინებს და დაგვიცავს მტრისგან.
ძმები ვერ შეთანხმდნენ ერთი სახლის აშენებაზე და ცალ- ცალკე აიშენეს სახლები.

თქვენ გევალებათ, უყუროთ ვიდეოს:
https://www.youtube.com/watch?v=KcNLaqqU06Q
https://www.youtube.com/watch?v=v47btkyaGlk
და შექმნათ ნახატი სადაც გვიჩვენებთ, როგორი სახლები ააშენეს ძმებმა. უპასუხეთ კითხვას: რომელი ძმის მიერ აშენებული სახლია უფრო გამძლე, თბილი და უსაფრთხო?

ნიფ-ნიფი და ნუფ- ნუფი.

გოჭები მთელი ზაფხული თამაშობდნენ. მინდორში დარბოდნენ.

დადგა შემოდგომა. გოჭებს შესცივდათ.

ნაფ-ნაფმა ძმებს უთხრა, რომ ავაშენოთ

თბილი და მაგარი სახლი, სადაც თბილად ვიქნებით და მგლისგან დაგვიცავს.



ძმებმა ერთი სახლი ვერ ააშენეს. ყველამ ცალ-ცალკე ააშენა. ახლა მათ სამი სახლი აქვთ.

	 ერთი ნაფნაფის, მეორე ნუფნუმის, მესამე ნიფნიფის. უყურე ვიდეოს სამი გოჭის შესახებ: https://www.youtube.com/watch?v=KcNLaqqU06Q https://www.youtube.com/watch?v=v47btkyaGlk შექმენი კოლაჟი სადაც გვიჩვენებ, როგორი სახლები ააშენეს ძმებმა. უპასუხე კითხვას: რომელი ძმის მიერ აშენებული სახლია უფრო მაგარი (გამძლე), თბილი და რომელ სახლს ვერ დაანგრევს მგელი?
ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩნე: • რა მასალა გამოიყენეს თითოეულმა ძმამ სახლის ასაშენებლად და რატომ; (1) • სად მოიპოვეს სახლის ასაშენებლად საჭირო მასალა; (2) • რომელი ძმის სახლი იყო უსაფრთხო და გამძლე და რატომ; (2,3) • რომელი ძმის სახლი იყო მარტივად ასაშენებელი და რატომ; (2,3) • შენ როგორი სახლი გინდა რომ გქონდეს და რა ნივთებს განალაგებდი შენს სახლში. (3)	**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:** • რით ააშენა ნაფნაფმა სახლი? ნუფნუფმა? ნიფნიფმა? (1) • საიდან მოიტანა ნუფნუფმა ჩალა? ნიფნიფმა ფიცრები? ნაფნაფმა აგურები? (1;2) • რომელი გოჭის სახლი იქნებოდა უფრო მაგარი? (2;3) • გენდომებოდა ჩალის სახლში ცხოვრება? რატომ? (2;4). • გენდომებოდა აგურის სახლში ცხოვრება? რატომ (2; 4). • რა ნივთები გექნებოდა სახლში, რომელშიც შენ იცხოვრებდი? (4)
კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები: **ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს კომპლექსური დავალების პირობას. **ეტაპი II – მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება** **ნაბიჯი 1**. როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები:** **ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა** მასწავლებელი მოსწავლეს აცნობს პირობას. პირობაში მოცემული ამბის უკეთ გასაგებად, მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს დავალებას ვიზუალურ საყრდენთან ერთად. რაც მოსწავლეს დაეხმარება მიღებული ინფორმაციის უკეთ გააზრებასა და ახსნაში. მასწავლებელი კიდევ ერთხელ ახსენებს მოსწავლეს, როგორ შეიძლება, მის ხელთ არსებული ილუსტრაციების გამოყენებით, ააწყოს, შექმნას პლაკატი.

რესურსი: სხვადასხვა ნახატები წიგნიდან, ინტერნეტრესურსებიდან და ა.შ.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები **ქვეცნება** -სხეული, ნივთიერება, ბუნებრივი, დამზადებული;	• გინახავთ თუ არა ნახატი? • დაგიხატავთ თუ არა რაიმე? • დაგიხატავთ თუ არა სახლი? • რაზე დახატავ შენს ნახატს? • რითი დახატავ ნახატს?

ეტაპი III – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ნაბიჯი 1

აქტივობა 1. მასწავლებელი აჩვენებს სამი გოჭის ზღაპრიდან კადრებს, სადაც ასახულია გოჭების მიერ აშენებული სახლები. მოსწავლეები ასახელებენ მასალებს, რომლისგანაც დამზადებულია თითოეული გოჭის მიერ აშენებული სახლი.
აქტივობა
2. მასწავლებელი აჩვენებს სურათებს სადაც ჩანს მდინარის პირას დაყრილი ქვები, ტყეს, თივის ზვინს და ა.შ. მოსწავლეები ასახელებენ, თუ სად მოიპოვება თითოეული მათგანი.
დავალების ტექსტში მოცემული ვიდეორგოლი; რესურსი №1- სამი გოჭის ზღაპარი

https://www.youtube.com/watch?v=KcNLaggU06Q
https://www.youtube.com/watch?v=v47btkyaGlk

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები **ქვეცნება** - სხეული, ნივთიერება, ბუნებრივი, დამზადებული;	• რა მასალები გამოიყენება სახლის აშენებისას? • სად მოიპოვებენ ხეს, მისგან სამშენებლო მასალის დასამზადებლად? • სად მოიპოვებენ ქვას, მისგან სამშენებლო მასალის დასამზადებლად? • რომელი ფერებით დავხატოთ თითოეული მასალისაგან აშენებული სახლი, რომ შევძლოთ გამოყენებული მასალების ამოცნობა?

ეტაპი II – მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება

მასწავლებელი კიდევ ერთხელ ახსენებს მოსწავლეს, როგორ შეიძლება, მის ხელთ არსებული ილუსტრაციების გამოყენებით, ააწყოს, შექმნას პლაკატი.

ეტაპი III – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს სხვადასხვა სახის სურათებს, ერთზე გამოსახულია ჩალა, მეორეზე ხე, მესამეზე აგური. მასწავლებელი მოსწავლეს უსახელებს თითოეულ მასალას და სთხოვს გაიმეოროს იგი.



აქტივობა 2. მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს სამი გოჭის ზღაპრიდან კადრებს, სადაც ასახულია გოჭების მიერ აშენებული სახლები. შემდეგ აძლევს მასალებს (ხე, ჩალა, აგური). მოსწავლემ უნდა დააწყვილოს სახლი და შესაბამისი მასალა ერთმანეთთან.



ნაბიჯი 2.

- რომელი ძმის სახლი იყო უსაფრთხო და გამძლე და რატომ?
- რომელი ძმის სახლი იყო მარტივად ასაშენებელი და რატომ?

რესურსი/აქტივობა:

აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ ნივთებს: მინის ჭიქას, ფაიფურის ჭიქას, ხის კოვზს, ლითონის კოვზს, ქვას, ქსოვილს, რეზინს, ცელოფანს, თივას და ა.შ.
მოსწავლეებს აძლევს წინასწარ გამზადებულ ცხრილს და ავალებს დააჯგუფონ ნივთები და მასალები შემდეგი თვისებების მიხედვით: წყალგამტარი, წყალგაუმტარი, გამჭვირვალე, ხელოვნური და ბუნებრივი.

აქტივობა 1. მასწავლებელმა მოსწავლეებს აჩვენოს ლითონის ღერო და იმავე ზომის ხის ღერო. მოსწავლეებმა გაარკვიონ, რომლის გადატეხვაა უფრო მარტივი.
აქტივობა 2. მასწავლებელმა აჩვენოს თივა (შესაძლებელია ფოთლებიც) და თუნუქის ნაჭერი. მათზე წყლის დასხმით მოსწავლეებმა გაარკვიონ რომელია წყალგაუმტარი და რომელი არა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები **ქვეცნება** -სხეული, ნივთიერება, ბუნებრივი, დამზადებული;	• რომელი მასალაა ხელოვნური? • რომელი მასალაა ბუნებრივი? • რომელი მასალაა გამჭვირვალე? • რომელი მასალაა წყალგაუმტარი? • რომელი ხელოვნური მასალები გამოიყენება სახლის ასაშენებლად? • რომელი ბუნებრივი მასალები გამოიყენება სახლის ასაშენებლად? • რომელი გამჭვირვალე მასალები გვადგება სახლის აშენებისას? • ზღაპარში, რომელი სახლის აშენებას დასჭირდებოდა მეტი დრო?

აქტივობა 3. მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს სურათებს, სადაც არსებული მასალები ბუნებრივ გარემოშია მოცემული. მოსწავლემ უნდა დააწყვილოს, რომელი მასალის, რომელ გარემოში მოპოვებაა შესაძლებელი.

ნაბიჯი 2.
აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის სამი მასალის სურათს (ხე, ჩალა, აგური). მოსწავლემ უნდა დააწყვილოს რომელი საგნები რითია დამზადებული.



აქტივობა 2. მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის ჩალას, ხის პატარა ტოტს და ქვას/აგურს. სთხოვს მოსწავლეს სათითაოდ მოსინჯოს ისინი ხელით, შემდეგ კი ეცადოს მის გატეხვას. შემდეგ აძლევს ცხრილს და სიმბოლოებს. იმ მასალას, რისი გატეხვაც გამოუვიდა, მოსწავლემ უნდა დაუსვას წითელი „იქსი“, ხოლო მწვანედ აღნიშნოს ის, რაც არ ტყდება და მაგარია/მყარია.



აქტივობა 3. მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის ჩალას, თივას და გამხმარ ფოთლებს, თუნუქის

	• როგორ გავარკვიოთ, ჩამოთვლილი მასალებიდან რომელი იყო წყალგამტარი? • როგორ გავარკვიოთ, ჩამოთვლილი მასალებიდან რომელი იყო გამჭვირვალე? • როგორ გავარკვიოთ, ჩამოთვლილი მასალებიდან რომელი იყო ხელოვნური? • როგორ გავარკვიოთ, ჩამოთვლილი მასალებიდან რომელი იყო ბუნებრივი? • რამ განაპირობა რომ სამივე ძმას სახლის აშენების დროს დაჭირდათ სხვადასხვა დრო?

- **ნაბიჯი 3.**
- შენ როგორი სახლი გინდა რომ გქონდეს და რა ნივთებს განალაგებდი შენს სახლში?

რესურსი/აქტივობა:
აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს სხვადასხვა სახლის სურათებს, და მათ ინტერიერს. მოსწავლეები ასახელებენ სახლებს შორის განსხვავებას, და ოთახებში არსებულ ნივთებს.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები **ქვეცნება -** სხეული, ნივთიერება, ბუნებრივი, დამზადებული;	• რა დანიშნულება აქვს სახლს ადამიანისთვის? • რა ნაწილებისგან შედგება სახლი? • რომელი სახლი მოგეწონათ სურათებიდან და რატომ? • რომელ სახლში განლაგებულ ნივთებს ამოირჩევდით თქვენი სახლისათვის და რატომ? • სურათებზე წარმოდგენილ რომელ ნივთს რა დანიშნულება აქვს?

ნაჭერს. სამ თეფშზე დებს ბამბის პატარა ნაგლეჯს პირველ თეფშზე გამხმარ ფოთლებს აყრის ზემოდან, მეორე თეფშზე - აყრის ჩალას, მესამეზე ბამბის ნაგლეჯს ფარავს თუნუქის ქილით. მოსწავლეს სთხოვს, სამივე თეფშზე მორიგეობით დაასხას წყალი და დაელოდოს. შემდეგ სთხოვს მოძებნოს ბამბის ნაგლეჯები თითოეუყლ თეფშზე, მოსინჯოს ხელით და თქვას რომელი დასველდა და რომელი არა, ბოლოს კი მონაცემები შეიტანოს ცხრილში. ჩასვას ღრუბელი იმ ობიექტის ქვემოთ, რომელიც დასველდა.



ნაბიჯი 3.
აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს ასანთის ღერებს (როგორც ხე), თივას და თიხისგან გაკეთებულ მომცრო ზომის აგურებს. მოსწავლესთან ერთად, მათგან აშენებს „სახლებს“. შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეს სული შეუბეროს ყველა „სახლს“. ამის მერე, მსჯელობენ რა მოხდა, თავად, მის მიერ აშენებულ, რომელ სახლში ისურვებდა ცხოვრებას.

აქტივობა 2. მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს სახლისა და მასში არსებული ოთახების სურათებს. მოსწავლემ სახლის სურათზე უნდა ჩააკრას ოთახის სურათები შესაბამის ადგილას და დაასახელოს თითოეული ოთახი.

	• როგორი ფერებით დახატავთ სხვადასხვა საოჯახო ნივთებს? • როგორი ფერებით დახატავთ სხვადასხვა სახლებს?	**აქტივობა 3.** მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის დავალებას, სადაც მან საგნები უნდა გადაანაწილოს სხვადასხვა ოთახებში, დანიშნულების/ფუნქციის შესაბამისად.

კომპლექსური დავალების ნიმუში თემატური მატრიცის სახით

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული მიზნები, ადაპტირებული კომპლექსური დავალება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში აისახება. (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაქმნელად შესაძლებელია დანართში მოცემული ფორმის გამოყენება. იხ. დანართი N 1) .

ადაპტირებული კომპლექსური დავალება თემატური მატრიცის სახითაა წარმოდგენილი. განვიხილოთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ასახვის ნიმუში ბიოლოგიის ნიმუშის საფუძველზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებაა. მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული მიზნების დოკუმენტირებისთვის შესაძლებელია შემდეგი სახის ფორმის გამოყენება. როგორც ვხედავთ, ცხრილში მოცემულია საგნის თითოეული სამიზნე ცნება, ცნებებთან მიმართებით კი დაზუსტებულია რა უნდა გააცნობიეროს მოსწავლემ და რა უნდა შეძლოს. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ მასწავლებელს შეუძლია დასახოს ყველა ცნებასთან მიმართებით გრძელვადიანი მიზანი ან მხოლოდ იმ ცნებებთან მიმართებით, რომელზე ორიენტირებითაც იწყებს მოსწავლეებთან სასწავლო პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ პირველი კომპლექსური დავალება დაკავშირებულია ცნებებთან „კვლევა“ და „სასიცოცხლო თვისებები“, პედაგოგს შეუძლია მოსწავლისთვის აღნიშნულ ორ ცნებაზე შექმნას კონკრეტული გრძელვადიანი მიზანი.

გრძელვადიანი მიზნები	
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს	მოსწავლემ უნდა შეძლოს
ცნება: კვლევა	
კვლევა შეიძლება განხორციელდეს: ექსპერიმენტის, ცდის, საველე პრაქტიკის, დაკვირვებისა და მოდელირების გზით კვლევის დროს მნიშვნელოვანია უსაფრთხოების წესების დაცვა	1. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების მარტივი სახით (ცხრილი, დიაგრამა) წარმოდგენა და აღწერა 2. კვლევის პროცესში მონაწილეობა და უსაფრთხოების წესების დაცვა
ცნება: სასიცოცხლო თვისებები	
ყველა ორგანიზმისთვის დამახასიათებელია სასიცოცხლო თვისებები: ზრდა-	3. ორგანიზმების ფუნქციის მიხედვით დახასიათება და მათი აღწერა სასიცოცხლო

განვითარება, გამრავლება, კვება, სუნთქვა, გამოყოფა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა, ადაპტაცია;	თვისებების (ზრდა-განვითარება, გამრავლება, კვება, სუნთქვა, გამოყოფა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა, ადაპტაცია;) მიხედვით
ცნება: ბიომრავალფეროვნება	
ორგანიზმები დაჯგუფებულია მსგავსი ნიშან-თვისებებით; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის საჭიროა გარემოს დაცვითი ღონისძიებები	4. ორგანიზმების დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნით, ფუნქცია, თვისება, სარგებლიანობა 5. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის საჭირო პრაქტიკული და ცხოვრებისეული ღონისძიებების დასახელება
ცნება: სტრუქტურა და ფუნქცია	
გარემო პირობები გავლენას ახდენს ორგანიზმების აგებულებასა და ფუნქციაზე	6. ორგანიზმების ფუნქციის, სტრუქტურის აღწერა და მათზე გარემოს ზეგავლენაზე მარტივი სიტყვებით საუბარი
ცნება: ჯანმრთელობა და დაავადება	
სხვადასხვა დაავადებას სხვადასხვა მიზეზი, სიმპტომები და პრევენციის გზები აქვს ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაა საჭირო	7. სხვადასხვა დაავადებების სიმპტომებისა და პრევენციის გზების დასახელება 8. ჯანმრთელობაზე მოქმედი პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორების დასახელება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების ცხრილის შემდგომ, განვიხილოთ როგორია მატრიცის შევსებისპრინციპები, კერძოდ, მატრიცაში მიზნებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალების წარმოჩენა.

როგორც ვხედავთ მატრიცის ჰორიზონტალური საწყისი ველი მოიცავს ინფორმაციას საგნის, კლასის, თემისა და განხორციელების ვადის შესახებ.

პირველ ვერტიკალურ სვეტში გადმოტანილია ის გრძელვადიანი მიზნები, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვისაა განსაზღვრული და რომელებსაც მიემართება მოცემული კომპლექსური დავალება. მარცხენა ვერტიკალური სვეტი კი ადაპტირებული კომპლექსური დავალებისთვისაა განკუთვნილი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ მატრიცაში მოცემულია კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და ხაზგასმულია რა მოკლევადიანი მიზნების მიღწევაზეა ის ორიენტირებული.

რაც შეეხება შუა სვეტს, გამოყოფილია ქვეცნება და საკითხი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის, ასევე საკვანძო შეკითხვა. შესაძლებელია, მასწავლებელმა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მატრიცა საკვანძო შეკითხვის ველის გარეშე წარმოადგინოს.

მატრიცის ყველაზე მოცულობითი სივრცე კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპებზე განსახორციელებელ აქტივობებს ეთმობა. ქვემოთ განხილულ ნიმუშში მოყვანილია მრავალფეროვანი დავალებები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შერჩეული ეფექტიანი გზები, როგორიცაა ინფორმაციის ვიზუალიზაცია, ტექსტის გამარტივება, ვიდეორგოლების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესში აქტივობების, დავალებების, რესურსების წინასწარ მომზადება ხშირად გარდაუვალია.

<table>
<tr><td colspan="4">საგანი: ბიოლოგია
კლასი: 9
თემა (ან მიმართულება): სახეობა, პოპულაცია
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პერიოდი: 12 -13 საათი</td></tr>
<tr><td>გრძელვადიანი მიზანი

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td><td>ქვეცნებები:
მემკვიდრეობითობა
საკითხი:
ნიშან-თვისების გადაცემა ჩემს ოჯახში</td><td>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები

როგორ ხდება ნიშან-თვისებების გადაცემა.</td><td>შუალედური სასწავლო მიზანი

კომპლექსური დავალების პირობა</td></tr>
<tr><td>სასიცოცხლო თვისებები

ყველა ორგანიზმისთვის დამახასიათებელია სასიცოცხლო თვისებები: ზრდა-განვითარება, გამრავლება, კვება, სუნთქვა, გამოყოფა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა, ადაპტაცია;

მიზანი 3. ორგანიზმების ფუნქციის მიხედვით დახასიათება და მათი აღწერა სასიცოცხლო თვისებების (ზრდა-განვითარება,</td><td colspan="2">ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეს აცნობს კომპლექსური დავალების პირობას.

ეტაპი II – მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება

მასწავლებელი მოსწავლესთან ააქტიურებს წინარე ცოდნას. ახსენებს ნათესაური კავშირების, ფიზიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას.

ეტაპი III – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

აქტივობა 1. ადაპტირებული ტექსტის გაცნობა.
(მოკლევადიანი მიზანი 1, 2)
რატომ ვემსგავსებით მშობლებს? ცხოველები, მცენარეები, ფრინველები და ადამიანები მრავლდებიან.

შვილი რაღაცით თავის მშობლებს ჰგავს. მაგალითად, თმის ფერით, თვალებით, კანის ფერით.
ამ სურათზე ერთი ოჯახია მოცემული. მშობლები და შვილები. რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს? ყველას მუქი ფერის თმა და კანი აქვს.</td><td>შენი აზრით დედას უფრო ჰგავხარ თუ მამას? შენი ძმა ვის ჰგავს? შენი აზრით, რატომ ჰგავხართ შენ და შენი ძმა დედას და მამას? შენი დედიკო ვის ჰგავს? შენი მამა? შვილები იმიტომ ჰგვანან მშობლებს, რომ მათ მშობლებისგან გენები გადაეცემათ. გენები იწვევს ნიშნა-თვისებების (თმის ფერი, კანის ფერი, თვალის ფერი, სიმაღლე) ჩამოყალიბებას.

ჩაატარე გამოკითხვა შენი ოჯახის წევრებთან და დაწერე ვის როგორი თვალის, კანის, თმის ფერი და ფორმა აქვთ. გადაიღე ვიდეო რგოლი, სადაც აჩვენებ შენი ოჯახის წევრების</td></tr>
</table>

გამრავლება, კვება, სუნთქვა, გამოყოფა, მოძრაობა, მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა, ადაპტაცია;) მიხედვით **კვლევა** კვლევა შეიძლება განხორციელდეს: ექსპერიმენტის, ცდის, საველე პრაქტიკის, დაკვირვებისა და მოდელირების გზით კვლევის დროს მნიშვნელოვანია უსაფრთხოების წესების დაცვა. **მიზანი 1, 2** 1. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების მარტივი სახით (ცხრილი, დიაგრამა) წარმოდგენა და აღწერა 2. კვლევის პროცესში მონაწილეობა და უსაფრთხოების წესების დაცვა	იცი ეს როგორ ხდება? ჩვენ გვაქვს ქრომოსომები, ქრომოსომებში კი არის ჩვენი მშობლების გენები. გენები იწვევენ ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებას.  **აქტივობა 2.** როგორ ხდება ნიშან-თვისებების გადაცემა (მოკლევადიანი მიზანი 2) მოსწავლეს ვთავაზობ შემდეგ აქტივობას. ვიღებთ პლასტმასის 2 ჭიქას და გარედან ვახატავთ ბებიას და ბაბუას. ფერადი ფურცლებისგან გამოვჭრით პატარა კვადრატებს, პირობითად ეს არის მათი გენები. ფურცლებზე შეგვიძლია დავახატოთ ფიზიკური ნიშნები, მაგ: ცისფერი ფურცელი - თვალი. ჩავყრით ფურცლებს ბებოას და ბაბუას ჭიქებში. შემდეგ ვიღებთ მესამე ჭიქას, რომელიც იქნება მათი შვილი. რამდენიმე ფურცელს/გენს გადმოვიტანთ ბებიას ჭიქიდან, რამდენიმეს - ბაბუას ჭიქიდან. იმავე პრინციპით ვაკეთებთ მეორე ბებიას და ბაბუას და მათ შვილს. საბოლოოდ მოსწავლე დაინახავს, რომ იმ ჭიქაში, რომელსაც საკუთარ თავს დაახატავს, არის ბებიების და ბაბუების გენები.   	მახასიათებლებს, ისაუბრებ მათზე და იტყვი, რომელი ნიშანია გაბატონებული. **ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:** • როგორია შენი ბებიისს და ბაბუის ნიშან-თვისებები? მკ.წ. 1 • რით ჰგავს შენი მამა მის მშობლებს? მკ.წ. 1 • როგორია შენი დედის და მამის თვალის კანის, თმის ფერი? მკ.წ. 1 • შენ და შენს ძმას როგორი თვალის, კანის, თმის ფერი გაქვთ? მკ.წ. 1 • რით ჰგავხარ დედას და მამას? მკ.წ. 1 • შენი აზრით, რომელია გაბატონებული ნიშნები თვალის, კანისა და თმის ფერის მიხედვით? მკ.წ. 1 • როგორ შეაგროვე ინფორმაცია? მკ.წ. 2 (მოკლევადიანი მიზნები) მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1. ფიზიკური ნიშან-თვისებებისდასახელება (კანის, თვალის, თმის ფერი და სტრუქტურა) და მემკვიდრეობითობასთან დაკავშირება. 2. გენების როლზე საუბარი ნიშან-





აქტივობის ბმული https://youtu.be/PnZsQzRR7L0?t=74

აქტივობა 3. გენი ატარებს ინფორმაციას ნიშან-თვისებების შესახებ (მოკლევადიანი მიზანი 2)

აქ ერთი ადამიანის გენი ხატია. გენში შემდეგი ინფორმაციაა. დახატე ეს გოგონა. როგორი თვალი, კანი და თმა ექნება?



აქტივობა4. ჩემი ოჯახი (მოკლევადიანი მიზანი 3)

თვისებების გადაცემისას

3. რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება, ცხრილის სახით წარმოდგენა და ინტერპრეტირება/ აღწერა.

დააკვიდი დედას, მამას და შენს თავს. ჩააკარი სურათები ან ჩახატე ცხრილში. თუ დედას ჰგავხარ გააფერადე ყავისფრად, თუ მამას - ცისფრად. რამდენი მახასიათებლით ჰგავხარ დედას? მამას?

	დედა	**მამა**	**მე**
თვალის ფერი			
კანის ფერი			
თმის ფერი			
თმა: 1.სწორი 2. ტალღოვანი 3. ხვეული			
ცხვირი: 1.სწორი 2. კეხიანი 3. აპრეხილი			
სიმაღლე : 1.დაბალი 2. საშუალო 3. მაღალი			

შეგიძლია გამოიყენო ეს სურათები

თვალის ფერი

კანის ფერი



თმის ფერი

აქტივობა 5. ოჯახის ხე (მოკლევადიანი მიზანი 1, 2)
მოსწავლეს ვაჩვენებ სურათს, ვასახელებთ ოჯახის წევრებს და ვპოულობთ რით ჰგვანან ერთმანეთს. მეორე მხარეს კი ვთხოვ, თავად ჩახატოს თავისი ოჯახის ხე სქემის მიხედვით.





აქტივობა 6. ოჯახის ხე (მოკლევადიანი მიზანი 3)
ქვემოთ მოცემულ ხეზე ჩააკარი შენი და შენი ოჯახის წევრების ფოტოები.



ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა და ინსტრუქციები

სარჩევი

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მოცულობითი ზომის დოკუმენტს წარმოადგენს, რადგან მასში თავმოყრილია ზოგადი ინფორმაცია მოსწავლის შესახებ, ისგ ჯგუფის შეხვედრების კალენდარი, მონაცემები სასწავლო პროცესის შესახებ, მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერა, გეგმით დასახული მიზნები, აქტივობები და შეფასების შედეგები რამდენიმე საგანში. ინფორმაციის სტრუქტურირებულად ასახვის მიზნით, რეკომენდებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სარჩევის შექმნა.

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია 2

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრების კალენდარი 5

მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე 9

მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერა 17

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საგანი 1) 22

- მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა 22
- გრძელვადიანი მიზნები 24
- კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები 27
- მოსწავლის პროგრესის შეფასება 31

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საგანი 2) 33

- მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა 33
- გრძელვადიანი მიზნები 36
- კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები 38
- მოსწავლის პროგრესის შეფასება 40

ზოგადი ინფორმაცია

ქვემოთ მოცემულ ცხრილში უნდა აისახოს ინფორმაცია მოსწავლის, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის შესახებ. თუ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გრაფაში ივსება მხოლოდ დედა, მამა და არა მეურვე, შესაძლებელია ცარიელი/ არასაჭირო უჯრების წაშლა.

ზოგადი ინფორმაცია

მოსწავლის სახელი, გვარი		**პირადი ნომერი**	
დაბადების თარიღი		**ასაკი**	
სკოლა		**კლასი**	
მშობლის/კანონიერი	დედა -	☎	✉
წარმომადგენლის სახელი,	მამა -	☎	✉
გვარი, ტელეფონი, ელ ფოსტა	მეურვე/მზრუნველი-	☎	✉
იურიდიული მისამართი		**ფაქტობრივი მისამართი**	

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრების კალენდარი

ცხრილის მიზანია ასახოს ერთი მხრივ ისგ ჯგუფის წევრთა ვინაობა და პოზიცია, ხოლო მეორე მხრივ წლის განმავლობაში ჩატარებული ისგ ჯგუფის შეხვედრების თარიღები და დამსწრე წევრები. პირველ სვეტში ჩაიწერება ისგ ჯგუფის წევრთა პოზიციები, მეორეში - მათი სახელი და გვარი. ბოლო სვეტში შესაძლებელია ისგ ჯგუფის შეხვედრების თარიღებისა და დამსწრე პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება მინიმუმ 4 ჯერ, თუმცა საჭიროების მიხედვით, ცხრილს დაემატება სივრცე ყოველი დამატებითი შეხვედრისთვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრების კალენდარი

ისგ ჯგუფის წევრები	სახელი და გვარი	ისგ ჯგუფის შეხვედრების თარიღები და მონაწილეები				
მშობელი/კანონიერი. წარმ		☐	☐	☐	☐	☐
სპეციალური მასწავლებელი		☐	☐	☐	☐	☐
დამრიგებელი		☐	☐	☐	☐	☐
ქართულის მასწავლებელი		☐	☐	☐	☐	☐
მათემატიკის მასწავლებელი		☐	☐	☐	☐	☐
ინგლისურის მასწავლებელი		☐	☐	☐	☐	☐
ხელოვნების მასწავლებელი		☐	☐	☐	☐	☐
ბუნებისმეტყველების მასწავლებელი		☐	☐	☐	☐	☐
ფსიქოლოგი		☐	☐	☐	☐	☐
სხვა სპეციალისტი		☐	☐	☐	☐	☐

შენიშვნა: *ჯგუფს დაემატება იმ მასწავლებელთა მონაცემები, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეს და მათ საგანში იქმნება ისგ.*

✍ სასწავლო პროცესის თაობაზე არსებული ინფორმაცია

ქვემოთ მოცემული ცხრილის მიზანია ასახოს ინფორმაცია მოსწავლის სწავლა - სწავლების პროცესში ინდივიდუალური გეგმისა და დამატებითი მომსახურებების საჭიროების შესახებ. სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შესაძლებელია

ა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება ჰქონდეს ყველა საგანში;

ბ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის საჭიროება ჰქონდეს ზოგიერთ საგანში, ზოგიერთში კი მასწავლებელი ხელძღვანელობდეს ეროვნული სასწავლო გეგმით;

გ. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე არ დაესწროს ერთ ან რამდენიმე საგანს და არ ჰქონდეს შეფასება აღნიშნულ საგნებში[8]

გარდა ინდივიდუალური გეგმის საჭიროებისა, ცხრილში შესაძლებელია მოინიშნოს დამატებითი სპეციალისტები და სერვისები, რომლითაც უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება	ისგ	ესგ	არ ესწრება	დამატებითი სერვისის საჭიროება
ქართული ენა და ლიტერატურა	☐	☐	☐	☐ ინდივიდუალური გაკვეთილები რესურს ოთახში
მათემატიკა	☐	☐	☐	☐ სსსმ პირის ასისტენტი
გამოყენებითი და სახვითი ხელოვნება	☐	☐	☐	☐ მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი
მუსიკა	☐	☐	☐	☐ ჟესტური ენის თარჯიმანი
ინგლისური	☐	☐	☐	☐ ჟესტური ენის სპეციალისტი
ბუნებისმეტყველება	☐	☐	☐	☐ ოკუპაციური თერაპევტი
ჩვენი საქართველო	☐	☐	☐	☐ ენისა და მეტყველების სპეციალისტი
მე და საზოგადოება	☐	☐	☐	☐ ფსიქოლოგი
სპორტი	☐	☐	☐	☐ ტრანსპორტით მომსახურება
მოქალაქეობა	☐	☐	☐	☐ ადაპტირებული ავეჯით სარგებლობა
ისტ-ი	☐	☐	☐	☐ შინ სწავლება
				☐ ინდივიდუალური განრიგით სარგებლობა
				☐ სხვა ----------

შენიშვნა: *თუ მოსწავლე არ ესწრება რომელიმე საგანს და არ აქვს შეფასება აღნიშნულ საგანში დადასტურებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით*

[8] ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი 8, მუხლი 43

✍ ინდივიდუალური განრიგი

ქვემოთ მოცემულ ცხრილის მიზანია ასახოს მოსწავლის ინდივიდუალური განრიგი. ისრები მიგვანიშნებს, რომ ვერტიკალურ ზოლში მოცემულია საგანთა ჩამონათვალი, ყოველი დღის ქვემოთ - ასაკობრივი კლასის საგაკვეთილო ცხრილი. ჰორიზონტალურად განლაგებულია კვირის დღეები.

ცხრილის შევსებისას შესაძლებელია მოინიშნოს და ვიზუალურად აისახოს მოსწავლის დასწრების ინდივიდუალური განრიგი. მაგალითად: ის უჯრები, სადაც მოსწავლე გაკვეთილს დაესწრება ასაკობრივ კლასში გაფერადდება მწვანე ფერით. თუ ასაკობრივი კლასის ნაცვლად გაკვეთილის დროს იმყოფება რესურს ოთახში - ყვითლად, ხოლო თუ მოსწავლის ინდივიდუალური გრაფიკით გათვალისწინებულია, რომ ის საერთოდ არ იმყოფება სკოლაში რომელიმე გაკვეთილის მიმდინარეობისას (მაგ: ასაკობრივი კლასის ცხრილით გათვალისწინებულია 6 გაკვეთილი, მაგრამ მოსწავლე მხოლოდ 5 გაკვეთილს ატარებს სკოლაში) მოინიშნება წითლად.

მოსწავლის ინდივიდუალური განრიგი					
საგნები ↔ დღეები ↕	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

შენიშვნა: *ცხრილი ივსება მოსწავლის საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად, შემდეგი აღნიშვნებით: მწვანე - ესწრება კლასის გაკვეთილს, ყვითელი - რესურს ოთახში მუშაობა, წითელი - გაკვეთილის დროს არ არის სკოლაში*

✍ შინ სწავლება

შინ სწავლების საჭიროება დადასტურებული უნდა იყოს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით. თუ სასწავლო წლის განმავლობაში არ გამოიკვეთება შინ სწავლების საჭიროება, შესაძლებელია აღნიშნული ცხრილი არ იყოს წარმოდგენილი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. მისი შევსების საჭიროება დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე სარგებლობს შინ სწავლების მომსახურებით. ცხრილში მოცემულია ინფორმაცია თითოეული საგნის საგნობრივი დატვირთვისა და პასუხისმგებელი მასწავლებლის შესახებ. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას. [9]

ინფორმაცია მოსწავლის შინ სწავლასთან დაკავშირებულ დეტალებზე		
შინ სწავლების ხარგრძლივობა -		დატვირთვა კვირის განმავლობაში -
საგანი	დატვირთვა კვირაში	პასუხისმგებელი მასწავლებელი

შენიშვნა: *შინ სწავლების საჭიროება დადასტურებულია/უნდა იყოს დადასტურებული მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით.*

[9] ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი 8, მუხლი 44

✍ სწავლა - სწავლების ხელშემწყობი აკომოდაციები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მნიშვნელოვანია მოინიშნოს ის აკომოდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს და დაეხმარება მოსწავლეს სწავლა-სწავლების პროცესში. ცხრილში შესაძლებელია როგორც აკომოდაციების მონიშვნა, ასევე კონკრეტული, მოსწავლეზე მორგებული სპეფიციკური აკომოდაციის დამატება.

მოსწავლის სწავლა-სწავლების ხელშემწყობი აკომოდაციები			
სასწავლო პროცესი	გარემო პირობები	დამხმარე საშუალებები	დრო, განრიგი
☐ ბრაილის ანბანი; ☐ შრიფტის გაზრდა; ☐ კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (ბარათებით კომუნიკაცია); ☐ ტექსტის ლექსიკის გამარტივება; ☐ ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა; ☐ ინსტრუქციის/მასალის მიწოდება სხვადასხვა გზებით; ☐ აუდიო მასალის გამოყენება; ☐ წერითი აქტივობის ზეპირით ჩანაცვლება ☐ ზეპირი აქტივობის წერით (სხვა ფორმით) ჩანაცვლება ☐ სხვა ----------	☐ საკლასო ოთახის მდებარეობა; ☐ მერხების განლაგება; ☐ მოსწავლეთა განთავსება; ☐ განათების მორგება; ☐ აკუსტიკური პირობების შექმნა; ☐ სივრცე შესვენებისთვის; ☐ ადაპტირებული ავეჯი; ☐ სხვა ----------	☐ ასისტენტი, რომელიც მონიშნავს პასუხებს; ☐ გამადიდებელი, ლუპა; ☐ ხმის გამაძლიერებელი; ☐ კალკულატორი; ☐ კომპიუტერის ან დამხმარე მოწყობილობის გამოყენება; ☐ სხვა----------	☐ დროის გაზრდა; ☐ დროის შემცირება; ☐ შეფასების, გამოცდის ეტაპობრივი ჩატარება; ☐ დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი; ☐ შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი; ☐ დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა; ☐ აქტივობების ნაწილებად დაყოფა; ☐ სხვა ----------

✍ ხელმოწერები

აღნიშნულ ცხრილში ხელს აწერს დამრიგებელი, დირექტორი, მშობელი და სპეციალური მასწავლებელი. ხელმოწერები შესაძლებელია გაკეთდეს ისგ ჯგუფის პირველი შეხვედრის შემდეგ. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ ისგ პროცესზე ორიენტირებული დოკუმენტია, შესაბამისად სწავლა- სწავლების პროცესში, მოსწავლის დინამიკის და პროგრესის გათვალისწინებით ის საჭიროებს განახლებასა და გავრცობას.

კლასის დამრიგებლის/ისგ ჯგუფის კოორდინატორის ხელმოწერა
დირექტორის ხელმოწერა
მშობლის ხელმოწერა
სპეციალური მასწავლებლის ხელმოწერა

✍ მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებული სახით უნდა აღიწეროს მოსწავლის აკადემიური უნარები, მისი ძლიერი მხარეები და საჭიროებები განვითარების ძირითადი სფეროების მიხედვით.

რატომ „საჭიროებები“ და არა „სუსტი მხარეები“? ცხადია, მოსწავლის ყოველმხრივი/ჰოლისტური შეფასება მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის თუ სკოლაში მომუშავე სხვა დამხმარე სპეციალისტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ზედმიწევნით დეტალურად აღიწეროს თუ რა შეუძლია მოსწავლეს და ჯერ რა უნარი ანდა კომპეტენცია არ აქვს განვითარებული. პრაქტიკაში ხშირად ვხდებით შემდეგნაირ ჩანაწერებს: მოსწავლეს არ შეუძლია რიცხვების ცნობა, არ იცის მათემატიკური ოპერაციების განხორციელება, ვერ მეტყველებს და ა.შ. დიდია რისკი, რომ „სუსტი

მხარე“ შეფასდეს როგორც მოსწავლის მახასიათებელი და უფრო მეტიც, სამომავლოდ დაბალი მოლოდინები გააჩინოს მის მიმართ.

მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერა

აკადემიური უნარები	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
წერა		
კითხვა		
თხრობა		
ანგარიში		
შემეცნების სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
აღქმა		
ყურადღება		
მეხსიერება		
აზროვნება		
კომუნიკაცია, ენა - მეტყველება	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
რეცეპტული ენა		
ექსპრესიული ენა		
სოციალურ-ემოციური სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
თვითცნობიერება		
თვითრეგულაცია		
ურთიერთობები		
ადაპტური სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
თვითმოვლის უნარები		
დამოუკიდებლობა		
ფიზიკური სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
მსხვილი მოტორიკა		
ნატიფი მოტორიკა		
მოსწავლის ინტერესები		

მოსწავლის საგნობრივი ცოდნის აქტუალური დონის აღწერა

ცხრილი ორ მნიშვნელოვან სვეტადაა დაყოფილი. პირველ სვეტში წარმოდგენილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული საფეხურეობრივი მოთხოვნები. ცნება, ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და სწავლის შედეგები. მეორე სვეტში კი მასწავლებელი აღწერს მოსწავლის ცოდნის აქტუალურ დონეს. საგნის სპეციფიკის ცოდნისა და კომპეტენციის გათვალისწინებით, თითოეულ საგანში მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერაზე პასუხისმგებელი საგნის მასწავლებელია.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საგანი 1)

მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა

ცნება:		**მოსწავლის მიღწევა**
მკვიდრი წარმოდგენები	**სწავლის შედეგები**	
ცნება:		
ცნება:		
ცნება:		
ცნება:		
ცნება:		

გრძელვადიანი მიზნები

როგორც ვხედავთ, საგანში დასახული გრძელვადიანი მიზნებისთვის ცალკე ცხრილია შემოთავაზებული. ცხრილის მიზანია, მკაფიოდ წარმოჩინდეს, თუ რას ისახავს მასწავლებელი მოსწავლესთან სამუშაოდ. გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო წლის დასაწყისში

მასწავლებელს შეუძლია ყველა ცნებასთან მიმართებით დასახოს მიზანი ან ეტაპობრივად, ყოველი ახალი კომპლექსური დავალების განხორციელებამდე. მიზნების დასახვისას მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ, დავაკონკრეტოთ თუ რა უნდა გააცნობიეროს მოსწავლემ და რა უნდა შეძლოს ცნებასთან მიმართებით.

გრძელვადიანი მიზნები

გრძელვადიანი მიზნები	
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს	მოსწავლემ უნდა შეძლოს
ცნება:	
ცნება:	
ცნება:	
ცნება:	

✍ კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები და აქტივობები

მოკლევადიანი მიზნებისა და აქტივობების წარმოსადგენად ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შემოთავაზებულია თემატური მატრიცის დიზაინი. აღნიშნულ ფორმატში შესაძლებელია წარმოვაჩინოთ მოსწავლისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, შესაბამისი მოკლევადიანი მიზნები და საჭირო აქტივობები. განვიხილოთ შევსების პრინციპები. საწყის ველში იწერება თემა (იმ საგნებში სადაც თემებით მიმდინარეობს სწავლა-სწავლება) ან მიმართულება. ასევე საორიენტაციო დრო. შუა ნაცრისფერ ველში საკითხი (თუ ქვეცნებისა და ქვეცნებების განსაზღვრა არ ხდება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან, შესაძლებელია მისი წაშლა).

პირველი ვერტიკალური სვეტი იმ გრძელვადიან მიზნებს ეთმობა, რომელზეც არის ორიენტირებული მასწავლებელი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. შესაბამისად, მოსწავლისთვის ფორმულირებული გრძელვადიანი მიზნები (რა უნდა გააცნობიეროს და რა უნდა შეძლოს) მასწავლებელს გადმოაქვს პირველ სვეტში. შემდეგ კი ავსებს მესამე ნაცრისფერ სვეტს, სადაც უნდა წარმოადგინოს ადაპტირებული კომპლექსური დავალება.

გრძელვადიანი მიზნისა და კომპლექსური დავალების გათვალისწინებით შესაძლებელია მოსწავლის მოკლევადიანი მიზნების ფორმულირებაც ამავე სივრცეში.

შუა სვეტში კი მასწავლებელი წარმოადგენს იმ რესურსებსა და აქტივობებს, რომელის გამოყენებითაც დაეხმარება მოსწავლეს დასახული მიზნების მიღწევაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა პროცესზე ორიენტირებული დოკუმენტია, ბუნებრივია ყველა აქტივობა თუ რესურსი დეტალურად, სცენარის სახით ერთიანად ვერ აღიწერება. შესაბამისად, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული აქტივობები, რესურსები, იქნება ეს ადაპტირებული ტექსტი თუ ილიუსტრაციები სწავლა-სწავლების პროცესში ემატება საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში 2021-2022 წელი ერთგვარი გარდამავალი პერიოდია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად ეყრდნობიან კომპლექსურ დავალებებს, თუმცა შესაძლებელია მთლიანი სასწავლო

წელი არ იყოს სვლა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ნარჩუნდება იგივე ფორმატი, პირველი სვეტი ეთმობა გრძელვადიან მიზნებს, მესამე - მოკლევადიანებს, თუმცა არ არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალება. მასწავლებელი თემის და საკითხის გათვალისწინებით განსაზღვრავს რა მოკლევადიანი მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული დროის გარკვეულ პერიოდში.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში, მოკლევადიანი მიზნებისა და აქტივობების წარმოსაჩენად წარმოდგენილი იქნება იმდენი თემატური მატრიცა რამდენ თემასაც გაივლის მასწავლებელი.

კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები

თემა/მიმართულება: **კომპლექსური დავალების განხორციელების პერიოდი:**		
გრძელვადიანი მიზნები	**საკითხი/საკითხები:**	**კომპლექსური დავალება მოკლევადიანი მიზნები**
	ეტაპები, აქტივობები, რესურსები	

✍ მოსწავლის პროგრესის შეფასება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი სწავლა-სწავლების თანმდევი პროცესია. მონიტორინგი სხვა არაფერია თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის დასახული მიზნების მიღწევის შეფასება. ამისთვის, შესაძლებელია, გამოვიყენოთ სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასება.

სრულყოფილი მონიტორინგისთვის რეკომენდებულია მასწავლებელმა მოსწავლის მიღწევები შეაჯამოს ყოველი თემის დასრულების შემდეგ, აღწეროს დასახულ მოკლევადიან მიზნებთან მიმართებით მოსწავლის შესრულება.

ცხრილის პირველ ველში მასწავლებელი ფოკუსირდება იმ თემასა და ცნებებზე რომელსაც მიემართება შეფასება. პირველ სვეტში მონიშნავს ტაქსონომიის დონეს, ხოლო „მოსწავლის შესრულების აღწერაში“ დეტალურად წარმოადგენს რა შეძლო მოსწავლემ. მესამე სვეტში კი მნიშვნელოვანია განისაზღვროს კიდევ რაში სჭირდება მოსწავლეს ცოდნის გაღრმავება, რა უნარის გავარჯიშება არის საჭირო და როგორ შეიძლება დავეხმაროთ მას.

მოსწავლის პროგრესის შეფასება

რას ვაფასებ?		
სოლო ტაქსონომიის დონე	**მოსწავლის შესრულების აღწერა**	**განმავითარებელი უკუკავშირი**
☐ აბსტრაქტული ☐ მიმართებითი ☐ მულტისტრუქტურული ☐ უნისტრუქტურული ☐ პრექსტრუქტურული		

დანართის სახით მოცემულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში ქართულ ენასა და ლიტერატურაში

დანართი - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემოკლებული ნიმუში ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია....1

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრების კალენდარი 2

მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე 2

მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარების აღწერა....4

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში 13

მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა 13

გრძელვადიანი მიზნები.... 15

კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები 16

მოსწავლის პროგრესის შეფასება.... 26

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ზოგადი ინფორმაცია

მოსწავლის სახელი, გვარი	ლ.მ	**პირადი ნომერი**	XXXXXXXXXXX
დაბადების თარიღი	12.09.2009	**ასაკი**	12 წლის
სკოლა	ზუგდიდის N3 საჯ.სკოლა	**კლასი**	მე-6
მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ ფოსტა	დედა -მ.კ მამა -რ.ნ	☎xxxxxxxxxxxxx ☎xxxxxxxxxxxxxxxxx	✉ xxxxxxxxxx ✉xxxxxxxxxx
იურიდიული მისამართი	ზუგდიდი	**ფაქტობრივი მისამართი**	ზუგდიდი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრების კალენდარი

ისგ ჯგუფის წევრები	**სახელი და გვარი**	**ისგ ჯგუფის შეხვედრების თარიღები და მონაწილეები**			
		11.08.2021			
მშობელი/კანონიერი. წარმ	მ.კ.	☒	☐	☐	☐
სპეციალური მასწავლებელი	თამარ ჯიქია	☒	☐	☐	☐
დამრიგებელი	ლელა ფალელაშვილი	☒	☐	☐	☐
ქართულის მასწავლებელი	სოფიო ძიგრაშვილი	☒	☐	☐	☐
მათემატიკის მასწავლებელი	თინათინ გობაძე	☒	☐	☐	☐
ინგლისურის მასწავლებელი	მაკა მიშველიძე	☒	☐	☐	☐
ხელოვნების მასწავლებელი	ნინო კაპანაძე	☒	☐	☐	☐
ბუნებისმეტყველების მასწავლებელი	ნინო ცომაია	☒	☐	☐	☐
ჩვენი საქართველოს მასწავლებელი	მაიკო მაისურაძე	☒	☐	☐	☐
მუსიკა	თამთა მანჯგალაძე	☒	☐	☐	☐
რუსული	თ.ვ	☒	☐	☐	☐

შენიშვნა: *ჯგუფს დაემატება იმ მასწავლებელთა მონაცემები, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეს და მათ საგანში იქმნება ისგ.*

მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება	**ისგ**	**ესგ**	**არ ესწრება**	**დამატებითი სერვისის საჭიროება**
ქართული ენა და ლიტერატურა	☒	☐	☐	☒ ინდივიდუალური გაკვეთილები რესურს ოთახში
მათემატიკა	☒	☐	☐	☐ სსსმ პირის ასისტენტი
გამოყენებითი და სახვითი ხელოვნება	☒	☐	☐	☐ მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი
მუსიკა	☒	☐	☐	☐ ჟესტური ენის თარჯიმანი
ინგლისური	☒	☐	☐	☐ ჟესტური ენის სპეციალისტი
ბუნებისმეტყველება	☒	☐	☐	☐ ოკუპაციური თერაპევტი
ჩვენი საქართველო	☐	☐	☐	☐ ენისა და მეტყველების სპეციალისტი
სპორტი	☐	☒	☐	☐ ფსიქოლოგი
ისტ-ი	☒	☐	☐	☐ ტრანსპორტით მომსახურება
რუსული	☒	☐	☐	☐ ადაპტირებული ავეჯით სარგებლობა
				☐ შინ სწავლება
				☒ ინდივიდუალური განრიგით სარგებლობა
				☐ სხვა ----------

შენიშვნა: *თუ მოსწავლე არ ესწრება როშელიმე საგანს და არ აქვს შეფასება აღნიშნულ საგანში დადასტურებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით*

მოსწავლის ინდივიდუალური განრიგი					
საგნები ↖ დღეები ↗	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1	ქართული	ქართული	მათემატიკა	ქართული	მათემატიკა
2	მათემატიკა	ქართული	ინგლისური	მუსიკა	ქართული
3	ინგლისური	ჩვენი საქართველო	ხელოვნება	ჩვენი საქართველო	ინგლისური
4	ბუნებისმეტყველება	მათემატიკა	ბუნებისმეტყველეა	სპორტი	ხელოვნება
5	ისტ	მუსიკა	ისტ	მათემატიკა	რუსული
6		სპორტი	რუსული		
7					

შენიშვნა: *ცხრილში მოსწავლის საგაკვეთილო ცხრილია ასახული, სადაც აღნიშნულია მწვანე - ესწრება კლასის გაკვეთილს, ყვითელი - რესურს ოთახში მუშაობა, წითელი - გაკვეთილის დროს არ არის სკოლაში*

მოსწავლის სწავლა-სწავლების ხემშემწყობი აკომოდაციები			
სასწავლო პროცესი	გარემო პირობები	დამხმარე საშუალებები	დრო, განრიგი
☐ ბრაილის ანბანი; ☐ ფონტის გაზრდა; ☐ კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (ბარათებით კომუნიკაცია); ☒ ტექსტის ლექსიკის გამარტივება; ☒ ტექსტში მნიშვნელოვანი; ადგილების მონიშვნა; ☒ ინსტრუქციის/მასალის მიწოდება სხვადასხვა გზებით; ☐ აუდიო მასალის გამოყენება; ☐ წერითი აქტივობის ზეპირით ჩანაცვლება ☐ ზეპირი აქტივობის წერით (სხვა ფორმით) ჩანაცვლება ☐ სხვა ----------	☐ საკლასო ოთახის მდებარეობა; ☐ მერხების განლაგება; ☐ მოსწავლეთა განთავსება; ☐ განათების მორგება; ☐ აკუსტიკური პირობების შექმნა; ☐ სივრცე შესვენებისთვის; ☐ ადაპტირებული ავეჯი; ☐ სხვა ----------	☐ ასისტენტი, რომელიც მონიშნავს პასუხებს; ☐ გამადიდებელი, ლუპა; ☐ ხმის გამაძლიერებელი; ☐ კალკულატორი; ☐ კომპიუტერის ან დამხმარე მოწყობილობის გამოყენება; ☐ სხვა----------	☒ დროის გაზრდა; ☐ დროის შემცირება; ☐ შეფასების, გამოცდის ეტაპობრივი ჩატარება; ☐ დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი; ☐ შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი; ☐ დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა; ☐ აქტივობების ნაწილებად დაყოფა; ☐ სხვა ----------

კლასის დამრიგებლის/ისგ ჯგუფის კოორდინატორის ხელმოწერა	-ლ.ფალელიშვილი
დირექტორის ხელმოწერა-	ლ.ქურციკიძე
მშობლის ხელმოწერა -	მ.კ.
სპეციალური მასწავლებლის ხელმოწერა	- თ.ჯიქია

მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარების აღწერა

აკადემიური უნარები	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
წერა	**მოტორული კომპონენტი** • მოსწავლე წერს მარჯვენა ხელით; • კალამი უჭირავს სამთითა ჩაჭიდებით; • მარცხენა ხელით აფიქსირებს ფურცელს; **ნაწერის ვიზუალური მხარე** • წერას ფურცელზე იწყებს მარცხნიდან მარჯვნივ; • ასოების ზომა არის ნორმალური; • ასოს გამოსახავს გრაფიკულად სწორად; • ხაზ-ზემო და ხაზ-ქვემო ასოებს განალაგებს სწორად; • ასოებს ათავსებს ბადეში; • იცავს ინტერვალს ასოებს შორის; • იცავს ინტერვალს სიტყვებს შორის. **ორთოგრაფია/მართლწერა** • მოსწავლე წერს ყველა ასოს; • ასოს გამოსახავს გრაფიკულად სწორად; • სიტყვაში ასახელებს მარცვლების რაოდენობას; • იწერს მარცვალს მოძრავი ანბანიდან; • გადაიწერს სიტყვას და ასახელებს რა სიტყვა დაწერა. • წერს მარცვალს კარნახით; • წერს ნაცნობ ერთ-ორ-სამმარცვლიან სიტყვებს კარნახით; • მისთვის უცნობი სიტყვის წერისას საჭიროებს კარნახისას მარცვა-მარცვალ მიწოდებას. • გადაწერისას არჩევს მსგავსი მოხაზულობის ასოებისგან დაწერილ სიტყვებს (სარი-ზარი); • ჟღერადობით მსგავსი ასოებისგან დაწყებული სიტყვების კარნახისას სიტყვას წერს სწორად(ქარი-კარი).	**ორთოგრაფია/მართლწერა** • სიტყვაში ტოვებს ასოებს როდესაც ორი ხმოვანი იყრის თავს მაგ: მცენარები, ხების; • უჭირს სიტყვების სწორ ბრუნვაში ჩასმა; • უჭირს სიტყვების სწორ რიცხვში ჩასმა; • ვერ ურთავს თანდებულებს ზე, ში, თან სიტყვებს სწორად და საჭიროებისამებრ; • მსგავსი მოხაზულობის ასოების ხ და ძ, შ და წ-ს წერისას სჭირდება დაფიქრება. • კარნახით წერისას ერთმანეთში ერევა ბ,პ,ფ ; • კარგავს რ-ასოს როდესაც რ-სთან თავს იყრის სამი თანხმოვანი(ჯანმრთელი-ჯანმთელი, გრძელი-გძელი). **შინაარსობრივი მხარე** • უჭირს 2 ზე მეტ სიტყვიანი წინადადების კარნახით წერა, საჭიროებს რამდენჯერმე გამეორებას; • 4 და 40-ზე მეტისიტყვიანი წინადადების კარნახით წერისას ტოვებს სიტყვას წინადადებაში; • უჭირს დამოუკიდებლად წინადადების აგება გრამატიკული კანონზომიერების დაცვით, თუ წინადადებაში თავს იყრის 2 არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა. მაგ: ლამაზი გოგო პიანინოზე უკრავს. • ვერ აფიქსირებს მისთვის ნაცნობი ტექსტის შინაარსს წერილობით; • საკუთარი თავის შესახებ წერილობითი ინფორმაცია არის მწირი; • აფიქსირებს საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციას რამდენიმე წინადადებით. აზრს აყალიბებს ზეპირად, მაგრამ წერილობით უჭირს თანმიმდევრულად გადმოცეს ამბავი.

	შინაარსობრივი მხარე • შეუძლია ილუსტრაციაზე დაყრდნობით 2 სიტყვიანი წინადადების ჩაწერა მაგ: მზე ანათებს, ბიჭი თამაშობს. დედა რეცხავს. გოგო უკრავს • გადაწერს ტექსტს წიგნიდან, დაფიდან ორიგინალი ტექსტის იდენტურს, სასვენი ნიშნების დაცვით; • ილუსტრაციაზე ასახელებს პერსონაჟებს და კითხვის დასმის შემთხვევაში მათ მოქმედებას და ჩაწერს წინადადებას მასწავლებლის დახმარებით. რამდენიმეჯერ გამეორების შემდეგ შეძლებს დამოუკიდებლად ჩაწეროს. • ტექსტის აბზაც-აბზაც წაკითხვის შემდეგ წერილობით პასუხობს ორი, სამი სიტყვით კითხვებზე. • ნიმუშზე დაყრდნობით, სადაც იქნება კითხვები მოცემული, შეუძლია ანკეტის შევსება, ჩაწერს სახელს და გვარს, ასაკს, მშობლების სახელებს	• საკუთარი თავის შესახებ დაწერილ წინადადებაში არ არის დაცული ლოგიკური შინაარსი, წინადადებების თანმიმდევრობა. • არ იყენებს სასვენ ნიშნებს; • ერთხელ წაკითხული ტექსტის შინაარსის დამოუკიდებლად წერისას ნამუშევარში შეუძლებელია მოსწავლის აზრის გაგება. • წერილობით ვერ ასაბუთებს რა მოეწონა და რა არა; • შეცდომით დაწერილ სიტყვაში, წინადადებაში ვერ პოულობს და ვერ ასწორებს შეცდომას. • წაკითხული ტექსტის კითხვა-პასუხის რეჟიმში დამუშავების შემდეგ, დამოუკიდებლად ვერ დაწერს ტექსტის შინაარსს. სჭირდება დამხმარე სტრატეგიები: სქემები, აბზაცებად დაყოფა, ილუსტრაციაზე დაკვირვება. • ესმის ცნება კითხვა დაიწყე ახალი აბზაციდან, მაგრამ წერისას ვერ შეძლებს აბზაცებად გამოყოს თავისი ნამუშევარი.
კითხვა	• მოსწავლე ცნობს და კითხულობს ყველა ასოს; • ერთ და ორმარცვლიან სიტყვებს კითხულობს გაბმულად; • კითხულობს რთულ, მრავალმარცვლიან სიტყვებს მარცვალ-მარცვალ და შემდეგ ამთლიანებს; • მოსწავლე კითხულობს მცირე ზომის 1 გვერდიან ტექსტებს. • იცავს ინტონაციას თხრობითი წინადადების წაკითხვისას; • იგებს აზრობრივ ერთეულს სიტყვა (რამდენ ასოიანია, რამდენი მარცვალია); • იგებს აზრობრივ ერთეულს წინადადება(რამდენი სიტყვისგან შედგება). • იგებს აზრობრივ ერთეულს აბზაცი; • იგებს აზრობრივ ერთეულს ტექსტს კითხვების გამოყენებით;	• კითხულობს ერთ გვერდიან ტექსტს, ასევე წაიკითხავს 2 და 3 გვერდსაც, მაგრამ დასჭირდება მესვენება და რაც მეტ გვერდიანია ტექსტი, მით უფრო გაუჭრდება მისი შინაარსის გაგება. • კითხვისას ზოგიერთ სიტყვას აკლებს ბრუნვის ნიშანს; • ხანდახან უჭირს ხაზიდან ხაზზე გადასვლა. ერევა ხაზები. • კითხვის ტემპი არის შენელებული. • ვერ იცავს ინტონაციას კითხვით და ბრძანებითი წინადადების წაკითხვისას; • კითხულობს მონოტონურად. • უჭირს ტექსტის შინაარსის გაგება დამოუკიდებლად.
თხრობა	**წინადადების გრამატიკული სტრუქტურა** • პაუზით გამოყოფს სიტყვებს ერთმანეთისგან; • დასრულებას გამოხატავს პაუზით და შესაბამისი ინტონაციით • აკავშირებს ტესტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან; წავიკითხეთ ,,ჩექმებიანი კატა'' საკუთარი ინიციატივით დაიწყო საკუთარ კატაზე საუბარი. ტექსტში, სადაც არის მეგობარი ნახსენები, საუბრობს თავის მეგობარზე და ასაბუთებს არგუმენტებით თუ რატომ ფიქრობს რომ ის მისი მეგობარი: ვერ გაიგო როგორ დაეწერა დავალება და მე დავეხმარე.	**წინადადების გრამატიკული სტრუქტურა** • საუბრობს მარტივი ფრაზებით; • ნაკლებად იყენებს თხრობისას რიცხვით და ნაცვალსახელებს, კავშირებს და ა. შ; **საუბრის მოქნილობა, გაბმული მეტყველება** • თხრობისას უჭირს მეტყველების ნაწილების დროსა და რიცხვში შეთანხმება; • მეტყველებისას ვერ სვამს სიტყვებს სწორ ბრუნვაში; • თხრობისას ბგერებს წარმოთქვამს არამკაფიოდ, დაბალ ხმაზე, ზოგჯერ გაუგებრადაც კი. საჭიროებს სიტყვიერ მითითებას; ისაუბრე ხმამაღლა, სიტყვები წარმოთქვი მკაფიოდ.
	შინაარსი, მოვლენების ლოგიკური თანმიმდევრობა • ასახელებს ნაწარმოების მთავარ გმირებს; • ახსოვს მხოლოდ ცალკეული დეტალები და ასახელებს მათ; • დამხმარე კითხვების საშუალებით იხსენებს რაზე იყო ტექსტი. • სურათის აღწერისას ასახელებს მოქმედ პირს და უსადაგებს მას საკუთარ გამოცდილებას: ბიჭს ძინავს, მე მიყვარს ძილი. • რამდენიმე სიუჟეტიან სურათს აღწერს როგორც ცალ-ალკე ამბავს: ,,დედა ჭურჭელს რეცხავს, ბავშვები ხატავენ, ძაღლი და კატა უყურებენ ბავშვებს.'' • სურათის აღწერისას ასახელებს ობიექტებსა და მათ შორის მიმართებებს.	**შინაარსი, მოვლენების ლოგიკური თანმიმდევრობა** • მოსწავლე ვერ გადმოსცემს ერთხელ ან ორჯერ წაკითხული მოთხრობის შინაარსს თუ კითხვების დასმით არ დავეხმარეთ. • დასმულ კითხვას ტექსტის გარშემო პასუხობს 2-3 სიტყვიანი წინადადებით. • ტექსტის წაკითხვის შემდეგ დამოუკიდებლად, დამხმარე კითხვების გარეშე ვერ ხვდება ტექსტის მთავარ არსს; • ვერ ახასიათებს ნაწარმოების მთავარ გმირებს დამხმარე კითვების გარეშე • არ შეუძლია ტექსტში ამბის დასასრულის ამოცნობა; • ვერ მსჯელობს ტექსტში მოცემული პრობლემის გადაჭრის გზებზე • ვერ პოულობს ტესტში საკვანძო საკითხებს.
ანგარიში	**რიცხვების ცნობა (დასახელება/ჩაწერა რამდენის ფარგლებში);** • ცნობს და ასახელებს რიცხვებს 999-ის ფარგლებში; • გადაწერს ნებისმიერ ციფრს; • კარნახით წერს რიცხვებს 999-ის ფარგლებში; • ჩაწერს რიცხვებს 999-ის ფარგლებში. • პოულობს ბარათზე დასახელებულ ციფრებს **თვლა/უკუთვლა, გადათვლა (სად ამდ ე);** • ითვლის ზეპირად 1-დან 999-მდე; • ითვლის 100-ის ფარგლებში ნებისმიერი დასახელებული რიცხვიდან.	**თვლა/უკუთვლა, გადათვლა (სად ამდ ე);** • ვერ ითვლის უკუთვლით 40-ზე მაღალი რიცხვიდან. **მათემატიკური ნიშნების ცნობა/გამოყენება (ფარგლები);** • ერთმანეთში ერევა <ნაკლებობა) და >(მეტობა) სიმბოლოები. **შეკრება/გამოკლება (რ ამდ ენის ფ არ გლებში) თანრიგები, დამრგვალება (წერილ ობით , ზ ეპირად, ქვეშმიწერით) ;** • ვერ ასრულებს გამოკლების მაგალითებს ქვეშმიწერით. • ვერ ამრგვალებს რიცხვებს.

	• ითვლის უკუთვლით 40-დან. • გადაითვლის ერთიდან 1000-მდე. **რაოდენობის დაკავშირება რიცხვთან (სად ამდ ე);** • სურათზე წარმოდგენილ საგანთა ერთგვაროვანი გროვიდან გადაითვლის საგანთა რაოდენობას. • მიწოდებულ საგანთა გროვიდან ვერ განსაზღვრავს ორი სავარაუდო პასუხიდან სწორს. **მეზობელი რიცხვების დასახელება ;** • ასახელებს და წერს რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვებს 999-ის ფარგლებში. • ავსებს გამოტოვებულ ციფრებს ტექსტში (... 5 ...) 999-ის ფარგლებში. **მათემატიკური ნიშნების ცნობა/გამოყენება (ფარგლები);** • ცნობს, წერს მათემატიკურ ნიშნებს + - = • მაგალითის ამოხსნისას იცავს მოქმედებათა თანმიმდევრობას;	**ამოცანების ამოხსნა;** • არ ესმის ამოცანის პირობა; • არ შეუძლია ლოგიკური განსჯა ამოცანის ირგვლის; • არ შეუძლია ამოცანის ამოხსნა. **გეომეტრიული ფიგურების დასახელება, დახასიათება, ცნობა;** • ვერ ცნობს და ვერ ასახელებს გეომეტრიულ ფიგურებს: რომბი, ხუთკუთხედი, კვადრატი; • ვერ აჩვენებს დასახელებულ ფიგურებს სიბრტყეზე: რომბი, ხუთკუთხედი; • ვერ ხატავს რომბს, ხუთკუთხედს, კვადრატს. **საზომი ერთეულების ცნობა, გამოყენება;** • ვერ ამოიცნობს და ვერ კითხულობს თერმომეტრს; • ვერ ასახელებს ვერც ერთ წონის ერთეულს გარდა კგ-სა.
	• ზეპირად ამბობს რომელია მეტი და რომელი ნაკლები 999-ის ფარგლებში. **შეკრება/გამოკლება (რ ამდ ენის ფ არ გლებში) თანრიგები, დამრგვალება (წერილ ობით , ზ ეპირად, ქვეშმიწერით) ;** • ასრულებს შეკრების მაგალითებს ქვეშმიწერით ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების გამოყენებით. • ასრულებს გამოკლების მაგალითებს ზეპირად და წერილობით 10-ის ფარგლებში რიცხვების გამოყენებით,ხელის თითების მოშველიებით **გეომეტრიული ფიგურების დასახელება, დახასიათება, ცნობა;** • მოსწავლე ცნობს და ასახელებს გეომეტრიულ ფიგურებს: წრე, მართკუთხედი, სამკუთხედი. • აჩვენებს დასახელებულ ფიგურებს სიბრტყეზე: წრე, მართკუთხედი, სამკუთხედი, კვადრატი • გადახატავს ყველა გეომეტრიულ ფიგურას; • ხატავს; სამკუთხედს, ოთხკუთხედს, წრეს.	
შემეცნების სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
აღქმა	**ვიზუალური აღქმა;** • შეუძლია ყოფითი საგნების ცნობა დასახელება • განარჩევს ძირითად და მეორად ფერებს • ტექსტში მოცემულ ილუსტრაციაზე პოულობს ფერებს, რომლებსაც მასწავლებელი ასახელებს; • მოქმედების ამსახველ ბარათზე გახაზავს კონკრეტული ფერით დასახელებულ საგანს; წითლად წიგნს, ლურჯად ბარს. **აღქმის მთლიანობა;** • დეტალის მიხედვით შეუძლია მთლიანი ფიგურის აღდგენა-დასახელება; • აწყობს პაზლებს. • გადახაზული ნახატის ჩვენებისას ასახელებს რა საგანია გამოსახული **ვიზუალურ სივრცითი უნარები;** • სწორად იხატავს ერთმანეთთან გარკვეულ სივრცით მიმართებებში მყოფ ფიგურებს • გვიჩვენებს მარჯვენა ხელს, მარცხენა ხელს; მარჯვენა თვალს ,მარცხენა თვალს; • იცის ზემოთ-ქვემოთ, წინ, უკან, გვერდზე მხარეების გარჩევა. • შეუძლია ნაცნობ გარემოში (სკოლაში, სახლში) ორიენტირება. **სმენითი, ტაქტილური, ყნოსვითი, გემოს აღქმა;**	**ვიზუალურ სივრცითი უნარები;** • უჭირს ქალაქში ორიენტირება; • უჭირს სკოლიდან სახლამდე გზის გაგნება დამოუკიდებლად, სკოლაში მოჰყავს და მიჰყავს ოჯახის წევრებს, სკოლასთან ცხოვრობს ახლოს, დაახლოებით 500 მეტრის მანძილზე, სკოლის გვერდითა ქუჩაზე. **სმენითი აღქმა;** • ვერ იმეორებს ტაშისკვრას იმ რაოდენობით და ტემპით როგორითაც მივაწოდე; ოთხჯერ გაბმულად დაკრულ ტაშ იმეორებს სამჯერ პაუზებით. • ვერ განარჩევს მუსიკალური საკრავების ჟღერადობას ერთმანეთისგან; • ვერ იმეორებს სამზე მეტ სიტყვას და ბგერას იგივე მიმდევრობით **ტაქტილური აღქმა** • შეხებით ვერ აღიქვამს საგნის ფაქტურას რისგან არის დამზადებული: ხისგან, პლასმასისგან, რკინისგან. • სიტყვიერ მინიშნებაზე პრიალაა თუ ხორკლიანი ზედაპირი პასუხობს არასწორად.
	• ბაძავს ჩუმად და ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვების ტემბრს • იმეორებს ორ და სამ სიტყვას თანმიმდევრობით. • შეხებით ასხვავებს დიდ და პატარა ნივთებს; • აძლევს საგნებს სწორ შეფასებას; ცივია, თბილია, ცხელია; • ტომარაში ჩაყრილ სხვადასხვა ნივთს; პლასტელინი, სათამაშო ლეგო, პაზლი, რვეული, სახაზავი შეხებით გამოიცნობს. • თვალდახუჭული გაარჩევს ყნოსვით რამივაწოდეთ: ყავა, ფენოვანი, სუნამო. • ხელზე სუნამოს სუნზე ამბობს ხელის კრემის სუნია. • სხვადასხვა ხილზე დაკვირვებით ამბობს რომელს როგორი გემო აქვს: მჟავე, ტკბილი, • გაარჩევს ერთმანეთისგან ტკბილს და მწარეს, მლაშეს, ცივს, ცხელს, მიმწვარს.	

ყურადღება	**ყურადღების სტაბილურობა-კონცენტრაციის საშ.ხანგრძლივობა:** • უსმენს პედაგოგის ინსტრუქციას აქტივობის დაწყებამდე და აქტივობაზე მუშაობის პროცესში • შეუძლია ყურადღების კონცეტრირება ერთ დავალებაზე მასწავლების მხრიდან ყოველგვარი დახმარების გარეშე 6 წუთის განმავლობაში; • ყურადღების კონცეტრირება ერთ დავალებაზე მასწავლებლის ან მშობლის მხარდაჭერით შეუძლია 15 წუთი, შემდეგ ამბობს რომ დაიღალა და სავენება სჭირდება. • მისთვის საინტერესო აქტივობაზე ყურადღების კონცეტრირება შეუძლია 20-25 წუთი; **ყურადღების გადანაცვლება;** • არ უჭირს ყურადღების მოწყვეტა ერთი აქტივობიდან და მეორე აქტივობაზე გადართვა: დაასრულოს წერა, გადაშალოს წიგნი. • ორ ნახატს შორის განსხვავების პოვნისას ანაცვლებს ყურადღებას ერთი ნახატიდან მეორეზე და პოულობს განსხვავებებს; • აქტივობის შესრულებისას ფოკუსირდება ამ აქტივობაზე; • შეუძლია უსმინოს მოსაუბრეს და პარალელურად გააფერადოს კონტურში ნახატი.	**ყურადღების სტაბილურობა-კონცენტრაციის საშ.ხანგრდძლივობა:** • ადვილად იღლება და იფიტება დავალების შესრულების პროცესში, ითხოვს შესვენებას; • ტოვებს შთაბეჭდილებას რომ არ უსმენს; • ნებისმიერი დავალების შესრულებას ანდომებს დიდ დროს., თუნდაც ეს აქტივობა ეყრდნობოდეს მის ინტერესებს. **უნებლიე ყურადღება** • ნებისმიერი გარე გამღიზიანებელი ხელს უშლის კონცენტრირებაში, მაგ სავარჯიშოს წერისას ვინმეს შემოსვლა ოთახში იწვევს მისი ყურადღების გაფანტვას. **ყურადღების გადაუხრადობა/მდგრადობა;** • საჭიროებს სიტყვიერ მინიშნებას ყურადღების გაფანტვის დროს: გააგრძელე მუშაობა • ნებისმიერ გარე გამღიზიანებელზე აქვს რეაქცია, უჭირს დაუბრუნდეს დავალებას **ყურადღების განაწილება;** • არ შეუძლია უსმინოს სხვა ადამიანს და პარალელურად წეროს დავალება. მაგრამ შეუძლია უსმინოს მოსაუბრეს და პარალელურად გააფერადოს. აქტივობის სირთულეზეა დამოკიდებული. • არ შეუძლია უსმინოს მელოდიას და პარალელურად ელაპარაკოს მასწავლებელს.
მეხსიერება	• მიწოდებული ექვსი სიტყვიდან სახლი, მანქანა, ქუჩა, კლასი, მერხი, მოსწავლე აღადგენს 4-ს ,ერთ სიტყვას - კლასს ცვლის სიტყვით სკოლა. • 6 სიტყვის 4-ჯერ მიწოდების შემდეგ აღადგენს 4 სიტყვას არეული თანმიმდევრობით. • 10 სიტყვის 5ჯერ გამეორების შემდეგ აღადგენს პირველ ჯერზე-3 სიტყვას, მეორე ჯერზე 4 სიტყვას, მეხუთე ჯერზე აღადგენს უკვე 6 სიტყვას; • მცირე ზომის მოთხრობის წაკითხვის შემდეგ იხსენებს ცალკეულ დეტალებს, სად ხდებოდა მოქმედება, პერსონაჟებს.	• მცირე ზომის მოთხრობის წაკითხვის შემდეგ სრულად ვერ იხსენებს რაზე იყო ტექსტი, არ ახსოვს შინაარსი. იხსნებს ცალკეულ ფრაგმენტებს, პერსონაჟებს. • მოსწავლე იხსენებს ნახევარი საათის წინ ჩამოთვლილი 10 სიტყვიდან მხოლოდ 3-ს; • ნახევარი საათის წინ წაკითხული მოთხრობიდან ახსოვს მხოლოდ ცალკეული დეტალები.
აზროვნება	• ასახელებს სხეულის ნაწილებს და ხსნის ზოგიერთი სხეულის ნაწილების დანიშნულებას: ,,ფეხით უნდა წავიდეთ სწრაფად სკოლაში, რომ არ დავაგვიანოთ, ფეხით ვდგებით დილით; ხელით უნდა დავითვალოთ, ვაფერადებთ ფუნჯით, ვხატავთ''. • ამბობს რამდენი ხელი აქვს, რამდენი ფეხი, რამდენი თვალი და ა. შ. **საგანთა კატეგორიზაცია;** • მოსწავლე ჩამოთვლის თითოეულ კატეგორიაში; ბოსტნეული, ხილი, ტრანსპორტი, ავეჯი 3-4 საგანს; • ნახატზე გამოსახულ ყველა ობიექტს უშეცდომოდ ანაწილებს შესაბამის კატეგორიაში; **მეოთხე ზედმეტის გამორიცხვა(დასაბუთება);** • ოთხი საგნიდან გამორიცხავს ერთს რომელიც ზედმეტია, ხსნის მარტივად რატომაა ზედმეტი; აქ ცხოველებია, ქათამი ფრინველია''. **ანალოგიების დამყარება;** • მას შემდეგ რაც მოსწავლეს ვუსახელებ სიტყვათა წყვილს პური-მცხობელი და ვთხოვ დაასახელოს სიტყვა სახლის წყვილი სიტყვებიდან: ქალაქი, ოთახი, კარი, მშენებელი , ვერ ასახელებს საჭირო სიტყვას; ხოლო როცა ვეკითხები ვინ აშენებს სახლს მპასუხობს-მშენებელი. **საგნებსა და ცნებებს შორის მსგავსება-განსხვავების გამოვლენა;** • ორ საგანს-მანქანა და ველოსიპედს შორის მსგავსებას ასახელებს: ,,ორივე დადის'', იმავე საგნებს შორის განსხვავებას ასახელებს: მანქანა დედას დაყავს, მე ველოსიპედი დამყავს''	**საგანთა კატეგორიზაცია;** • უჭირს ახსნას რა აქვთ საერთო ერთ კატეგორიაში მოქცეულ საგნებს. **ანალოგიების დამყარება;** • უჭირს ორ სიტყვას შორის ანალოგიების განსაზღვრა, ვერ არკვევს რა კავშირშია პური და მცხობელი. **დროის აღმნიშვნელი ცნებები;** • ვერ ცნობს საათზე დროს; • ვერ ამბობს საათში რამდენი წუთია, წუთში რამდენი წამია; • ვერ წერს მოკლედ საათს, წუთს, წამს; **სერიული სიუჟეტური სურათების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება;** • სერიული სურათების დალაგებისას სჭირდება დრო, რამდენიმეჯერ უცვლის სურათს ადგილს სანამ საბოლოოდ ჩამოყალიბდება. **საგნებსა და ცნებებს შორის მსგავსება-განსხვავების გამოვლენა;** • არ შეუძლია ორ საგანს შორის ერთზე მეტი მსგავსების და განსხვავების დასახელება. **დასკვნის გამოტანა, მსჯელობა, არგუმენტირება;** • უჭირს ტესტიდან აზრის გამოტანა • უჭირს მსჯელობა; • უჭირს საკუთარი პასუხის არგუმენტირება • ვერ გეგმავს საკუთარ დღის განრიგს დამოუკიდებლად.
კომუნიკაცია, ენა - მეტყველება	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
რეცეპტული ენა	• წინადადების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეს შეუძლია მიუთითოს სურათზე, რომელზეც ეს მოქმედებაა გამოსახული; • გებულობს ჟესტებს, მიმიკას და არავერბალურ მიმანიშნებლებს	• ვერ გვიჩვენებს საგნებს ზუსტად იმ თანმიმდევრობით რა თანმიმდევრობითაც დავასახელეთ ისინი; • სჭირდება ინსტრუქციის გამარტივება და ნაბიჯ-ნაბიჯ მიწოდება; • არ შეუძლია ოპოზიციური ბგერების გარჩევა(ბ,პ,ფ);

	• სიტყვების წაკითხვის შემდეგ ვთხოვთ გაიმეოროს პირველი და ბოლო ასო, სწორად ასახელებს • სიტყვის შემადგენელი ასოების მოსმენის შემდეგ სიტყვას ამთლიანებს. • მოსწავლე იმეორებს წაკითხულ 5 სიტყვას იგივე თანმიმდევრობით	• ჯგუფური აქტივობისას კარგავს ფოკუსს; • უჭირს გადატანითი მნიშვნელობის გაგება • უჭირს ორაზროვანი მნიშვნელობის გაგება • ყველაფერი ესმის პირდაპირი მნიშვნელობით • უჭირს სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობის გაგება • ვერ იგებს ხუმრობას
ექსპრესიული ენა	• ყველა ბგერას წარმოთქვამს სწორად • გამოხატავს მოწონებას სიტყვიერად და არა თავის დაქნევით, მიმიკით, ჟესტებით; • ითვალისწინებს მოსაუბრის ინტერესებს • მეტყველებისას იყენებს მიმართვების ფორმას, მოგმართავს სახელით • ასახელებს მის ირგვლივ არსებულ საგნებს, სხეულის ნაწილებს; • აღწერს სურათზე გამოსახულ მოქმედებებს მარტივი სიტყვებით; • ასახელებს გარკვეული საგნებით რა მოქმედების შესრულება შეიძლება; • წინადადების ფორმულირებისას მეტნაკლებად სწორად ალაგებს სიტყვების თანმიმდევრობას; • სწორად აწყობს კითხვით წინადადებას; • შეუძლია კითხვაზე პასუხის გაცემა მარტივი, ორი ან 3 სიტყვით; • შეუძლია ყოფითი ამბის მოთხრობა თავის თავზე რამდენიმე წინადადებით;	• ბრუნვასა და რიცხვში ჩასმა უჭირს საჭირო პრეფიქსების, სუფიქსების და ნაწილაკების გამოყენება • უჭირს წინადადებაში სიტყვის საჭირო ბრუნვასა და რიცხვში ჩასმა • უჭირს სიტყვაში პირის ნიშნების გამოყენება,ძირითადად უჭირს პირველ პირში საუბრისას ვ-თავსართის გამოყენება; • ვერ იყენებს საკავშირო სიტყვებს; და, მაგრამ, რომ • საუბრისას იყენებს პარაზიტ ჩანართებს: მმმ • ლაპარაკობს დუდღუნით, ხმადაბლა, • საუბრისას არ იცავს გრამატიკულ კანონზომიერებებს • საუბრისას ყოყმანობს • აქვს სიტყვათა მწირი მარაგი; • საუბრისას უჭირს სიტყვების მოძებნა; • არ იყენებს სინონიმებს, ომონიმებს. • ხშირად რთავს მეტყველებაში რუსულ სიტყვებს, ბარბარიზმებს; • საიბრისას არ ამყარებს თვალით კონტაქტს • ერთი თემიდან გადადის სხვა თემაზე
სოციალურ-ემოციური სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
თვითცნობიერება	• აცნობიერებს ვინ არის, რისთვის დადის სკოლაში, რა უნდა გააკეთოს აქ; • იცის რა არის მეგობრობა და კითხვაზე: როგორ მიხვდი, რომ შენი მეგობარია, ამბობს: მან დავალება ვერ გაიგო და მე დავეხმარე დაწერაში. როცა ზღვაზე ვიყავით, ის წყალში ჩავარდა და მე დავეხმარე რომ ამომეყვანა. • აცნობიერებს რა სურს ამ კონკრეტულ მომენტში; შესვენება, ჭამა, თამაში. რესურს ოთახში მუშაობის დროს, როცა იღლება, ამბობს: ახლა მე დავიღალე და ცოტახანს შევისვენოთ.	• უჭირს განსაზღვროს რა უნდა გააკეტოს მომავალში, ვინ უნდა გამოვიდეს.
თვითრეგულაცია	• ესმის ცნება გაზიარება, საკუთარის გაზიარება რომ მის ნებაზეა დამოკიდებული, უნდა გაუზიარებს უნდა არა და ჯგუფური ნივთის საერთოს ცნება და იცავს ამ წესებს. აზიარებს როგორც საკუთარ ნივთს ასევე საერთოს. • სპორტის გაკვეთილზე იცავს თამაშის წესებს, ელოდება	• უჭირს ემოციების კონტროლი, თუ რამე არ მოეწონა ადვილად ბრაზდება, მაგრამ ადვილადვე გადაუვლის ბრაზი; • თუ სადმე ეჩქარება მოუსვენრადაა, გონია რომ დააგვიანდება და შფოთავს • უჭირს სასურველი ნივთის ადეკვატურად მოთხოვნა, როცა

	კვება - ჭამს დამოუკიდებლად, იყენებს დანას-ჩანგალს, ხელსახოცს **პირადი ჰიგიენა-** შეუძლია ხელ-პირის დაბანა, კბილების გახეხვა, ივარცხნის თმას, იყენებს კბილის ჯაგრისს **ტუალეტით სარგებლობა -** იცის საპირფარეშოს მოხმარება ნაცნობ და უცნობ გარემოში; იბანს ხელებს საპირფარეშოდან გამოსვლისას.	
დამოუკიდებლობა	**პირადი სივრცის მოწესრიგება -** აწესრიგებს თავის სამუშაო მაგიდას; თამაშის შემდეგ ალაგებს თავის სათამაშოებს; იცის ცოცხის მოხმარება; წმენდს მტვერს; შეუძლია დაკეცოს ტანსაცმელი; სახლში შემოსვლისთანავე იხდის ქურთუკს, კიდებს საკიდზე, ფეხსაცმელს დებს თავის ადგილას, ტანსაცმელს ალაგებს კარადაში; საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე ალაგებს მერხზე საჭირო ნივთებს; რვეულები და წიგნები არის მოვლილი. **საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენება-** იცის ჭურჭლის მოხმარება; მოიხმარს ტელევიზორის პულტს; ტეელეფონს; სარგებლობს თიმსით, დაარეგისტრირებს ოჯახის წევრებმა, მას შემდეგ თვითონ შედის გაკვეთილებზე, მაგრამ შესახსენებელია დრო, როდის უნდა შევიდეს; იყენებს ინტერნეტ სივრეს Google.com, Facebook, YouTube; კომპიუტერულ თამაშებს თამაშობს. **ტრანსპორტით სარგებლობა -** იცის ტრანსპორტში მოქცევის წესები; მშობლის მანქანაში ყოველთვის იკავებს უკანა სავარძელს;	**პირადი სივრცის მოწესრიგება -** ჩანთის ჩალაგებისას საჭიროებს მშობლის დახმარებას, შეხსენებას; **ტრანსპორტით სარგებლობა -** ვერ გადაადგილდება დამოუკიდებლად, მშობლის გარეშე, ტრანსპორტით; არ იცის მის სახლამდე რომელი ტრანსპორტი მიიყვანს. **ფულის ცნობა-გამოყენება -** არ შეუძლია ფულის დახურდავება; არ იცის ფულის გამოყენება; არ იცის მისთვის სასურველი ნივთი რა ღირს და რამდენი სჭირდება. **საფრთხის განცდა -** გზაზე ვერ გადადის დამოუკიდებლად;
ფიზიკური სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
მსხვილი მოტორიკა	მოქნილია, შეუძლია სხვადასხვა ფიზიკური აქტივობების განხორციელება, იცავს წონასწორობას სხვადასხვა მოტორული აქტივობების დროს	
ნატიფი მოტორიკა	შეუძლია თითებისა და ხელის მტევნის მოქნილი, კოორდინირებული გამოყენება, მანიპულირებს მცირე ზომის ობიექტებით, მოქნილად იყენებს საწერ, სახატავ საშუალებებს, აფერადებს კონტურის დაცვით	
მოსწავლის ინტერესები	მოსწონს საუბარი პლანეტებზე. უყვარს სეირნობა, გასართობ ადგილებში სიარული.	

მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა

ცნება:		
მკვიდრი წარმოდგენები	**სწავლის შედეგები**	**მოსწავლის მიღწევა**
ცნება: ტექსტი		
1. ყველა ტექსტი მოგვითხრობს რაიმეს შესახებ. ტექსტის მეშვეობით ავტორი გვიზიარებს თავის სათქმელს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას უკავშირდება. 2. ტექსტში პირდაპირ ან არაპირდაპირ მოცემული მინიშნებების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტის სიღრმისეულად, ახლებურად გააზრება, ახალი კუთხით წარმოჩენა. 3. ტექსტის გასაგებად/შესაქმნელად მნიშვნელოვანია სტრატეგიების აღმოჩენა და გამრავალფეროვნება. 4. ტექსტსი შეიძლება იყოს: ზღაპარი, ან:მოთხრობა, ან:იგავი, ან: თქმულება, ან: ლექსი, ან: საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი, ან: წერილი, ან: რეკლამა, ან: კომიქსი, ან:პოსტერი, ან: ჩანახატი, ან: დღიური, ან: საინფორმაციო-ყოფითი.	**ქართ.დაწყ.(II).3** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე). **ქართ.დაწყ.(II).5** ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად. **ქართ.დაწყ.(II).7.** წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა. **ქართ.დაწყ.(II).8.** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებელების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა. **ქართ.დაწყ.(II).9.** კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად. **ქართ.დაწყ.(II).10.** ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით	მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისაგან ლექსი და მოთხრობა, მაგრამ უჭირს ზღაპრის, მოთხრობის, იგავის, თქმულების ერთმანეთისაგან განსხვავება. კითხულობს ასაკის შესაბამის ტექსტს, თუმცა უჭირს დამოუკიდებლად ტექსტის შინაარსის გაგება და თანმიმდევრულად გადმოცემა, კითხვაზე: რა მოხდა ტექსტში? იხსენებს ცალკეულ ფრაგმენტებს, პერსონაჟებს, ქცევებს, მაგრამ მისი თანმიმდევრობით გადმოცემა უჭირს. ტექსტის გაგებისთვის თუ გამოვიყენებთ ილუსტრირებულ ტექსტს შეძლებს უკეთ დაალაგოს ტექსტის შინაარსის თანმიმდევრობა, თუმცა კითხვებით დახმარებას მაინც საჭიროებს, რომ აზრი გასაგები და თანმიმდევრული იყოს. ასახელებს რამდენიმე პერსონაჟს, დამოუკიდებლად მათ თვისებებზე ვერ საუბრობს, მაგრამ თუ მასწავლებელთან ერთად მოიძიებს ტექსტში მინიშნებებს ამოიცნობს თუ როგორია პერსონაჟი: კეთილი თუ ბოროტი. ძუნწი, ზარმაცი, მხაირული, ხარბი. უჭირს მოცემული ტექსტი დაყოს მნიშვნელოვან და არამნიშვნელოვან ნაწილებად, ვერ ხსნის რატომ შეიძლება ტექსტში იყოს ეს ორი ცნება, რის გამოც თხრობის დროს შეიძლება გამოტოვოს მნიშვნელოვანი სიუჟეტი და ისაუბროს მეორეხარისხოვან ნაწილზე. ტექსტში მოცემულ სიტუაციებს უკავშირებს თავის პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მაგრამ არ შეუძლია ეს კავშირი რაიმე აზრის გასამყარებლად გამოყენოს. ესმის ცნება-აბზაცი, მითითებისას- კითხვა დაიწყე მეორე აბზაციდა, სწორად ეძებს აბზაცს, მაგრამ წერის დროს ვერ დაყოფს ნაშრომს აბზაცებად. არ შეუძლია ტექსტში მოთხრობილი ამბის გადმოცემა სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან ვერ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ლიტერატურულ ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ თხრობისას და წერისას ლექსიკური მარაგი მწირი.
	განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.	
ცნება: გრამატიკული კანონზომიერებები		
1. სიტყვები იცვლიან/არ იცვლიან ფორმასა და მნიშვნელობას, ერთიანდებიან წინადადებებად გრამატიკული კანონზომიერების შესაბამისად; 2. გრამატიკული კანონზომიერებების აღმოჩენა მნიშვნელოვანია ენობრივი ცოდნის გამდიდრებისთვის, აზრის გამოხატვისთვის, წარმატებული ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერისთვის. 3. გრამატიკული კანონზომიერებების აღმოსაჩენად მნიშვნელოვანია სტრატეგიების აღმოჩენა და გამრავალფეროვნება.	**ქართ.დაწყ.(II).3** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე). **ქართ.დაწყ.(II).5** ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად. **ქართ.დაწყ.(II).11.** ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.	• უჭირს ტექსტის გადმოცემისას სწორი ფორმით გამოიყენოს მეტყველების ნაწილები. • შეუძლია თხრობისას და წერისას ააგოს 3-4 სიტყვიანი წინადადება, მაგრამ უჭირს სიტყვების გრამატიკული კანონზომიერების დაცვით გადმოცემა და დაწერა. • შეუძლია 2 სიტყვიანი წინადადების ჩაწერა გრამატიკული კანონზიმიერების დაცვით. მაგ: ბიჭი ჭამს, გოგო მიდის.

ცნება: ფუნქციური სამეტყველო ქმედება		
1. სამეტყველო ქმედების სხვადასხვა ტიპს (მაგ., თხრობას, აღწერას, დასაბუთებას) თავისებური სტრუქტურა-აგებულება აქვს. 2. მეტყველებისას საჭიროა სიტყვების შერჩევა სამეტყველო ამოცანის გათვალისწინებით. 3. ზეპირი სამეტყველო ქმედების დროს წინადადების შინაარსს გამოვხატავთ ინტონაციით, წერითი სამეტყველო ქმედების დროს - სასვენი ნიშნებით. 4. სამეტყველო ქმედების შესასრულებლად მნიშვნელოვანია სტრატეგიების აღმოჩენა და გამრავალფეროვნება.	**ქართ.დაწყ.(II).1** სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად. **ქართ.დაწყ.(II).5** ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად. **ქართ.დაწყ.(II).10.** ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.	• თხრობისას, აღწერისას, წერისას ძირითადა იყენებს არსებით სახელს, ზმნას და „და“ კავშირს. • შეუძლია შესაბამისი ინტონაცია გამოიყენოს თხრობითი წინადადების კითხვისას, თუმცა უჭირს კითხვითი წინადადების სწორი ინტონაციით წაკითხვა • შეუძლია ამბის თხრობა პირად ცხოვრებაზე, მაგრამ ტექსტის ამბავს დამოუკიდებლად ვერ მოყვება, სჭირდება კითხვების დასმა და ტექსტის აბზაცებად დამუშავება • შეუძლია ილუსტრაციის აღწერა, რამდენიმე წინადადებით. ილუსტრაციებში მოცემული პერსონაჟებისა და მათი მოქმედებების მთლიანობაში გადმოცემა უჭირს. ვერ კრავს სიუჟეტს

გრძელვადიანი მიზნები

გრძელვადიანი მიზნები	
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს	მოსწავლემ უნდა შეძლოს
ცნება: ტექსტი	
1.ყველა ტექსტი გვიყვება რამის შესახებ, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ჩვენს ცხოვრებას. 2.ტექსტში ინფორმაცია მოცემულია პირდაპირი ან არაპირდაპირი მინიშნებებით სახით. 3.ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება 4.ტექსტი შეიძლება იყოს: ზღაპარი, მოთხრობა, წერილი, კომიქსი.	1. გადმოსცეს რის ან ვის შესახებ არის ტექსტი. ტექსტი დააკავშიროს პირად გამოცდილებასთან. 2. პირდაპირი და არაპირდაპირი მინიშნებების დახმარებით შეუძლია ამოიცნოს და გადმოსცეს ტექსტის ძირითადი აზრი. 3. ტექსტის გასაგებად შეუძლია გამოიყენოს შეთავაზებული სტრატეგიები (მინიშნებები, გრაფიკული სქემები, ნიმუშები). 4. შეუძლია შექმნას შემდეგი სახის ტექსტი: ზღაპარი, მოთხრობა,წერილი, კომიქსი.
ცნება: გრამატიკული კანონზომიერებები	
1.მეტყველებისა და წერის ზოგიერთი სიტყვა იცვლება, ზოგიერთი არა. 2.წინადადების ბოლოს ვსვამთ სასვენ ნიშანს.	1.5-6 სიტყვიანი წინადადების შექმნა მორფოლოგიური (არსებით სახელთა ბრუნება, ზმნა, ზედსართავი სახელი (როგორი), ზმნისზედა (დროის, ადგილის). და სინტაქსური (მარტივი) აგებულების დაცვით. 2. წინადადების შინაარსის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი) სასვენი ნიშნის გამოყენება.
ცნება: ფუნქციური სამეტყველო ქმედება	
1.სამეტყველო ქმედების სხვადასხვა ტიპს (თხრობას, აღწერას) თავისებური სტრუქტურა-აგებულება აქვს. 2.მეტყველებისას საჭიროა სიტყვების შერჩევა სამეტყველო ამოცანისგათვალისწინებით. 3.სამეტყველო სიტუაცია შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი. წინადადების შინაარსის გათვალისწინებით სასვენი ნიშნის გამოყენება. 4.სამეტყველო ქმედების შესასრულებლად მნიშვნელოვანია სტრატეგიების გამოყენება.	1.გამოიყენოს ტექსტის სამნაწილიანი სტრუქტურა (დასაწყისი, შუა ნაწილი დასასრული) და აღწერის მახასიათებლები. 2. სამეტყველო ამოცანის გათვალისწინებით შეარჩიოს საჭირო სიტყვები (ზედსართავი სახელი, ზმნისზედა, თავაზიანი ფორმები). 3.ფუნქციური სამეტყველო ქმედების დროს (თხრობა; აღწერა) წინადადების შინაარსის გათვალისწინებით გამოიყენოს შესაბამისი სასვენი ნიშანი (წერტილი, კითხვის ნიშანი). 4. სამუშაო პროცესზე დაკვირვება და შეთავაზებული სტრატეგიების გამოყენება.

კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები

თემა/მიმართულება: მეგობრობა **კომპლექსური დავალების განხორციელების პერიოდი: 8 საათი**		
გრძელვადიანი მიზნები	**ქცვეცნება/ქვეცნებები:** ეპიზოდი, პერსონაჟი, წერის სტრატეგიები. **საკითხი/საკითხები:** მოთხრობის ეპიზოდის დაწერა (ა. სულაკაურის მოთხრობის „ბიჭი და ძაღლი“ მიხედვით).	**კომპლექსური დავალება** **მოკლევადიანი მიზნები**
ცნება: **ტექსტი** 1.ყველა ტექსტი გვიყვება რამის შესახებ, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ჩვენს ცხოვრებას.	**ეტაპები, აქტივობები, რესურსები** **ეტაპები, აქტივობები, რესურსები** **I ეტაპი: კომპლექსური დავალების გაცნობა** • რომელი შინაური ცხოველი გყავს სახლში და როგორ უვლი მათ? • რატომ ჰყავთ ადამიანებს შინაური ცხოველები?	ა. სულაკაურის მოთხრობის „ბიჭი და ძაღლი“ მიხედვით, დახატე ილუსტრაცია, სადაც გადმოსცემ მოთხრობის სამ ეპიზოდს (დასაწყის, შუა ნაწილს და დასასრულს) გაუკეთე ილუსტრაციებს მოკლე აღწერა. **ნამუშევარში:**

2.ტექსტში ინფორმაცია მოცემულია პირდაპირი ან არაპირდაპირი მინიშნებებით სახით.

3. ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება.

4. ტექსტი შეიძლება იყოს : ზღაპარი, მოთხრობა, ლექსი, წერილი, რეკლამა, კომიქსი.

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

1. გადმოსცეს რის ან ვის შესახებ არის ტექსტი. ტექსტი დააკავშიროს პირად გამოცდილებასთან.

2. პირდაპირი და არაპირდაპირი მინიშნებების დახმარებით შეუძლია ამოიცნოს და გადმოსცეს ტექსტის ძირითადი აზრი.

3. ტექსტის გასაგებად შეუძლია გამოიყენოს შეთავაზებული სტრატეგიები (მინიშნებები, გრაფიკული სქემები, ნიმუშები).

4. შეუძლია შექმნას შემდეგი სახის ტექსტი: ზღაპარი, მოთხრობა,წერილი, კომიქსი.

- რაში გვეხმარებიან ცხოველები?რატო უნდა გვყავდეს ისინი?
- რა დავალება გაქვს შესასრულებელი?
- ილუსტრაციის შექმნისას რაში დაგჭირდება დახმარება?

II ეტაპი. კომპლექსური დავალების შინაარსი (განხორციელება)

აქტივობა 1. მოკ. მიზ. 1.
ჯერ მასწავლებელი წაუკითხავს ადაპტირებულ ტექსტს, შემდეგ კითხვის სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლე აგრძელებს კითხვას.

ბიჭი და ძაღლი. ადაპტირებული.ppt

აქტივობა 2. მოკ.მიზ. 1
ტექსტის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი კლავ მიაწვდის მსგავსი შინაარსის ტექსტს, სადაც მოსწავლემ უნდა გააფერადოს შესაბამისი ფერებით ტექსტის **დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული**

დასაწყისი	**შუა ნაწილი**	**დასასრული**

აქტივობა 3. მოკ. მიზ 1.
მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის მცირე ტექსტს. სადაც სამ ამბაცად გადმოცემული ამბავი არეულადაა მოცემული. მოსწავლემ უნდა დაალაგოს აღნიშნული ლოგიკური თანმიმდევრობით.

	ნინომ ქუჩაში ტალახში ამოსვრილი. ჭუჭყიანი ძაღლი იპოვა.
	ბანაობის შემდეგ პირსაცოხით კარგად გააშრალა.
	ძაღლი შინ წამოიყვანა, ცხელი წყლითა და შამპუნით დაბანა.

აქტივობა 4. მოკ. მიზ. 1.2. მასწავლებელი აცნობს ახალ სიტყვებს და სთხოვს მოსწავლეს ვიზუალური საყრდენის დახმარებით განმარტოს, მისი აზრით რას შეიძლება ნიშნავდეს კონკრეტული სიტყვა. შემდეგ კი თითოეულ სიტყვას მოაწეროს შესაბამისი განმარტება 2-3 წინადადებით.

- ნაშრომში გადმოეცი რა იცი ნაგაზის შესახებ, როგორია ის მოთხრობაში (გამოიყენე ტექსტში მოცემული დახასიათება და თვალსაჩინოებები);
- ნაშრომის შესრულებისას დაიცავი ამბის თანმიმდევრობა (რა მოხდა ჯერ, შემდეგ და ბოლოს).
- აღწერისას გამოიყენე სასვენი ნიშანი: წერტილი.

პრეზენტაციაში წარმოაჩინე:
- ტექსტში მოთხრობილი ამბის მოკლე შინაარსი (3-4 სიტყვიანი 2-3 წინადადებით). (ტ.1.2);
- რა იცი პერსონაჟების შესახებ (3-4 სიტყვიანი 2-3 წინადადებით). (ტ.1.2);
- პერსონაჟების აღწერისას რომელი თვალსაჩინოება/თვალსაჩინოებები გამოიყენე ტექსტიდან (ტ.2);
- რომელი სასვენი ნიშნის გამოყენება დაგჭირდა შენს ნამუშევარში (ტ.4);
- რა ან ვინ დაგეხმარა ნამუშევრის შექმნაში(ტ.3);

მოკლევადიანი მიზნები:
1. მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს ტექსტის შესავალი, შუა ნაწილი და დასასრული ვიზუალური საყრდენის დახმარებით.
2. მოსწავლეს შეუძლია მთავარი პერსონაჟის დახასიათება და მისი თავგადასავალის გადმოცემა 3 ან 4 სიტყვიანი წინადადებების გამოყენებით.
3. მოსწავლეს შეუძლია წინადადების შინაარსის გათვალისწინებით გამოიყენოს სასვენი ნიშანი წერტილი.
4. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის შექმნისას გამოიყენოს შეთავაზებული სტრატეგიები (გრაფიკული სქემები, მარკირება).

ნიმუშის შექმნაზე იმუშავეს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდის სპეციალისტებმა: ლელა ფალელიშვილი, თამარ ჯიქია, ნინო ცომაია, სოფიო ძიგრაშვილი, თინათინ გობაძე, მაია მაისურაძე, მარიამ ჯახველაძე, ნინო კაპანაძე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- McLeod, S. A. (2019, July 17). Constructivism as a theory for teaching and learning. Simply Psychology;
- Shazli Hasan Khan, Ph. D. CONSTRUCTIVISM: TOWARDS A PARADIGM SHIFT IN CLASSROOM TEACHING & LEARNING. Scholarly Research Journal for Interdisciplinary Studies;
- Carol Ann Tomlinson and Susan Demirsky Allan. Leadership for Differentiating Schools & Classrooms. (Dec, 2000);
- Dr. BADA, Steve Olusegun, Constructivism Learning Theory: A Paradigm for Teaching and Learning;
- Allison Posey, MEd, CAST. Universal Design for learning (UDL): A teacher's guide.
- Karen R. Harris, Steve Graham, Constructivism: principles, paradigms, and integration. The Journal of Special Education, 2015;
- Henriette Lucander, Lars Bondemark, George Brown, Kerstin Knutsson. The SOLO taxonomy: a model to promote learning, 2009;
- Rose, David. (2001). Universal Design for Learning. Journal of Special Education Technology. 16. 66-67. 10.1177/016264340101600208;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N55/ნ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ";
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გზამკვლევი მასწავლებლებლებისთვის, მ.ზაქარეიშვილი, მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი, χ. კვაჭაძე, ქ. ფილაური, 2014.
- სასწავლო აქტივობები ყველასათვის, სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში, გზამკვლევი მასწავლებლებისთვის; მაია ბაგრატიონი - გრუზინსკი, ჟანა კვაჭაძე, თამარ ისაკაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, ნათია გაჩეჩილაძე; საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; 2017
- როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, 2007
- მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, სწავლისა და განვითარების თეორიები და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის სახელმძღვანელო
- სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით; ნ. სილაგაძე